


„შენ ხარ გზი“

ათხმოქმედებისანი ფანტასტიური ეტიუდი
საქართველოს კოლიტიკურ ცხოვრებიდან.



„უმინ ხარ მზე“

ოთხმოქმედებიანი ფანტასტიური ეტიუდი

საქართველოს კოლიტიკურ სხოვრევიდან.



დაწერილია ლტოლვილობის დროს ქ. კონსტანტინეპოლში,
1922 წელს.



„მეცნიერება“

საქართველოს ენობრივი ცენტრის
საერთაშორისო კონგრესის

ავტორის უფლება დაცულია საქართველოში და საზღვარ გარეთ.

საქართველოს ენობრივი ცენტრის გამომცემი

„შენ ხარ მზე“

ოთხმოკმედებიანი ფანტასტიური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებიდან.



1

ქართები გამოქვაბულში.
(მეექვსე საუკუნე ქრისტ. წინ)

3

დიდებული ქართველი ერი.
(ახლანდელი დრო)

2

საქართველოს ოქროს ხანა.
(მეთორმეტე საუკ. ქრისტ. შემდეგ)

4

ჯვარედინ კვანძე.
(საქართველოს მომავალი)



მოქმედნი პირნი:

- ქართლოს ქართველი ერი,
- მარიამ ქართველი დედა,
- ნანა ქართველი ქალი,
- გიორგი ქართველი გმირი,
- დევ-ქალი საქართველოს მტერი,
- უამთა-ვითარება . . . საქართველოს ბედნიერი ვარსკვლავი,
- მეომრები, მუშები, ქალები, დამკვრელები, მომღერლები და სხვ.




თავდადებულ ქართველთა სსოვნად,
კანურჩეველად მათი ჰოლიტიკური
რწმენისა, რომელნიც სამშობლოსა-
დმი სიუვარულიათვის წამებულ იქ-
მნენ კომუნისტების მიერ განთქმულ
ავაზაკების ლენინ-ტროცკის ხელ-
ძღვანელობით და ჰირადი დასმარე-
ბით სამშობლოს მოღალატეებისა.

ავტორი.

პირველი მოქმედება:

ქართული გამოქვეყნებული.

(მეექვსე საუკუნე ქრისტეს წინ)



(სენა წარმოადგენს გამოქვეყნულს, რომლის მარცხნივ, გადვიტულ ცეცხლზე, მჭედლები ამუშავებენ რკინას და კალავენ ქვაბებს. მარჯვნივ სდგას ნანას (ასტარტას) კერპი. მის წინ საკმელი ბოლავს. გამოქვეყნულის შუაში ფართო კარებია, მარჯვნივ—თონე. კერპის იქით, ბნელ კუთხეში—გარედ გასასვლელი ხვრელი. მარჯვნივ ზედავს ცომს და თონეში შოთის პურს აცხობს. პირველ გამომცხვარ პურს ლოცვით კერპს სწირავს. ამომავალი მზის სხივი ოდნავ ანათებს ქართველის სადგომს. ფარდის ახდისათნავე მოისმის კვერების ჩახა-ჩუხი: ცველანი გახურებულ მუშაობაში არიან)

გამოსვლა ზირველი:

ქართლოს: (ცეცხლს აღვიებს) თენდება!.. (მუშებს) ოჯახიშვილებო, მარდად, გულმოდგინედ!.. (მუშები კვერებით რკინას ასწორებენ) საცა მოვლენ!..

მარჯვნივ: ქართლოს, ვინ იყვნენ გუშინ?..

ქართლოს: პონთოსის ზღვიდან გვეწვიენ ტიბარენნი!.. თან ბერძნები მოიყვანეს რკინა-ფოლადის დამუშავების შესასწავლად!.. ალბანელებმა მშვილდ-ისარი შეგვიკვეთეს, კოლხებმა—ხანჯლები და ცული, კახებმა—გრძელ-წვერიანი შუბლები და ხარის ტყავისაგან დაწნული ფარი!..

მარჯვნივ: ინდოელები მოგვიტანენ ლაღს და ფირუზს...

ქართლოს: იმ შემთხვევაში, თუ ნანა შეასრულებს მათ თხოვნას... რუქები მზათა აქვს?

მარიამი: ხატავს, ბეჯითად!..

1 მუშა: შორაპანში რომაელებს დიდძალი საქონელი ჩამოუტანიათო!..

2 მუშა: სპარსეთიდანაც ქარავანი მოსულა, — საკმელი, პილი, მიხაკი—მრავალი...

მარიამ: აბრეშუმის და ვარდის ზეთი...

ქართლოს: ბევრი, ბევრი!..

1 მუშა: გუშინ წიწამურში სარმატების სეფე-ქალს მოვლოდნენ, — დეე-ქალს რო ეძახიან!.. იმასაც უთვალავი სიმდიდრე მოაქვსო!..

მარიამ: ამბობენ, მისი ქოშები სულ მარგალიტითაა მოქვედილიო!..

2 მუშა: ჩამოსულა კიდევ... ხალხი დიდი ამბით მიგებებია!..

მარიამ: აბრეშუმის ტანისამოსს სულ შრიალი გააქვსო!..

1 მუშა: მზეთუნახავიაო!..

ქართლოს: (ჩაფიქრდება) სიმდიდრე, სილამაზე!.. ადამიანის მტერი, რომელიც აძაბუნებს გმირთა გმირს, სამარეს უთხრის ქაბუკს!.. ფეხ-ქვეშ ჰქელავს გულის სიწმინდეს და სულის უმანკობას!.. რამდენი ხალხი შთანთქა ჩემ თვალ წინ უღმობელმა სიკვდილმა, როდესაც სულიერად სუსტი ერი საკმელს უკმევდა ოქროს, და არა ჩვენ პატიოსან ნანას!.. (ხელეზ აპყრობილი კერპს თავს უკრავს) სიმდიდრე, სილამაზე... დეე-ქალის კერპი!..

1 მუშა: ხმა დადის, ვითომ დეე-ქალს ჩვენი გიორგი-გმირი შეჰყვარებიაო!..

2 მუშა: გიორგისაც არა ნაკლებ ჰყვარებიაო!..

ქართლოს: (განრისხებული) გაჩუმდით!.. სწორედ მაშინ დაიქცევა ჩვენი ოჯახი, როდესაც ერის სულიერ სიმდიდრეს გა-

ვცვლით მიწიერ სიმდიდრეზე და წარმავალ სილამაზეზე!.. ბევრი მაგალითი მინახავს!.. გიორგიც მისთანა ბოროტებას არ ჩაიდენს, რომ გააუბედუროს თავისი ხალხი!.. ყოვლად სენინდისიერია და მრავალ გვარ მდგომარეობაში გამოცდილი!..

მარიამ: ვენაცვალე იმის სახელს!..

ქართლოს: შვიდმა მნათობმა ჯერ ისევ ქალღმერთში გვარგუნა სენინიდი და პატიოსნება!.. მით ვცოცხლობთ და მტერს არ ვეპოებით!.. (შემოდის გიორგი)

გამოსვლა მეორე:

გიორგი: (ყვალას) გწყალობდეთ მეუფე მთვარე! (კერპს ეთავყვანება)

ყველანი: გწყალობდეს მადლიერი მზე!

ქართლოს: გწყალობდეს ცისა და ქვეყნის მფარველი ნანა!..

მარიამ: (გიორგის) დაბრძანდი შვილო!.. ცხელ-ცხელი პური!..

აი ღვინოც... დანაყრდი!.. (ღვინოს და პურს მიაწოდებს)

გიორგი: მადლობთ!.. (ჭამას შეექცევა)

მარიამ: სადარაჯოდ იქნებოდლი!..

გიორგი: სამი ღამე ზედი-ზედ მთებში გავატარე!..

ქართლოს: ახალი ამბები?..

გიორგი: გუშინ წიწამურელებს დიდი ზეიმი გაუმართავთ!..

სარმატების სეფე-ქალი ჩამოსვლიათ... სტუმრათ!..

უთვალავი ძღვენი ჩამოუტანია: აბრეშუმი, ძვირფასი

ქვები, საკუთარი ხელით ამოკერილი მუთაქები, ოქ-

როთი მოქარგული ქეჩა...

მარიამ: ჩვენ მეცხვარეს უნახავს,—მზეთუნახავიაო!..

გიორგი: (ოდნავ აღელვებული) დიად!.. მის სილამაზეზე მღეროან

სირინოზნი; მის ბაგეს მუდმივ ეალერსება მზე, მის ნი-

კავს სიყვარულით ეამბორება გაზაფხულის სიო!.. ბუნება მუხლ-მოდრეკით ეთაყვანება მას, როგორც ცისა და ქვეყნის გამჩენს!.. (კერპზე უჩვენებს)

ქართლოს: (გიორგის) გუშინწინ ღამე ჩვენ მოსაზღვრე რაზმებს სარმატებთან რაღაც შეტაკება ჰქონიათო!..

1 **მუშა:** ვითომ ახლა სარმატებიც გვემუქრებიანო!..

2 **მუშა:** ეგ რაღა ხალხია?..

მარიამ: ცოტა მტრები გვყავს?!

გიორგი: დამშეული ველურთა ბრბო, რომელიც გასულ ზამთარს მყინვარ-იალბუზის მხრით ჩვენ საზღვრებს მოადგა!.. (ხმალს კედელზე ჩამოჰკიდებს, გაიხდის სელის კურტაკს და ქართლოსს მუშაობაში შეუერთდება)

მარიამ: ეჰ, შეილო! სარმატები იქნებიან თუ სკვითები,— მტერი-მტერია!..

ქართლოს: (გაბრაზებული) აქაც არ გვასვენებენ!..

მარიამ: მოაწყობ თუ არა კერას, ცხვრის ფარას მოაშენებ, მაშინვე მტერი გველინება: გცარცვავს, სისხლს გიშრობს... რა სიცოცხლეა!..

ქართლოს: ფეხს არ დავიძრავ!.. გვეყო ამდენი ტანჯვა!.. ქალდუ, შუამდინარე, კაპადოკია,— ეკლიანი გზა, რომლითაც მოვალწიეთ ახლანდელ ჩვენ მიწა-წყალს!..

გიორგი: (ჩაფიქრებული) ათასმა წლებმა განვლო მას შემდეგ, რაც ქალდუდან დავიძერიო!.. შეუწყვეტელი ომი ველურ სემიტებთან, სისხლის ნიაღვარი ზნეობრივად გახრწნილ ბაბილონელებთან!..

ქართლოს: მიტაანის მეფე ტუშრატამ ქალაქი ნინევია რო წაართო მათ და გამარჯვების ნიშნად ქალ-ღმერთის იშტარის კერპი წაიღო!.. (ეთაყვანება კერპ ნანას)

გიორგი: სისხლის ღვრა ასურელებთან, მკაცრი ომი საღმრთო
სარ პირველთან!..

ქართლოს: სწორედ მაშინ, როდესაც კაპადოკიისკენ დავიხიეთ,
შუამდინარეში შემოვიდნენ ასურელები და არამელები!..
უნდა გენახა, როგორ იტაცებდნენ დამშეულნი ჩვენ
საზრდოს!..

მარიამ: კაპადოკიაშიაც არ მოგვასვენეს!..

გიორგი: იქ, ღალისის ხეობაში, პირველი შეტაკება მქონდა
მიდიელებთან!..

ქართლოს: სწორედ იქვე სპარსელებმა პირველად იგემეს ჩვენი
ვაჟკაცობა ხელჩართულ ომში!..

მარიამ: ბევრი ძალადობა და უსამართლობა გამოვიარეთ!..

გიორგი: მტერს მუსრი გავავლე, მაგრამ სიკეთის დროს სიმ-
შილმა დაგგვძლია და მცირეოლენ თუბალ-მესხების და
ქალდ-კოლხების რაზმით ახლანდელ მიწა-წყალს მოვალ-
წიეთ!..

ქართლოს: იაფეტელ ტომთა გმირობა—განათლებაზე ღალადე-
ბენ ხავსმოკიდებული წარწერები ცამდე ამართულ სვე-
ტებზე!.. ჩვენი გულის სიწმინდეს იხსენიებენ სამლოც-
ველოებში ჩვენი მტრები!..

მარიამ: აქაც მტერი, მტერი და მტერი!..

ქართლოს: ახლა კი კმარა!.. ან სიკვდილი, ან სიცოცხლე!..
გიორგი!.. შენ ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი ბედი!..

გიორგი: მოვიქანცე!.. განუწყვეტელ ომში გულის სიმტკიცე
შევარხიე... მარჯვენა მომეღალა!.. წუთი მოსვენება არ
მინახავს!..

ქართლოს: ვერც ნახავ, თუ გსურს შენი ერის ბედნიერება!..
კაცობრიობა წარმოადგენს ორ მოპირდაპირე ბანაკს:
ერთით განაგებს სიკეთე, მეორით —სიბოროტე!.. დაუ-

ღალავ ბრძოლაში მათ შორის იშვება ის ძალა, რომელიც მოუტანს ადამიანს შემდეგში უკუნითი კეთილდღეობას!. მრწამს, დადგება დრო, დაჩაგრულნი შეერთდებიან და, ძმურად შეკავშირებულნი, დაამხობენ ადამიანთ შორის გამეფებულ სიძულვილს და ბოროტებას!. ამიტომ შენ, ჩვენმა გმირმა, დაულალავად უნდა განაგრძო ბრძოლა ბედნიერების დასამყარებლად შენ ერის ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში!..

გიორგი: (ჩაფიქრდება) ერი... კაცობრიობა!..

ქართლოს: დიად, ერი, რომელიც იხსნის კაცობრიობას ტანჯვა-ვაებისგან... ერი განათლებული, რომელსაც უპირველესად ყოვლისა სწამს თავისი ხალხის ბედნიერება!.

გიორგი: ბაბილონელ სემიტებისგან გამიგონია,—ერი ბადავს ძალმომრეობას... ერის სიმძლავრე—კაცობრიობის სისუსტეაო!..

ქართლოს: ამას ღალადებენ მუქთა-ხორები და ავაზაკთა მოხეტიალე ბრბო, რომელთაც სურთ სხვის ქონების დატაცება თავიანთ კუქას გასაძლომად... დედამიწის ერთი მხრიდან გადადიან მეორე მხარეს, იკლებენ ხალხს, მის ნაშრომს, აწიოკებენ ოჯახს, ანადგურებენ უკუნობით აშენებულ სასახლეს და მის ნანგრევებზე განგებ ამოჰყავთ ბედღამის გოდოლი... უმიწაწყლო, ყველასგან დევნილი, ზნეობრივად გათახსირებული ბრბო,—მას მოჰქონდა მუდამ და მოაქვს ის ქირი, რომელსაც ებრძვის ერი ჯერ თავის პიროვნების დასაცავად და მერე კაცობრიობის სახსნელად...

გიორგი: ბაბილონელების აზრს იმეორებს ახლა სარმატთა ტანტის მემკვიდრეც... დიდი ჰკუთის პატრონია!.. ბრძოლა ერის არსებობისათვის—უმიზნო სისხლის ღვრა არისო,

ბრძოლა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, აი მთავარად მიზანი ჩვენი არსებობისაო!..

ქართლოს: მაგ ქალს ხალხმა მეტი სახელი უწოდა—დეე-ქალი!.
მოგაჯადოებდა!..

გიორგი: ვგონებ ვერ შევასრულებ ბოლომდე ჩემს დანიშნულებას!.. ჩლუნგი დანა ცხვარს აწვალესო!..

მარიამ: (წყურებით) სირცხვილი გიორგი!.. სად არის შენი ნათელი აზრი, გამჭრიახი გონება!..

გიორგი: კაცი ვარ—ადამიანი!.

მარიამ: (გაკვირვებული) დიად, ბატონო?!

გიორგი: ახალ სამშობლოს ტურფა ბუნებამ დამატორო, სიტკობების გრძნობამ ამაძაგძაგა, მისმა სილამაზემ წარმიტაცა ოცნებათა აბობოქრებულ ზღვაში!.. ცოტაოდნად მოსვენებულმა ვიგრძენ ის, რასაც გრძნობს ყოველი არსება,—სიცოცხლის წყურვილი!..

მარიამ: იცოცხლე, შეილო, იცოცხლე მრავალ-ჟამიერ!..

ქართლოს: (მარიამს, ირონიით) გიორგის უყვარს... ჩვენი ნანა!..

გიორგი: (კრთომით) ნანა?.. არა!.. (პაუზა) დიად, მე მიყვარს...
გულით და სულით თქვენი მშვენიერი ქალი!..

მარიამ: შეილო!.. ექვი არა გვაქვს, რო შენც უყვარხარ ნანას!.

გიორგი: შესაძლებელია, ამ უზენაესმა გრძნობამ...

ქართლოს: (გააწყვეტინებს) იმსხვერპლოს შენი დანიშნულება ჩვენ ერში!.. (გიორგი განცვიფრებული ადგილიდან არ იძრება) ერთ განათლებულ მემარგესგან გამიგონია ძველ დროში,—ქკუიანი ადამიანი დასახულ მიზანს რო მიაღწევს, თავის სიმშვენიერეს კარგავს და უბრალო მომაკვდავად იქცევაო!..

გიორგი: მართალია, მაგრამ მეც მაქვს უფლება ერთხელ მაინც ამოვიკითხო ცხოვრების დაეთრიდან ჩემი გულის-სევდები!.



მარიამ: სიყვარული—სევდის მალამოა, —ამბობს ინდოელებს
ლოცვა!..

ქართლოს: სიყვარული -- იგივე ავადმყოფობაა, — ლაღადებს ეგ-
ვიპტელთა მოგვი და ასეთ რჩევას იძლევა: „ამ ქირით
დასნეულებულს, ლოგინში, მძინარეს, ცივი წყალი
შეასხურეთ და ყოველ დღე, უზმოზე, ვირის ჩლიქები-
დან გამოყენებული წვენი ასვითო!.. (გიორგის გარდა-
ყველანი იცინიან)

მარიამ: თუ ქეშმარიტად გიყვარს ჩვენი ნანა, გამოგვიცხადე,
მოვიწვევთ ხალხს და მასთან ერთად დიდი ზემით ვი-
დღესასწაულებთ თქვენს ქორწინობას!.. (უკანასკნელი
სიტყვები ესმის კარებში შემოსულ დევ-ქალს. უკან მონები
მოსდევენ)

გამოსვლა ქესამე:

დევ-ქალი: (აღერსით) ნება მიბოძეთ შემოვიდე!..

ქართლოს: მობრძანდი, ვინა ხარ?..

დევ-ქალი: (წინ გამოვა) მე ვარ სარმატების ტახტის მდიდარი
მემკვიდრე, ქართუხების სტუმარი და მათი პირველი მე-
გობარი!.. (დევ-ქალი და გიორგი თვალს მოჰკარავენ ერთმანეთს)
გწყალობდეთ მზე და მთვარე!.. (კერპს თავს უკრავს)

ყველანი: მაღლობთ, გწყალობდეთ!..

დევ-ქალი: (ქართლოსს) თქვენ ბრძანდებით მქედელი ქართლოს?.

ქართლოს: მე გახლავართ!..

დევ-ქალი: მსურს პატარა ბასრი ხანჯალი შეგიკეთო!.. ამ
ძვირფას ქვებით (აჩვენებს) ქარქაში დე ტარი უნდა
მორთოთ!.. (ძვირფასეულობას ყველანი აღტაცებაში მოჰყავს,
გიორგის გარდა)

ქართლოს: რა მშვენიერებაა!..

მარიამ: რა სიმდიდრეა!..

1 მუშა: (დევ-ქალზე) რა ლამაზია!..

2 მუშა: „ რა მდიდარია!..

დევ-ქალი: (გახარებული) მოგწონთ?.. (ქართლოსს) გასამრჯელო მიიღეთ!.. ეს მარგალიტი (აჩვენებს) აშურ-ბაბილონის მეფის საჩუქარია ჩემ სრულ-წლოვანობის დღეს!..
(გადასცემს)

ქართლოს: (მარგალიტს მიიღებს) გადაქარბებით აფასებთ, ქალო, ჩემ ჯაფას!.. მადლობთ!.. ხანჯალიც მზად გახლავს!.. (თახიდან პატარა ხანჯალს ჩამოიღებს, დევ-ქალს აჩვენებს) სხვა თვისებისაა!.. გაკეთებულია საკუთარ მარჯვენა ხელით თუბალურ რკინიდან!.. ცეცხლში გავლებულია სამჯერ?.. ამ იარაღით ტიგრის და ეფრატის შესართავთან მოვკალ ვეშაპი, — ჩვენი ხალხის მტერი!.. ამ პატარა ხანჯლით სული ამოვადებინე ბაბილონის მეფის კარის კაცს, როდესაც მე და ელამის მეფემ კუტურ ნახუნდმა ქლაქი ურუკი დავიპყარი და მეფის დასაქერად საწოლში შევევარდით!.. თავი მოვაკვლევენი მიდიელების მეფის ქიაქსარის ცოლს, რომელსაც თავის სილამაზით და სიმდიდრით ჩვენი მთავარ-სარდალი უნდა შეესყიდნა იაფეტელ ტომთა ამოსაწყვეტად!.. ეს მოხდა კაპადოკიაში, მდინარე ღალისის ახლოს!.. (ხანჯალს გადასცემს)

დევ-ქალი: (გახარებული) გმადლობთ!.. (ჩამოიკიდებს) იმედი მაქვს ისეთივე სამსახურს გამიწვევს, როგორც თქვენ!.. (მონებს) სახსოვრად ჩემი აქ ყოფნისა მიართვით ქართლოსის მეუღლეს აბრეშუმის წამოსასხამი!.. მუშებს — მატყლის ქეჩა!.. (მიართმევინ) თქვენ, გიორგი, რა მოგართვათ?.. (შეყვარებული თვალბში შესცქერის)

გიორგი: (ცივად) არაფერი!. (აღღებებული გადადის მეორე ადგილს)

ქართლოს: კმარა, ქალო!.. შენ რაღა დაგრჩა?!

დევ-ქალი: მე ვარ სარმატების ტახტის მდიდარი მემკვიდრე!.. (თავმოწონედ) მაქვს უთვალავი ქონება: მრავალფეროვანი ძვირფასი ქვები, რომელიც ჩემმა პირველმა საყვარელმა სპარსეთიდან ჩამომიტანა!.. ფინიკიიდან — აბრეშუმის სამოსელი, ეგვიპტიდან — მარგალიტით შემკული ბაჯაღლო ოქროს ქოშები, მიდიიდან — სურნელოვანი ვარდის ზეთი, — ამ ზეთით ცისმარე დღე ტანს ვიზელავ!.. ინდოეთიდან — ნატურის თვალი, რომელიც ქუიანს თვალებს უბრმავებს, სულელს — უხილავს!.. რა გსურს, გიორგი, მითხარ და მოგცემ!..

გიორგი: (ჩაფიქრებული) არაფერი!..

ქართლოს: ქალო, აგრე ადვილად ვერ შეისყიდი, — მოაჯადოებ თუ!..

დევ-ქალი: (ქართლოსს) მე მსურს შევამკო სიმდიდრით თქვენი განთქმული გმირი, დავაგვირგვინო მისი განუსაზღვრელი შრომა, რომელიც გაუწევია თავის საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ!..

ქართლოს: ჩემმა ერმა საკმაოდ დააჯილდოვა!..

დევ-ქალი: (გიორგიზე) როგორ გამოცვლილა!.. რაღაც მწუხარებაშია!.. სადღაა მის თვალეში ელვარე ცეცხლი!..

მარიამ: როგორ არ უნდა იყოს მოწყენილი... არც ომი, არც ბრძოლაში გამკლავება!.. (გიორგის) იქნება თვალი გკრა ვინმემ?.. (დევ-ქალს ეჭვის თვალით შეხედავს)

დევ-ქალი: სულ ომი... სისხლის ღვრა... რა ხელობაა!..

მარიამ: (ხელში ნახშირი და შეატარაინი დანა უჭირავს, გიორგის

შეულოცავს) „შეგილოცავ თვალ-ყურისასა, ავი თვალი-სასა, ავი ყურისასა, შინაურისასა, გარეულისასა“...

ქართლოს: (ღევ-ქალს) რასაკვირველია, თუ ომს დასახული აქვს მიზნად ცარცვა-გლეჯა!.. მაგრამ როდესაც ხალხი იგერიებს სამშობლოს თავისუფლების მტრებს, ეს არის წმიდა მოვალეობა ყოველი ადამიანის, რომლის გულში ღვივის, ოდნავ მაინც, სიყვარულის ცეცხლი!.. რას იტყვი, გიორგი?..

გიორგი: ომი ბუნებრივი მოვლენაა იქ, სადაც მას აწარმოებენ დამოუკიდებლობის დასაცავად, როდესაც დასმულია გადასაქრელად ერის ყოფნი-არყოფნის საკითხი!.. მაგრამ ამასთანავე ომი დიდი საშინელებაა!..

ღევ-ქალი: (ქართლოსს) ამ საშინელებას, ასე თუ ისე, ბოლო უნდა მოეღოს!.. ავხსნათ საზიზღარი საზღვრები, მივამსხვრიოთ საომარი იარაღი და შევქმნათ კაცობრიობისთვის საერთო რჯული, საერთო ლოცვა,—ისე, როგორც ბუნებას მიუნიჭებია ყველასათვის სიამოვნების და სიყვარულის ერთგვარი გრძნობა, კუჭი, გარეგნობა!.. (გიორგიზე) აი, ამ კაცს, არც კი გაუგია თავის სიცოცხლეში, რა არის სილამაზე,—ისე აქვს დაჩლუნგული სული და გული განუწყვეტელ სისხლის ღვრაში!

გიორგი: (ირონით) სიმდიდრე, სილამაზე!..

ღევ-ქალი: დიად, საითყენაც მიილტვის კაცობრიობა!.. შენი გული სდუმს, ვით ეგვიბტეს სფინქსი!.. უნდა მოისვენო ახალგაზდა ქალის მარმარ მკერდზე, რომელიც თავის ნაზ აღერსით თავბრუს დაგასხამს და ახალ ცხოვრებისთვის გამოგაღვიძებს!.. ეს არის ჩვენი არსებობის მიზანი, და არა დამძრალ გჯღლის ტანჯვა!.. (მიუახლოვ-

დება) მომისმინე!.. მიდიელთა ქვეყანაში გაშენებული
მაქვს სამოთხისებური ხილის ბაღი!.. მრავალ ფეროვან
ძვირფას ქვებით მოქედილ აბანოებში ცურაობენ საუ-
ცხოვო სილამაზის ლერწამ ტანიანი ქალები!.. მათი
საყურეების სხივი მზის სხივებს ეჯიბრება!.. მათ ტანზე
ვარდის ზეთი სუნთქვას უხუთავს ჭაბუკს და თვალს
უხილავს უგუნურს!.. აქ, იაღბუზის მთის კალთაზე, ჩემს
საკუთარ კოშკში გამართული მაქვს... (შემობრბის ნანა,
უკან მოსდევენ კახი და კოლხი, დევ-ქალი შეკრთება)

კამოსვლა მეოთხე:

ნანა: (ხელში ხბოს ბეჯი უჭირავს) მამილო, გკითხულობენ!..
(დევ-ქალის და გიორგის დანახვაზე შეკრთება)

კახი: დილა მშვიდობისა, საყვარელო ქართლოს!..

კოლხი: მშვიდობა და სათნოება ოჯახს!..

ქართლოს: გწყალობდეთ მფარველი ნანა!..

ნანა: (აღღვებული) მამილო, მზათ არის!.. (აჩვენებს ხბოს ბეჯ-
ზე დახატულ რუქას) საღებავიც გამომელია!..

ქართლოს: (სინჯავს ნახატს) რა მშვენიერებაა!.. (კითხულობს
წარწერას) „სა-ქალ-დუ-ელო“...
(დევ-ქალი და გიორგი ცხარედ საუბრობენ)

ნანა: ესე იგი „ქალდუდან“ გამოსულების ქვეყანა!..

ქართლოს: მაშასადამე ჩვენი ერის სამკვიდრებელს შენ უწო-
დებ „საქართუელოს“?..

ნანა: სწორედ!..

ქართლოს: მაშ, გაუმარჯოს იმ მიწა-წყალს, რომელზედაც სა-
მუდამოდ დამკვიდრდა „ქართუელი“ ერი!.. გაუმარჯოს
„საქართუელოს“!..

ყველანი: (დევ-ქალის გარდა) გაუმარჯოს, ვაშა, ვაშა!..

ქართლოს: (რუქაზე უჩვენებს) აქ ვინ ცხოვრობენ?

ნანა: ტიბარენნი, რომელნიც სწორედ რომის იმპერიის საზღვარზე დასახლდნენ, ზევით—კოლხნი, ქანნი, ზევით კიდევ—გურულნი, მეგრელნი, აფხაზნი, სვანნი, იმერნი... ამ „საქართულოს“ ნაწილს ბერძნები უწოდებენ „კოლხიდას“!. ახლა „იბერია“—მესხნი, ქართნი, კახნი..

ქართლოს: ყოჩაღ, ნანა, გვასახელე!.. (შუბლში აკოცებს) დიდება ჩვენს ახალ სამშობლოს!..

კახი: } დიდება ქართულ ქალს—ჩვენ ნანას!..
კოლხი: }

ნანა: დედი, პური მშთან!..

მარიამ: მზათ არის, გენაცვალოს დედა!..

ქართლოს: (ნანას) მხოლოდ საზღვრებს ისეთი ხაზი უნდა შემოავლო, რომ თვით მტერმაც კარგა დაინახოს!..

კოლხი: (სინჯავს რუქას) კოლხნი ზღვის პირზე—მართალია!..

კახი: (აჩვენებს რუქაზე) სწორედ ამ ადგილს, ალაზნის გაღმა, აჯანყდნენ მთიელნი!..

კოლხი: და სარმატებს შეუერთდნენ!..

კახი: გუშინწინ ჩვენი საზღვარი გადმოლახეს და ხეობაში შემოიჭრნენ!..

დევ-ქალი: (მრისხანედ) მართალი არ არის!.. მე ვარ სარმატების მდიდარე მემკვიდრე...

კახი: (გააწყვეტივნებს) და განთქმული დევ-ქალი, რომელიც ქორივით იტაცებს ხალხის სიმშვიდეს და ადამიანის ბედნიერებას...

ქართლოს: (კახს, დევ-ქალზე) იცნობ?..

კახი: კარგა!.. კრავი და მგელი მთვარიან ღამეს ერთად სიმღერას ამბობდნენო!..—მაგის სიტყვებია!..

კოლხი: ჩვენშიაც მიწახავს!.. (ნანა ღელავს)

კახი: ხან აბრეშუმებში დადის, ხან ძონძებში იმალება.
ხალხს ამტუტებს!.. (მოდრაობა)

კოლხი: შხამავს მშვიდობიანობის ჰაერს!..

დევ-ქალი: ბატონებო!.. მე ვარ...

ქართლოს: (გააწყვეტივნებს) ბატონები არა ვართ და არც ყმები
ვეყოფილვართ როდისმე!..

კახი: რა ბევრი ველაპარაკოთ?!.. ვინც არის, — დღეს-ხვალ გა-
ვიგებთ! (ქართლოსს) შუბები მზათა გაქვს?.. (მარიამ რა-
მდენჯერმე გადის, ჰური გააქვს და ბრუნდება)

ქართლოს: მზათ გახლავს!.. (კახს მიაწოდებს შუბებს, კოლხს
— ხმლებს. იარაღს სინჯავენ, ერთი ერთმანეთს შეახლიან)

ნანა: გიორგი! მტერი მოდისო!..

გიორგი: გავიგე!

დევ-ქალი: (გიორგის) მშვიდობით!..

გიორგი: დაიცადე!.. (დევ-ქალს გაეხარდება)

ნანა: მერე, მოწყენილი რათა ხარ?..

გიორგი: თავი მტკივა!..

დევ-ქალი: უქეიფოთ არის!.. სამი ღამე მთებში დარაჯობდა!..
მეც, ცოტა არ იყოს, მოვაცდინე!.. წიწამურში ფეხით
ჩამიყვანა!..

ნანა: (გაკვირვებული) არა მესმის რა!.. გიორგი, მომხედე!..
(მიუახლოვდება და აღერსით მხარზე ხელს დაუდებს) გიქე-
იფნია?.. რად დაგვიმალე?..

გიორგი: რა მაქვს დასამალი?.. ვიქცევი ისე, როგორც მსურს
მე, და არა სხვა ვისმეს!.. (დევ-ქალს წასქდება არა ჩვეუ-
ლებრივი სიცილი)

მონა: ქალბატონო, შერბეთი მოგართვათ?..

დევ-ქალი: არა!.. (მონებს) სახლში წადით!. ვახშამზე ვიქმნები!..
სუფრა ქარვის ტახტზე გაშალეთ!.. (მონები გადიან)

მარიამ: გავათავე!.. (ყველას) სახლაკში მობრძანდით, საუზმოს დროა!.. ნანა, ჭამადი წამოიღე, ქართლის, —ღვინო!.. (თაბახზე პური გააქვს. მუშები დიდი ქვაბით სუშელს გაიტანენ. მათ მიჰყვებიან ლაპარაკით ქართლოს, კახი და კოლხი)

ნანა: (გიორგის) წიწამურს ალყა შემოარტყესო!.. მზათ უნდა იყო!..

გიორგი: მზათა ვარ!..

დევ-ქალი: საყვარელო დაო!.. შიშმა უმიზეზოდ აგიტაცა!.. ჩემი ხალხის შემოსვლა თქვენ ქვეყანაში—ქორია!.. ამ ზღაპარს ავრცელებენ ჩემი პირადი მტრები, — იციან, რო მე ამ ჟამად თქვენთან სტუმრად ვიმყოფები!..

ნანა: (გულ-მოსული) სტრუობ!.. შენ ხარ ბოროტი სული!.. შენ აიკელი ქალდუ, შუამდინარე, კაპადოკია!.. აქაც გსურს შეარყიო ახლად ჩაგდებული საძირკველი!..

დევ-ქალი: მე?..

ნანა: დიად, თქვენ!.. კვალ და კვალ გვდევნი, გველივით ტყავს იცვლი, გვიბრმავებ თვალებს სილამაზით, სიმდიდრით, მაგრამ გავიწყდება, რო არის ერთი ისეთი რამ, რომელიც მზის შუქივით უნათებს ჩემს ერს ქირვარამით მოცულ გზაზე, — ეს არის ხალხის სვინიდისი და პატროსნება!..

დევ-ქალი: (გაკვირვებული) პირველად მესმის!.. გიორგი, რა არის სვინიდისი?..

გიორგი: ულამაზო ქალი და მისი კეთილი გული!

დევ-ქალი: (ნანას) ნუ თუ გგონიათ, რო სინიდისი საკმარისი საშუალებაა, რომლით შეგიძლიანთ დაიპყრათ ხალხთა და ადამიანთა ვნება?..

ნანა: (გადაწვევით) შემოძლიან დავიპყრა ყოველი ხალხი, რომელიც ეთაყვანება სიმდიდრეს და ქალის სილამაზეს!..

ღევ-ქალი: (წამოდგება) მე დავიმონავე კაცობრიობა!.. აი ამ პატარა ფეხ-ქვეშ ითელებოდა სვინიდისი!.. ჩაგრულნი ჩემში ეძებდნენ შველას... მშიერნი მოხოვდნენ პურს, მწყურვალნი—წყალს!.. და მე, როგორც მდიდარი და ლამაზი არსება, ვაკმაყოფილებდი ყველას, ვინც კი თხოვნით მომმართავდა!.. ამ ჩემ ძალას ჰქვიან „ჰკუა“!..

ნანა: არ მომიმართავს შენთვის არასოდეს და არც მოგმართავ!.. პირიქით, შენ, ჰკუიანს, გამოგიცხადებ უსასტიკეს ომს!..

ღევ-ქალი: მე?..

ნანა: შენ, გახრწნილ და საზიზღარ არსებას!.. შენივე საკუთარ ხელით, გვირგვინის მაგიერ, როსკიპი ქალის ლეჩაქს წამოგასხმევინებ!..

ღევ-ქალი: მე?..

ნანა: შენ, ჩემი ერის გათავხედებულ მტერს!.. უნდა გაგერყვნა ხალხი!.. ახლა, იმედებ გაცრუებული, ცდილობ ჩაიგდო მაგ პაწაწა ლამაზ ხელებში ჩვენი დიდებული გმირი და მოცახცახე აღისფერ ტუჩებით ამოუწოწნო უკანასკნელი სისხლი!.. (ღევ-ქალი თითებს იმტვრევს)

გიორგი: დაწყნარდი, ნანა! უმიზეზოდ გულის იშფოთავ!.. (გარედ ისმის საკრავთა ხმა და სიმღერა)

ნანა: (ირონიით) უმიზეზოდ!.. ველოური ხალხი დასცემია ჩვენს ქვეყანას, შენ კი ტუბილ საუბარში ეალერსები მათ მდიდარ და ლამაზ მემკვიდრეს... მათ ჯაშუშს!..

ღევ-ქალი: კმარა!.. (გული შეუღონდება) სიცრუევა, პირველად მესმის!..

გიორგი: (აწყნარებს ღევ-ქალს) არ ეხედავ არც ჯაშუშს, არც მტერს!..

ნანა: თვალით თუ არ ხედავ, ყურით დაინახე!.. გესმის საკრავთა ხმა?.. ის საომარი სიმღერა, რომელიც წინად ქრუანტელს მოგვგრიდა და გაშმაგებული, როგორც ვეფხვი, წამოვარდებოდი ადგილიდან!.. შენი მძლავრი ხმა პობდა ჰაერს და თვალის დახამხამებაში ამოძრავებდი შეიარაღებულ ხალხს! (ისმის მარიაშის ხმა: «შვილო, ნანა, გელოდებით!») მოვდივარ!..

გიორგი: (ნანას) ჩემს მოვალეობას ავასრულებ!.. მეკრამ... თუ მართლა სარმატები გადმოსულან, აღელვებული ხალხი, რა თქმა უნდა, ამ ჩვენ სტუმარს არ მოუთმენს!.. შესაძლებელია ხელიც ახლონ!.. ქალს გავაცილებ მტრის ბანაკამდი და გადავცემ მათ მთავარ სარდალს!.. ამ ჩემ ნაბიჯს—დიდი მნიშვნელობა ექმნება მეზობლებთან მშვიდობიანობის დასამყარებლად!.. თუ ვინმემ მიკითხა, უუხარი, გიორგი დიდ მნიშვნელოვან საქმეზე წავიდა თქო!..

ნანა: (ცრემლები მოერევა) ერი მოგიკითხავს, ქართველი ერი!..

გიორგი: ეს არის ჩემი გადაწყვეტილება... ჩემი სურვილი!..

ნანა: (მწარედ ჩაიცინებს) სურვილი!.. მტრის დახვედრაც ვაჟკაცურად იცის და მოყვრისაც მოყვარულად!.. განთქმული დევ-ქალი შენი მოყვარეა... აგრე იყოს!..

გიორგი: (გაფითრებული) რას ამბობ?..

ნანა: შენ იცი და შენმა სინიღისმა, მაგრამ გახსოვდეს,—დებულ და სასაცილო შუა—ერთი ნაბიჯია!.. დაეცემი, მე, ნანა, სასაცილოდ არ აგიგდებ, ისევე შეყვარები, როგორც... (შესტირებს და სწრაფად შუა კარებში გავა)

დევ-ქალი: ენა ველარ ემორჩილება გრძნობებს!.. (ჩაფიქრდება) გრძნობა, რომელიც ათბობს დამძრალ ვარდის ლოყებს!.. (გამხნევებული, ალერსით) გიორგი, გუშინდელ



სიზმარს გაიმბეღებ!.. ყური მიგდებ!.. ერთ მიუვალ უბნში მიემგზავრებოდნი!.. სიცხე-პაპანება იდგა!.. მხურვალე მზე სწვავდა შენს ახდილ შუბლს და ნუყლის ფერ ტუჩებს!.. წყალი არსად სჩანდა!.. მოქანცულს მუხლები გეკეცებოდა... მაგრამ, არც სიცხეს, არც წყურვილს არ ეპოვებოდი!.. ბევრი სიარულის შემდეგ, შორს, მშრალ რიყის გაღმა, ლერწამი დაინახე, გეგონა—წყალიც უთუოდ იქ იქნებაო!.. გიყვივით გაეჩანე, შევარდი ლერწამში, მაგრამ ამაოდ,—წინ დაგხვდა დამპალი ქაობი!.. თვალს ცრემლი მოგერიო, გული შეგიწუხდა და, როგორც დაკადილი, მიწაზე დავარდი!.. შენი ტირილი ესმოდა ვეფხვს, მზე კი, შენი ღმერთი, უმოწყალოდ გწვავდა!.. უცბად ლერწამში რალმაც გაიშრიალა და გადამწვარ ბუჩქებიდან გამოვიდა გამხდარი, ფერმკრთალი ქალი!.. (ზიზღით) რას ჰგავდა!.. მოგიახლოვდა მტირალს, პერანგის საკინძე ჩამოგხსნა და პირში ორიოდ წყლის ცვარი ჩაგისხა!.. ის იყო წამოიწიე, მაგრამ ოდნავ დასველებულმა პირმა ტანჯვა გაგიორკეცა!.. ქალს მეტი წყალი არ ჰქონდა... გაბრაზებული მივეარდი და ხელი ვკარი!.. შენ კი, ჩემს ღმერთს, მაგრა მოგეხვეე და გაკაცე აი ასე!.. (გადაეხვევა და აკაცებს. გიორგის სახეზე უსიამოვნების ელფერი გადურბენს) იმ ქალს სახელად ერქვა—სვინიდისი!..

გიორგი: მაწვალე, მტანჯავ!..

ღევ-ქალი: ეს არის სიყვარული, რომელიც სქარბობს აზრს და ვერ იმორჩილებს გულს!.. წავიდეთ ჩემთან!.. აბრეშუმის ხალიჩაზე მოგასვენებ!.. ტურფა ვარდით გულში ჩაგიკრავ!.. სიყვარულის აღში დაგწვავ, როგორც სურნელოვან საკმელს!.. გიმღერ ციურ ჰანგებს!..



გიორგი: ნაზი ხარ, ტურფა, გულწრფელი ბავშვი და (ბრაზში რეული ზიზღით) შხამიანი გველი!.. მწუხარება მირყევს ქკუას, ტვინის სიღრმიდან იზღება შავი ღრუბელი... ბინდით მოცული ფიქრი თავს მიბრუნებს!.. (ისმის-ხალხის ხმა-მალა ლაპარაკი) სად გადავიკარგო!..

ღევ-ქალი: წავიდეთ... გავიქცეთ!..

გიორგი: უღარდელ ღხენით გსურს თვალეები ამიბა ჩემს მოვალეობაზე!.. ოქროს კიბით ტარტაროზის ქვესკნელში ჩამიყვანო და იქ, გასისხლიანებულ იატაკზე, სული ამომაცალო გავიჭებულ ხვეენა-კოცნით!.. ყოველისფერს მაგას მეუბნები მაშინ, როდესაც შენი ხალხი ქურდულად ეპარება ჩვენს საზღვრებს, ცეცხლს აფრქვევს თვალეებიდან, რომ აიკლოს ჩემი ქვეყანა და დაღუპოს ეგრედაც ჩაგრული ერი!..

ღევ-ქალი: (ტკბილად) გიორგი!.. დღევანდელ ცისკარს გეფიცები!.. მაგ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს!.. არც მე, არც მამაჩემს ასეთი ბრძანება არ გავიცია!.. თქვენს საზღვრებს დაეცემოდა ავაზაკთა ბრბო, ან ეგ არის ადგილობრივი ამბოხება მცხოვრებთა გაცარცვის მიზნით!.. წავიდეთ!.. გაგაცნობ მთავარ-სარდალს და თუ მას მართლა რაიმე ბრძანება გაუცია თქვენ სამტროდ, უმალ თავს გავაგდებინებ!.. (თავმოწონედ) მე ვარ სარმატების ტახტის მდიდარი მემკვიდრე, მბრძანებელი!.. მე ვარ ქართუხების პირველი მოყვარე და მეგობარი!.. ჩემს სიტყვას ასრულებს ბატონი და ყმა, მდიდარი და ლატაკი!.. მე დავაჩოქებ შენ წინ ჩემ ხალხს, მამაჩემს სამეფო გვირგვინს ჩამოვართმევ და გადმოგცემ შენ, ჩემი ბედის ვარსკვლავს!.. მე შემიძლიან გავტეხო სიტყვა, მოვწამლო, უღალატო მას, ვინც გზაზე

დამიდგება და არ ასრულებს ჩემს სურვილს, ჩემს თხოვნას!.. წავიდეთ, დარწმუნდი და... გაიხარებ!..

გიორგი: წამოვალ!.. მაგრამ იცოდე!.. შენი არა მრწამს რა!.. დევ-ქალს გეძახიან.— მტრობის ღმერთს!.. შენს-სილამაზეზე ქვეყანა ლაპარაკობს, შენს უღვეველ სიმდიდრეზე სთხზავენ ზღაპრებს!.. მე ვინახულებ შენს მთავარ-სარდალს, მტრის მოხეტიალე რაზმებს დავახვეწებ საზღვრის იქით და თუ მილალატე...

დევ-ქალი: მაშინ მომკალ... მომკალ, როგორც შენა ერის მტერი!.. (გადაეხვევიან და მხურვალედ კოცნიან. აჩქარებით და ხმა-მალლა ლაპარაკით შემოდინან ქართლოს, მარიამ, ნანა, კახი, კოლხი და მეომარნი. ქართლოს და ნანას, საომრად გამზადებულებს, აცვიათ სელის კურტაკი, თავზე ტყავის ჰუზარადი ახურიათ. ქართლოს ხელში უჭირავს შუბი და ტყავისაგან დაწნული ფარი, ნანას—მშვილდ-ისარი).

კამოსვლა მქსუთე:

ქართლოს: (მეომრებს) აი, შუბები, ხმლები!.. დაურიგეთ!.. წიწამურში კაცი აფრინეთ... შეატყობინეთ, ქართლოს მზათ არისთქო!.. სურსათი მოაწყეთ... ჩემი სახელით ბრძანება გაეცით, რომ მტრის ბანაკიდან კურდღელმაც არ გარდმოიბრინოს!.. მოდის ველურთა ბრბო, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გვიქადის თავისუფლების მოსპობას!.. თუ საქმე წავაგეთ, რა თქმა უნდა, ვერავი მტერი მონობის უღელს დაგვადგამს!.. (მეომართ გააქვთ იარაღი) კახი და კოლხი, იმედი მაქვს, მთელ „ქართულ“ ერს ფეხზე დააყენებენ!.. გიორგი დარაზმავს ხალხს!..

ნანა: (გიორგის) ხმალი შემოირტყი!..

კახი: (მასვე) ქალი გააგდე!.. (დევ-ქალს ააკანკალებს)

კოლხი: (მასვე) მოკალ!..

მარიამ: (მასვე) ქაში ჩააგდე!.. (წამოსასხამს მიუგდებს. დევ-ქალი შეშინებული გიორგის ეკვრება)

ქართლოს: (მასვე, მარგალიტს გადაუგდებს) სხვების შესასყიდლად გამოგადგება!..

გიორგი: (აღელვებული, ყველას) გაჩერდით!.. ამ ქალის მოკვლა ადვილია!.. სტუმარს ხელს არ ვახლებ!.. სვინიდისს დაეკიპხეთ!..

ქართლოს: დიად, ჩვენი ერის უპირველესი მცნება—სვინიდისი და პატიოსნებაა!.. ეს არის ჩვენი ღირსება!..

მარიამ: (გიორგის) შეილო, უსვინდისობა არა დროს არ ჩაგვიდენია!..

გიორგი: არც ჩავიდენთ!.. ქალს მივაცილებ საზღვრამდე, ვინახულებ მის მთავარ-სარდალს...

ნანა: მაგას არ იზამ!.. თვალეზი გაახილე!.. მტერი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს—გვიგზავნის ჯაშუშს, მდიდარ, ლამაზ, ახალგაზდა ქალს, რომ შენ მიჯნურ გულში ანთოს სიყვარულის მწვავე გრძნობა და მით მიადინოს შენი მოვალეობა ერის წინაშე... მერე ქორივით დაეცეს თავის მსხვერპლს!..

გიორგი: მსურს ვისარგებლო ამ ქალის კეთილ-განწყობილებით, რომ უსისხლოდ შევაჩერო ველურების შემოსევა!.. (ისმის ხმაურობა).

დევ-ქალი: (შეშინებული) წაჭიდეთ, გიორგი!..

გიორგი: მოვდივარ!.. (აფაციცებით იცვამს)

ქართლოს: გიორგი, არ შეგშვენის!..

მარიამ: წყეულმა მოგაჯადოვა!..

კახი: მტერი მოყვარედ მიგიჩნია...

კოლხი: გველი—მეგობრად!..

ნანა: წადი!.. შეიღმა მნათობმა დაგიფაროს!.. იავ-ნანამ კეთილად დაგაბრუნებინოს!.. (ცრემლი მოუვა)

გიორგი: დაებრუნდები!.. (ღევ-ქალთან ერთად გადის მარჯვნივ, კლდის ხვრელში)

ნანა: (გიორგის) მიყვარხარ და ავრეთვე გატაცებით მეყვარები!.. (ხველას) მაგრამ არ გეგონოთ, რომ გიორგის წასვლით დაობლდა ჩვენი ერი!.. მის თოვლივით სპეტაკ სამოსელს შეეხო ყორნის შავი ფრთა!.. მე ვიქნები მისი მოადგილე!.. ქალღმერთ, შუამდინარე, კაბადოკია და ახლანდელი ჩვენი „საქართველო“,—ეს იყო გიორგის ტანჯვის და მწუხარების გზა!.. ახლა აქ, საყვარელო მამილო, ჩვენი ერის დარაჯად დავდგები მე და აი ამ ხმლით (კელლიდან ჩამოიღებს გიორგის ხმალს) გავუძღვები მას ქირში და ლხინში!.. მის მჩაგვრელს ამოვაგდებინებ სულს, მის მოღალატეს თავს მოვკვეთავ და ბილწ სხეულს ძაღლებს გადაუგდებ!..
(ხმაურობა გარეთ)

ყველანი: ვაშა, ვაშა ჩვენ გმირ ნანას!.. დიდება „ქართველ“ ქალს!.. (ქართლს შემოართყავს ნანას გიორგის ხმალს)

ნანა: წინ მიდევს ეკლიანი გზა!.. ვინ იცის რა ბედს გვარგუნებს ცხოვრების ახალი ტალღა!..

ქართლოს: ფეხს არ მოვიცვლი!..

ყველანი: აქვე მოვკვდებით!..

ნანა: (ქართლოსს) რას მარგუნებს ბედი,—მათხოვრის ძონძებს თუ მეფის გვირგვინს,—ერთნაირად მეყვარები, მამილო, და არ დაგივიწყებ!.. (თავს იმაგრებს, მაგრამ ყელში მოსული სისხლი მხურვალედ აატრებს)

ქართლოს: ცრემლი— უმიზნო ტანჯვა, დაღრეჯილობა— სულიერი სიკვდილი!.. (აკოცებს. გარედან მოისმის «იავ-ნანას» გალობა)

მარიამ: დადგება, შვილო, სანეტარო დღე, — ჩვენც გავიხარებთ!.. ბევრი სიმწარე და გაჭირვება გამოვიარეთ!.. გული შეიმაგრე!.. შამაშენმა ხმალი შემოგარტყა!.. შენ იქნები ჩვენი წინამძღოლი ბედნიერებისაკენ!.. და თუ ბედი სიკვდილს გვიქადის, მოვკვდეთ დიდებით!.. (მოეხვევა და აკოცებს)

ქართლოს: (ნანას) გესმის? მფარველ ნანას საგალობლით გზას გილოცავენ!.. შემოსე წააღიო და გამოაცოცხლე ჩვენი ერი!.. ხალხი ნატრობს სხივოსან დილას და უნდა გათენდეს კიდევ ის სასიხარულო დღე!.. (შუა კარებიდან გალობით შემოდინან თვით სამოსელში გამოწყობილი ქალები. ხელში ვარდის კონები უჭირავთ. კერპ «ნანას» წინ გამწყვრივებულნი «იავ-ნანას» გალობენ. ნანა მიუახლოვდება და მათთან ერთად ნხურვალედ ეთაცვანება კერპს).

გამოსულა ქექქსე:

ქალების გუნდი:

„იავ-ნანა, ვარღო-ნანა,
იავ-ნანინა,
გადიდებთ და გევედრებით,
იავ-ნანინა,
მთვარის და მზის დედა-მშობელს,
იავ-ნანინა,
მტრების ხელში არ ჩავვაგდო,
იავ-ნანინა,
ჩვენი მფარველი შენა ხარ,
იავ-ნანინა,

თაყვანსა გცემთ ღედა-მშობელს

იავ-ნანინა,

იავ-ნანა, ვარლო-ნანა

იავ-ნანინა!..

(გალობის შესრულებისათანავე ქალები ვარდის კონებით ამკობენ კერპს და ემშვიდობებიან ნანას)

პირველი-ქალი: (ნანას) ჩვენო იმედო!..

მეორე: „ ჩვენო ნუგეშო!..

მესამე: „ ჩვენო მხსნელო!..

მარიამ: (ნანას) მკიდროდ ჩასკიდე შენი პაწაწა ხელი შენს მშობელს...

ქართლოს: რომ შენმა სუსტმა მარჯვენამ გასკრას უკანასკნელად ჩვენი ბედი!..

ნანა: (ჩაფიქრებული, თავისთვის) გიორგი!..

მარიამ: ბნელ-შავ წყველიაღში შემოაშუქებს სინათლე...

ქართლოს: სინათლე მოგვერის სითბოს...

მარიამ: სითბო გააცხოველებს გულს!..

ნანა: (გამხნეებული) სწორედ მაშინ დადგება სიყვარულის ოქროს ხანა!..

ყველანი: ვაშა ნანას!.. დიდება „ქართულ“ ქალს!..

ნანა: (ყველას) დიად, მე წავიყვან ჩემ ერს, მაგრამ როგორ?.. რა გზით?.. (ჩაფიქრდება. დამსწრეთ სწრაფლ ველინება მაღალ-ტანიანი, ფერმკრთალი არსება. დასაბამიდან კაცობრიობას ახსოვს მისი გაბედული სახე და ოდნავ მომღიმარი ტუჩები, რომელწინდაც შრომის მძიმე ბეჭედი გამოსუვივის. იგი არასოდეს არ უნახავთ გულგატეხილი, მას სწამს ცხოვრების კანონების გამარჯვება. ბედთან იმ თავითვე დაუნდობელი ბრძოლა აქვს გაჩაღებული; სიყვარულით აღსავსე უფლებში გამოუხატება რაღაცა ტანჯვა, მაგრამ, კეთილ იმედობით გამსუვალული, არ ეპოება არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს. მის შავ-ღრუბლოვან სამოსელზე ცეცხლის ასოებით აწერია: «ქამთა-ვითარება»,—ქამი, რომელიც განაგებს ადამიანის და კაცობრიობის ბედ-იბღლით).

გამოსვლა მესხვიდე:

ჟამთა-ვითარება: (ნანას) იმ გზით, რომლითაც მოხველ აქ!..

ნანა: (შეკრთება) ვინ ხარ?..

ჟამთა-ვითარება: მე ვარ შენი ერის კეთილი თანამოგზაური!..
(მოძრაობა)

ნანა: (გახარებული) მამილო, სცნობ?.. ჩვენი მოხუცია!..

ქართლოს: კარგა!.. ჩვენი ბედნიერი ვარსკვლავი!..

ჟამთა-ვითარება: (სველას) თქვენთან ერთად გამოვიარე ტან-
ჯვის გზა!..

ქართლოს: ქალდუ...
...

მარიამ: შუამდინარე...
...

ნანა: კაპადოკია... (ქართლოსს) ლალისის ხეობაში გიორგი სი-
კვდილს რო გადაარჩინა!.. (თავისთვის) სად არის?!..

ჟამთა-ვითარება: გიორგი წავიდა!.. ლხინმა ვაიტაცა!.. მოჯა-
დოებულო კვალ და კვალ დეკ-ქალა მისდევს!.. სილა-
მაზემ ქაბუკი ააძგერა, — ქაბუკმა, თავის მხრით, მასპინ-
ძლობა გაუწია გასაბრუებლად ვადმოსროლილ ლამაზ,
მდიდარ ჯაშუშს!.. ერთი პირი ძილი წყალსაც მოუ-
ვაო!.. არ დაბრუნდება, — რას ელოდებით?..

მარიამ: ლოდინში დნება გული...
...

ქართლოს: კვდება უკვდავი!..

ჟამთა-ვითარება: (ნანას) შენ, მისმა მოადგილემ, ძალა უნდა
მოიკრიფო, რომ შეუწყვეტელ შრომით ერს ბედნიე-
რება მოუპოვო!.. ქვეყანა-მწუხარების საფანეა!.. კაცობ-
რიობა დაულალავად ებრძვის ბოროტებას!.. სულიე-
რად დაცემული და ზნეობრივად გახრწნილი ერი ქრება
დედამიწის ზურგიდან!.. (სველას) თქვენ თვალ წინ და-
ეცა ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია!..

ქართლოს: რა ვართ?.. მუჟა ხალხი!..

ჟამთა-ვითარება: და დიდებული ერი!.. შენ ხარ მზე ქეშმარიტებისა!.. შენს პატარა ერს სისხლით დათხეულ გზაზე ასულდგმულებდა მუდამ სიმართლის ძალა!.. (ნანას) გზა, რომლითაც წახვალ, მიგიყვანს ძღვევამოსილ სამშობლოდმი!.. მამაშენმა საძირკველი ჩაყარა, შენ კედლები უნდა ამოაშენო — მტკიცე, შეურყეველი, რომ არა მტერს არ შეეძლოს მისი დანგრევა!..

ნანა: (ჩაფიქრებული) ქალი ვარ... სუსტი, გამოუცდელი!..

ჟამთა-ვითარება: განდგა ვაჟკაცი... ჯერი მივიდა ქალზე!.. ქალი და პატიოსნება, — ეს არის ის ძალა, რომელსაც შეუძლიან შეანძროს დედამიწის ზურგი... ჯოჯოხეთი აქციოს სამოთხედ და თვის მრავალ-ტანჯულ ერს დაადგას დიდების გვირგვინი!.. (გარედ ხმაურობა რთულდება)

ნანა: (აღფრთოვანებული) ვგრძნობ მაგ ძალას!..

ყველანი: ვაშა ნანას!.. დიდება „ქართულ“ ქალს!.. (გარედან ისმის ხმა: «მტერი მოდის, მტერი!.. გიორგი, გიორგი!..»)

ჟ.-ვითარება: მოდის მპყრობელურ გრძნობით აღსაესე მტერი!.. კიდით კიდემდე დავიარე თქვენი ახალი სამშობლო!.. ხალხი დელავს, იარაღდება!.. (ნანას) შენ სხვისი არ გინდა და შენსაც არავის დაატაცებინებ!.. ხმალს ჩააგებ ქარქაშში მაშინ, როდესაც მოისპობა ერთა შორის სიძულვილი და შური!.. გისურვებ მოვალეობის პირნათლად აღსრულებას!..

ყველანი: ვაშა ნანას!.. დიდება „ქართულ“ ქალს!.. (გარედან მოისმის საკრავთა ხმა და საომარი სიმღერა. კარებში შემოვარდებიან შეიარაღებული მეომრები).

კამოსელა მერვე:

1 მეომარი: საყვარელო ქართლოს!.. ხალხი გიორგის კითხულობს!..

2 მეომარი: წიწამურთან გამწვავებული ბრძოლაა!..

ქართლოს: გიორგი წავიდა!.. გამოუცხადეთ ხალხს, რომ მის ნაცვლად „საქართველოს“ შეიარაღებულ ზეერთებულ ძალთა მთავარ-სარდლად ვნიშნავ ჩემ საყვარელ, ერთადერთ ქალიშვილ ნანას!..

ყველანი: ვაშა ნანას, ვაშა!.. დიდება „ქართველ“ ქალს!..

(ნანა, აღფრთოვანებული, თავს უკრავს. პირ. მეომარი გადის ხალხთან და ხმა-მადლა უცხადებს: «ხალხო და ერო!.. გიორგი წავიდა!.. მის ნაცვლად საქართველოს შეიარაღებულ და ზეერთებულ ძალთა მთავარ-სარდლად ჩვენი მეუფე-მამასახლისი ნიშნავს თავის საყვარელ, ერთადერთ ქალიშვილ ნანას!..») ხალხი: «ვაშა ნანას, დიდება «ქართველ» ქალს!..» საომარი სიმღერა ისმის მოქმედების გათავებამდე)

ნანა: (მეომრებს) ცხენი დამიმზადეთ!.. (მეორე მეომარი გადის ბრძანების აღსასრულებლად) ხალხის და ერის მოღალატე იქნება ის, ვინც არ შეასრულებს ჩემს პირველ ბრძანებას!.. (შემორბის აღელვებული შიკრიკი)

კამოსელა მეცხრე:

შიკრიკი: (ნანას) დიდებულყო მთავარ-სარდალო!.. ეს არის ეხლა სამამასახლისოს საზღვარზე დევ-ქალმა პატარა ხანჯლით ჩვენი გიორგი-გმირი დასჭრა!.. (ნანა შეეკრთება)

ქართლოს: (განცვიფრებული) ... პატარა ხანჯლით...

მარიამ: ვაი შენ დედას, შვილო!.. (ტირილით გადის)

შიკრიკი: (ნანას) ხალხი მოუთმენლად ელის თქვენს პირველ ბრძანებას!..

ნანა: (თავს იმაგრებს, მტკიცე ხმით) ამ წუთში დევ-ქალი მომგვართ, — ცოცხალი ან მკვდარი!.. ეს არის ჩემი პირველი ბრძანება!.. (შიკრიკი გარბის, ყველას) ხალხი დასძარით!.. (მეომრები ხმლებს იშიშვლიან. ნანა უცბად ქამთა-ვითარებას შეხედავს)

ქამთა-ვითარება: (უშა კარებზე მიუთითებს) გზა სინიდისისა და პატეოსნებისა, რომელიც იხსნის უენს ერს!.. (ნანა ამაყად მიდის კარეზისკენ, მას მისდევენ ქამთა-ვითარება, ქართლოს და მეომრები. კარებში ნანას ხალხი «ვაშას» ძახილით ეგებება).


ზ ა რ დ ა .



გეორგი მოქვედგა:

საქართველოს ოპაროს ხანა.

(მეთორმეტე საუკუნე ქრისტეს შემდეგ)



(სცენის მარცხნივ—დიდუბის საყდარი თბილისში. პირდაპირ მოსჩანს დიდუბის მინდორი. მარჯვნივ სდგას ნანას სამეფო კარავი. მარჯვნივე, ავანსცენაზე დგას შოთა რუსთაველის მაგიდა. სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიაში ვერ ეტევა და შესავალის წინ ჩერდება. პირველ რიგში დგანან ქართლოს და მარიამ. კათალიკოზი იხდის პარაკლისს. ისმის მთავარ-დიაკვნის ხმა: «თვით დაცულ სრულიად საქართველოს მეუფებას, მთავრობას და მხედრობას მრავალ-ქამიერ»,— მგალობელთა გუნდი უპასუხებს «მრავალ-ქამიერ»-ს. ზარებს რეკავენ. ეკლესიიდან გამოდის ნანა. აცვია, როგორც თამარ მეფეს, თანახმად სვანურ ლეგენდის აღწერილობისა:

«თხემსა ეხურა მას ზუჩი,
ყურებსა ჰქონდა საყურე,
ლაწვები ჰქონდა ბრწყინვალე,
ყელზედა ება იაშმი,
ზეიდან ეცვა აბჯარი,
შიგნით—ზეზი—ატლასი,
მხრებზე ჰქონდა სამხრებები,
წვივებს—საწვივეები,
ფებთა ემოსა წულეები...»

ნანას მოსდევნ კათალიკოსი, ამირ-სპასალარი, შოთა რუსთაველი, უბუცესნი და სხვა წარჩინებულნი პირნი. მარჯვენა მხრით ნანას ახლავს სახლთ-უბუცესი გიორგი, —ხელში სიგელ-გუჯრები უჭირავს. ხალხი აღტაცებით ეგებება თავის საყვარელ მეფეს)

გამოსულა ზიწკელი:

ხალხი: ვაშა, ვაშა!.. დიდება ქართველ ქალს!..

ნანა: (ხალხი წყნარდება) საყვარელო ხალხო!.. ეს არის ეხლა პარაკლისი გადვიხადეთ და საქართველოს მფარველ ღვთის მშობელს მუხლ-მოდრეკით ვთხოვეთ გამარჯვება ახალ მტერზე!.. მოგეხსენებათ, რო საქართველოდან გაძევებულმა რუსთა მეფის ანდრიას შვილმა და ჩემმა ყოფილმა ქმარმა სავალთმა, რომელსაც მუდმივ შვიდივე ბოროტება ემარჯვებოდა, გადმოსხა შავი ზღვის პირზე ჯარი და კარნუქალაქის მხრით კლარჯეთში შემოიჭრა!.. სამშობლოს მოღალატეებს თავის მხრით წახდენილი ადამიანი გეგუთში ჩაუყვანიათ და, როგორც მატყობინებენ, მეფედ გამოუცხადებიათ!.. მის მხარეზე გადასულა ზოგიერთი დიდებული პირი და ყველა ღიბთიქითელები!.. მასვე სომხითარები შეუერთდნენ!.. (მტკიცე ხმით) სავალთს და მის მომხრეებს სასტიკ ომს უცხადებ!.. შესაძლებელია დღესვე ჯარი დაეძრა!.. მზოდოდ თქვენ, ჩემო დებო და ძმებო, გთხოვთ პირადად დაიცვათ დედაქალაქში წესიერება, თვალ-ყური ადევნოთ, რომ შინაურმა მტერმა არ ისარგებლოს ჩვენი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობით და ვერაგულად ზურგში დანა არ ჩაგვკრას!..

ქართლოს: მზათა ვართ!..

ხალხი: მზათა ვართ, დიდებულო მეფე!.. ვაშა, ვაშა!.. (ნანა თავის ამალით კარავში გადადის და სამეფო სავარძელში ჯდება. გიორგი მოხსენებას აკეთებს და ნანას ბრძანება სიგვლთ კრებულში შეაქვს)

შოთა რუსთაველი: (ჯდება თავის მაგიდასთან და «ვეფხვის ტყაოსნის» წერას იწყობს. დაწერილს ხმა-მალა იმეორებს)

„რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა...
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“...

გიორგი: (მოწერილობას გადასინჯავს) დიდებულო მეფე!.. კახეთი, ჰერეთი და ქართლი სალამს გიძღვნიან და ერთგულობას გიცხადებენ!..

ნანა: მადლობა უთხარით!.. წარგზავნეთ თელავს რწმუნებულნი, რათა შეამკონ ლალ-ფირუზით ალავერდის ღვთის მშობლის ხატი!.. ბოდბის სავანეს უძღვნი საჩუქრად სადაფს, რომელიც მოქედლია მსხვილ იაკინთით და საფირონით!.. ბრძანებას ვაძლევ ბექას მოქედოს და უღიადესი ელვარება მისცეს ანჩის ხატს!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

გიორგი: დიდებულო მეფე!.. დღეს დილით დარიალანთ კარით ჩამოვიდნენ ომში გასასვლელად „სხვილ ბარკალ და არწივებრ გამქვრეტ გმირები,“ მოხუც ჩოფიკას მეთაურობით, რიცხვით ცხრაასი კაცი!..

ნანა: დარიალანთ კარის მცველებს და ჩოფიკას მადლობას უცხადებ!.. ქართველ მთიელებს უგზავნი ჩემი ხელით ამოქარგულ ღვთის მშობლის სახეს,--აკურთხონ და დაასვენონ წმიდა სამების ეკლესიაში, მყინვარის ახლოს!..

ხალხი; ვაშა, ვაშა!..

გიორგი: დიდებულო მეფე!.. შიკრიკის ცნობით ანანურში ჩამოსულა ფშავეთი და გუდამაყარი, რიცხვით ათასორასი მეომარი!.. ბოჭორმის ძირშიაც მგლური ნაბიჯით მოისწრაფის ხმლებ დაღესილი ხევსურთა რაზმი ზვიად-

ქინჯარაულის წინამძღოლობით!.. თან ახლავსო ჩაღ-
მათა მზვერავნი, მარქათა-იაბოებზე მჯდომნი!..

ნანა: ფშავ-ხევსურთ უგზავნი თეთრი გიორგის ვერცხლით
მოჭედნილ ხატს, ხახმატში დასასვენებლად, და ოქრო-
ვერცხლით ნაჭედ ხმაღს არდოტის მძღეთა მძღე-წმიდა
გიორგისათვის!.. თუშებს — ვერცხლის და ოქროს
ზარებით შემკულ ფარჩის დროშას!.. ზვიადა-ქინჯარაულს
და მათ გმირებს მადლობას უცხადებ!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

ქართლოს: მეომართა რიცხვი მრავლდება დღითი დღე!..

ნანა: (ქართლოსს) სისხლის ღვრა არ მოვიწადინე!.. მტერს
შუაკაცები დაუგზავნე, მაგრამ მემამოხებებმა მშვიდობა
არ მოისურვეს!..

შოთა რუსთაველი:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, —
შენ დამიფარე, ძღევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!..“

ნანა: ... გადმოლახეს ლიხი, ააოხრეს ქართლი და ნაჭარმა-
გევის სასახლეს მოადგნენ!..

ხალხი: სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!..

ნანა: ეს არის შედეგი ზნეობრივად გახრწნილ ადამიანის ორ-
გულობისა!.. სიცრუე და ორპირობა მათი ცხოვრების
მიზანია!..

შოთა რუსთაველი:

„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა!
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა თქმულსა:
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა!..“

გიორგი: ბრწყინვალე მეფე!.. ნაჭარმაგევის ახლო, ბრძოლის
ღროს, მოღალატეებს ხელში ჩაუვარდათ პეტრე ფაე-
ლენიშვილი!.. წინადადება მისცეს ელალატნა სამშობ-
ლოსთვის და თავის რაზმით მათ მხარეზე გადასულიყო!..

ფავლენიშვილმა უარპყო საზიზლარი წინადადება!..
საპასუხოდ ჯერ აწვალეს და მერე ვერაგულად მოკლეს!..
(ხმაურობა ხალხში)

ნანა: გაეცეს პეტრე ფავლენიშვილის მემკვიდრეებს ასი პერ-
პერა სახელმწიფო სალაროდან, დავალებით,—აღაშე-
ნონ თავის მამულზე ომში დახოცილთა ქვრივ-ობლე-
ბისთვის თავშესაფარი!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

შოთა რუსთაველი:

„რა უარეა მამაცა, ომშიგან პირის მღმეკელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეტველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?..
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..“

გიორგი: ბრწყინვალე მეფე!.. კახელი ნიკოლოზ გულაბერიძე
აღიმაღლებს ხმას და მოუწოდებს ხალხს „შიდიჩნოს
ჩვეულება ფილოსოფობისა, და სწავლულობისა გამო-
ძიებითა“ გამოიკვილოს თვისი წარსული ამბები!..

ნანა: ერის საკეთილდღეოდ და მდაბიოთა გაუმჯობესობისა-
თვის დაარსდეს იყალთოსა და გრემს უმაღლესი სასწავ-
ლებელი!.. გარესჯის ანტონ გლონისთავიძეს ვნიშნავ
ვაზირად და ჭყონდილლად და ვაბარებ მას მწიგნობართ-
უხუცესობას!.. მისი დანიშნულება იქნება—ააყვავოს
საქართველოში სწავლა-განათლების საქმე!.. მასვე ვავა-
ლებ ღარიბ-ღატაკთა შველას, რომელთა შესანახად გა-
დადებულ იქმნას ყოველ წელს სამეფო შემოსავლის
მეთაფი, უკლებლივ!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

შოთა რუსთაველი:

„მიეც გლახაკთა საქურტლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“...

გიორგი: დიდებულო მეფე! თქვენი ბრძანებით მსაჯულთ-უხუ-
ცესმა შეიტანა საქართველოს კანონთა კრებულში რუ-
ის-ურბნისის დადგენილებანი და ბაგრატ მეფის ძეგლში
ზოგიერთი მუხლი შესახებ ქალის და ადამიანის პირო-
ვნებისა!.. (კითხულობს) „მუხლი 140,—თუ ცოლი და-
სნეულდეს, ქმარი ცოლის გვარსა არას ემართლებს,
მისთვის, რომ მის ხელშივა დამართებია!..“

ნანა: ვადასტურებ!..

გიორგი: „მუხლი 142,—თუ უსამართლოდ პატრონმა ყმა
გაცარცოს, თორმეტი გლეხი დაუუფროს!..“

ნანა: ვადასტურებ!..

შოთა რუსთაველი:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!..“

გიორგი: (განაგრძნობს) „მუხლი 156,—თუ მამა-შვილნი გაი-
ყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლებს,
ამისთვის რომე, რა მამა მოკვდების, მამულსა შვილი
არას ემართლებს,—მან სხვა მოიგოს მამის სიკვდი-
ლამდის!..

ნანა: ვადასტურებ!.. გუშინ თბილისის ციხის თავს გლეხები
გაუჯოხნია!.. დამნაშავეთათვის დაწესებულია სასამარ-
თლო!.. ამ დღიდან სასტიკად უკრძალავ ტაჯგანაგის
დაკვრას!.. (გიორგის) კრებულში შეიტანეთ!..

ქართლოს: ვაშა მსჯელსა მსჯავრისა და სამართლისა!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

შოთა რუსთაველი:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!..“

ქართლოს: დიდებულო მეფე და საყვარელო შვილო ნანა!..
უფლება არა მაქვს ხმა გაგაწყვეტინო, მაგრამ ეს და-

ქართლოს: თუთქული გული (გულში ჩაიკრავს) პასუხს მოითხოვს იმ საკითხზე, რომელიც წამოყენებულ იქმნა თქვენს წინაშე ყუთლოუ ასლან ჯაყელის მიერ!..

ხალხი: ისნის კარავი, ისნის კარავი!..

ნანა: (წამოდგება, წაწყენი) პასუხი გაცემულია თავის დროზე!..

ქართლოს: რა სურდათ მათ?..

ნანა: სამშობლოს დანგრევა და მტრის ბედნიერება!..

ქართლოს: კარგა მოგეხსენება, დიდებულო მეფე, რა ასულ-დემულებს ჩვენ მრავალ-ტანჯულ ერს, — ეს არის თავისუფლება მის შემოქმედების ყოველ დარგში!.. მართალია, თქვენმა დიდებულებამ მოიწვიეთ ისნის კარავში ხალხის შეილნი, მაგრამ...
ქართლოს: მისთანა მაღალხარისხოვანი საკითხი, როგორცაა ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, შესაფერისად არ იყო გადაჭრილი!..

ამირ-სპასალარი: (მოუთმენლად) რა მაგრამ?..

ნანა: (ამირ-სპასალარს) სიტყვა ათქმევინეთ!..

ქართლოს: მისთანა მაღალხარისხოვანი საკითხი, როგორცაა ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, შესაფერისად არ იყო გადაჭრილი!..

ამირ-სპასალარი: (აღელვებული) გაჩუმდი!.. (მოძრაობა ხალხში)

ქართლოს: ამირ-სპასალარო!.. გირჩევ გაჩუმო შენი შეილი იოანე!.. შენთვის ნაბოძებია სათავადო და სამთავრო ღორე!.. ხმაურობა სწორედ იქიდან მოდის!..

ნანა: (აღელვებული) დაწყნარდით!.. (ქართლოსს) საყვარელო მამა!.. მართალია, დაგვირგვინების დღიდან ჩემთან არ გიშვებდნენ... ამიტომ დაწვრილებით არ იცი, რა მოხდა ისნის სასახლეში მაგ საკითხის გადაჭრის დროს!.. ხალხი არას დროს არ სცრუობს, მაგრამ შეცდომა მისთვის ყოვლად შესაძლებელია!..

ხალხი: ბრძანე, ბრძანე, დიდებულო მეფე!..

დეთ განავონ ჩემთან ერთად საყვარელ სამშობლოს
ბედ-იღბალი!..

ხალხი: ვაშა, ვაშა!..

შოთა რუსთაველი:

„ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა:
თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა...“

ქართლას: ხმა დადის დიდებულო მეფე, ვითომ სახელმწიფო
სათათბიროს ზოგიერთი წევრები სავალთის მხარეს გა-
დასულან და ახლანდელ ამბოხებაში მხურვალე მონა-
წილეობას იღებენო!..

ნანა: (უკმაყოფილო კილოთი) სამცხის ერისთავს და სპასალარს
ბოცო ჯაყელს, ტაო-კლარჯეთის მთავარ-მართველს
გუზან აბულასანიძეს, ოდიშის ერისთავს ბედიანს,
და ყველა მათ მომხრეებს, რომელნიც ამ ჟამად
მეამბოხეთა ბანაკში იმყოფებიან და უცხო ძალებ-
ით ხელმძღვანელობენ ქართველ ერის დასამხობად,
ვაცხადებ სამშობლო აქ მოლაღატეებად!.. (ბრძანებას
ხელს აწერს)

ხალხი: სიკვდილი სამშობლოს მოლაღატეებს!..

გიორგი: დიდებულო მეფე!.. საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული
ბერძენთ იმპერატორი ანდრონიკე პირველი კომნიანოსი
მეუღლით, შვილებით და დისწულით დავსახლეთ,
თქვენი ბრძანებით, თოლას სასახლეში!.. იმპერატორი
და მისი სახლობა გულწრფელ მადლობას გიცხადებენ!..

ნანა: იმპერატორ ანდრონიკეს და ანდრონიკეს შვილებს, აწ
დასახლებულებს შარვანისა და ზღვის პირის მეფის აღ-
სართანის მიჯნაზე, ვაძლევე გამგეობაში ჰერეთის მისადე-
ვარს!.. ომის დროს ვალდებულნი არიან გამოდიოდნენ
მისადევრის ლაშქრის სპასალარად!.. (ბრძანებას ხელს აწერს)

გიორგი: დიდებულო მეფე!.. დღეს დილით საზღვარ-გარეთიდან მობრძანდა რუმ-იკონიის სულთან ნუქარდინის ქალიშვილი, თან უამრავი ძღვენი მოუტანია!..

ნანა: მოიწვიეთ!.. (გიორგი გადის)

მარიამ: (ქართლოსს, ნანაზე) მთელი საქართველო მოიარა!.. ქრისტეს რჯულის ქადაგების დროსაც უპირებდენ მოკვლას!.. ჩვენ ერს სიკეთის მეტი არა უნახავს რა მისგან, და ახლა ხედავ?—თავისივენი ლალატობენ!..

ქართლოს: ეჰ... ლაპარაკობ!.. იუდაც შინაური იყო, მაგრამ ქრისტეს რა ადვილად უღალატა!.. ღეთისა და ადამიანის ლალატი თურმე ცხოვრების კანონი ყოფილა!.. ქალდუღან მოყოლებული კვალ და კვალ მოგვდევს ეს საზიზღარი მხეცი... მაგრამ ადამიანთა სივერაგეს ჩემი ერი მუდამ სინიდისს და პატიოსნებას უპირდაპირებდა!.. ამ ჯავშანს არა იარალი არ მოეკიდება!.. ამ ბასრი შუბლით თეთრმა გიორგიმ თავი გაუბო ჩვენ მოსისხლო მტერს—შხამიან გველაშაპს!

მარიამ: მაგ იარალითვე ჩვენი საყვარელი ნანა ენას ამოაგდებინებს იმას, ვინც მშობელ დედას მოშხამულ ვარდს მიაწოდებს საყნოსველად!..

ხალხი: სიკვდილი მოღალატეებს!.. (შემოდის გიორგი და მდიდრად ჩაცმული დევ-ქალი შემოაქვავს. ზანგებს შენოაქვსთ ძვირფასეულობით სავსე ხურჯინი).

კამოსვლა მეორე:

დევ-ქალი: (ნანას თავს დაუკრავს, მოწიწებით) უდიდებულესო და უბრწყინვალესო მეფევ და აღმოსავლეთის სავსებით მპყრობელო!.. მამაჩემი სულთანთა სულთანი, დიდი ნუქარდინი, გიგზავნის სალამს და მხურვალე ლოცვით



ითხოვს, რათა „განაგრძოს ალლაჰმა ბრწყინვალეობს“
თქვენი უდიდებულესობისა, ხელმწიფის სახელოვანისა,
მხნისა, ძალ-გულოვანისა, უძლიერესისა, დაუცხრო-
მლად მბრძოლისა, ლომებრისა, თვისის სარწმუნოების
მტკიცედ მცველისა, ქვეშევრდომთათვის მართლ-მსაჯუ-
ლისა, ზღვათა და ნავთსაყუდელთ საუნჯისა, რუმისა
და ერანის ქვეყნათა მფარველისა, იესოს სარწმუნოების
დედაბოძისა, თვისის მსჯავრით უწმინდეს იერუსალიმის
ამამაღლებელსა, რომთა პაპის შემწისა, მაჰმადიანთ,
მეფეთა და სულთანთა უერთგულეს მეგობრისა“...
(დაიჩოქავს და თავს დაუკრავს)

ნანა: სულთან ნუქარდინს მადლობას უტყვადებ!..

დევ-ქალი: უმშვენიერესო მეფე!.. ამ ყუთში იმყოფება ქათმის
კვერცხის ოდენა მარგალიტი, — აშურ ბაბილონის მეფის
საჩუქარი ჩემ წინაპრის სრულ-წლოვანობის დღეს!..
(ოქროს ყუთს სახურავს მოხდის) აქვე ინახება განთქმული
ნატვრის თვალი, რომელიც ჭკუიანს თვალებს უბრმა-
ვეებს, სულელს — უხილავს!.. ლალით მოქედილ აზარ-
ფეშაში დგას ჩიტის რძე, — აძლობს მშვიერს და ამშვიებს
მადლარს!.. მიიღე, ღვთისა სწორო, მორჩილ მონა-ყმი-
სგან ეს ძღვენი!.. (ყუთს მიართმევს)

ნანა: გმადლობთ!.. (ყუთს გიორგის გადასცემს) სასახლეში გა-
გზავნეთ!..

დევ-ქალი: (ზანგებს) ხურჯინი გახსენით!.. (ზანგები ხურჯინს
გახსნიან და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელს ამოაღაგებენ. დევ-
ქალი თავის ხელით ხალხს ძვირფასეულობას დაურიგებს,
ხალხში დადის და ყველას ესაუბრება).

ნანა: (გიორგის) აღლუმის შემდეგ ჯარს დავძრავ პირადად მე!..
შენ, ჩვენო დიდებულო გმირო, გნიშნავ როქის სპის

უფროსად! სულ ოთხმოცი ათასი ცხენოსანი გებარება!..

(ღევ-ქალი კრთომით გიორგის შეხედავს)

გიორგი: მადლობას მოგახსენებ, დიდებულო მეფე!..

შოთა რუსთაველი:

„კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი დაკაზმულია,

კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია...“

გიორგი: დიდებულო მეფე!.. ეგვიპტისა, იემენის და ალეპოს ფლობელი სულთან სალადინი მოციქულის პირით მოკიუხვას გიგზაენის და გიცხადებს, რომ ამ დღიდან იერუსალიმში მიმავალ ქართველებს უფლებას აძლევს შედიოდნენ წმ. ქალაქში შიარაღებულნი და ეროვნულ დროშის გაშლით!.. მლოცველებს ამიერიდან ანთავისუფლებს ყოველ გვარ ხარჯ-ბეგარისგან და სულთნის ყოლაუხები მიაცილებენ და იქიდანაც გამოაცილებენ საქართველოს საზღვრამდე!..

ნანა: სულთან სალადინს მადლობას უცხადებ!..

გიორგი: დიდებულო მეფე!.. კონსტანტინეპოლიდან ჩამოსული ქართველი ბერები გთხოვენ დახმარებას და სავანესთვინ შესაწირავს!..

ნანა: მიეცეს კონსტანტინეპოლის ბერებს „ღუკატი და ორნი დიდნი სტავრანი,“ რათა შემოსონ ქართული ჩუქურთმითა და სამკაულითა დიდითა სოსტენის „წმიდათა მოციქულთა“ სავანე!.. ქართველთ ახალშენის უფროსს და ჩვენ ელჩს ბიზანტიის იმპერატორთან ბრძანებას ვაძლევ გააშენოს ბიზანტიის დედა-ქალაქში ხანაგა ქართველ მლოცველთათვის!..

შოთა რუსთაველი:

„მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად!..“

(შემობრბის შიკრიკი, გადასცემს გიორგის წერილობით ცნობას და უკან ბრუნდება)

გიორგი: (წერილს თვალს გადაავლებს) დიდებულო მეფე!.. მიღებულ ცნობით, მემამოხეთა მეორე ჯგუფი, დადიანბედიანთ წინამძღოლობით, იმერეთიდან სამცხეს გამოსულა, გადუწვავს ქალაქი ოძრხე და ბოცოა ჯაყელს შეერთებია!.. (ხმაურობა ხალხში. დევ-ქალს პირზე ღიმი უქრის. ზანგებს ხელით ნიშანს აძლევს, რომ გავიდნენ. ზანგები გადიან)

ნანა: (ჩაფიქრებული, მოწუნებით) რათა, რისთვის? (ხალხს) ჩემო საქართველოვ!.. ვდგევარ და შემოგვკქერი, როგორც ობოლი დაობლებულსა!.. მიყვარდი... მიყვარხარ ქირში და ლხინში!.. ბევრი უბედურება გინახავს, — ყველგან და მუდამ გმირად გრძნობდი შენს თავს!.. აი, ეხლაც, შენი უღირსი და მოღალატე შვილები საფრთხეს გიშადებენ!.. კოდვა-მოკოდვის მომხრე არა ვარ, მაგრამ (მრისხანედ) სადაც არ გასქრის ჩემი სიტყვა, იქ ვიხმარ ძალას!.. მე შევანძრევ დედამიწის ზურგს, სისხლის კალოდ ვაქცევ მას, ვინც შეეცდება შენი პატიოსან სახელის შელახვას!.. საყვარელო საქართველოვ!.. (ცრემლი მოუვა, მაგრამ თავს იმაგრებს)

შოთა რუსთაველი:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა; არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა; წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ქირთა თმენა, არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა...“

მარიამ: (ნანას) შეილო, გმირობაც გამოგიჩენია, მაგრამ ვინ დაგაფასა, — ქალი ხარ!..

ქართლოს: საკმარისად დაგაფასეთ!.. ეს ის ქალია, რომელმაც საძირკველი განუმტკიცა ჩვენს ახალ მიწა-წყალს, — ახლანდელ საქართველოს!.. მოკლა დევ-ქალი და სი-

კვდილის ბრწყალებიდან იხსნა ჩვენი გმირი გიორგი!..
(ღევ-ქალი აღელვდება) მიაშხვრია არმაზის კერპი და მის
ნანგრევებზე დიდებით აღმართა ძმობა-სიყვარულის სიმ-
ბოლო—ქრისტეს ჯვარი!.. ქალმა უმანკო გულით უს-
წრო ვაჟკაცსა ბრძენსა!..

შოთა რუსთაველი:

„თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღვთისა დანაბადია:
ლექვი ლომისა სწორია,—ძუ იყოს, თუნდა ხვადია!..“

ხალხი: ვაშა, დიდება ქართველ ქალს, ვაშა!..

ნანა: (უცბად რაღაც მოაგონდება, გიორგის) მოკვარეთ ამირთ-
ამირა!..

გიორგი: (დაიბნევა) დიდებულო მეფე!.. თბილისის ამირთ-
ამირა და მისი მომხრეები, გათენებისას, მტრის ბანაკში
გაქცეულან!..

ღევ-ქალი: (ნანას) გზაზე დამხედნენ, ჩამოსვლა მომილოცეს...
ძვირფასეულობით სავეს ხურჯინი ჩამომართვეს და რი-
ჟრაჟის ბინდ-ბუნდში მიიმაღნენ!.. (თავს დაუკრავს)

ნანა: (გიორგის) რატომ არ შემატყობინეთ?..

გიორგი: წინა დღით სალაყბოზე რაღაც კრება გამართა!..
ხალხის უფლების დაკნინების მიზეზს იძიებდა!..

ღევ-ქალი: (ნანას, მოწიწებით) დიდებულო მეფე, მიზეზად და-
სახელეს თქვენი უფლების უაღრესად განდიდება უკა-
ნასკნელ დროს!.. (თავს დაუკრავს)

ნანა: (ხალხს) მე ვეკითხები ქართველ ხალხს, სურთ თუ არა
ეხლავე გვირგვინი მოვიხადო, ჩემი ძალა-უფლება გა-
დავსცე სამეფო ტახტის პატრონს, რომ პირადად განა-
გოს ქვეყნის ბედ-იღბლით და თითონვე თავის თავს
ემსახუროს?..

ქართლოს: მიზეზს არ ვხედავთ!..

ხალხი: არა, არა!..

ნანა: (გიორგის და დევ-ქალს, აღელვებული) მაშ გაჩუმდით!.. და ბრძანებას ვაძლევ გააჩუმოთ, ვინც ქურდულად ეპარება ჩემ ხალხს დამოუკიდებლობის დასამზობად!.. (დევ-ქალს ქრუანტელი გაუვლის და ჩაფიქრებული სხვა ადგილს გადავა-ისმის «სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა» ხმა) იმ დროს, როდესაც გარეშე ძალა აბოზოქრებული აწ-ვება ჩვენ საზღვრებს და ბრაზით იმუქრება საქართველოს წასაღეკად, სამშობლოს მოღალატენი დედა-ქალბქის მოედანზე კრებას მართავენ და მაცდურ სიტყვით თავს უბრუნებენ გულუბრყვილო ხალხს!.. კარგა მესმის რა არის ხალხის უფლება!.. თუ ჩემ ვალდებულებას კანონიერად ვერ შევასრულებ, მას უფლება აქვს, დადებულ პირობის ძალით, დაარღვიოს ჩემთან ხელშეკრულება და... გადამაყენოს!..

დევ-ქალი: (ტკბილი ხმით, ხალხს) მახსოვს, ასე მოხდა ბაბილონში, ძველ რომში, საბერძნეთში, სადაც ხალხმა, მეფის ჩამოყენებისათანავე, პირდაპირ თავის მართველობა გამოაცხადა!.. (ხმაურობა)

ნანა: (დევ-ქალს ეჭვის თვალებით შეხედავს) მაგრამ ამ ჟამად მე, ხალხის მისწრაფების გამომხატველს, მედავება არა თვით ხალხი, არამედ მოღალატეთა ბრბო, რომელთაც აზრად აქვსთ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ!.. წყვდიადი შეუქმნევლად შლის თავის შავ ფრთებს!..

გიორგი: დიდებულო მეფე!..

ნანა: (გააწყვეტინებს) ამირ-სპასალარს და როქის სპის უფროსს ბრძანებას ვაძლევ თბილისის ირგვლივ გზები შეჰკრან!.. თვალ-ყური ადევნონ სტუმრებს და მეგობრებს, რო-

მელნიც ჩვენ სამტროდ უბეში ქვას დაატარებენ!.. (ღევ-
ქალს შეხედავს) ციხე შიგნიდან გატყდებოა!.. (გადის, სა-
ვსე მუჟით ხალხს ოქროს აყრის. ხალხი «ვაშას» ძახილით
აცილებს. უკან მისდევენ ამაღლა, ქართლას, მარიაშ)

შოთა რუსთაველი:

„უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედან სცვეთდენენ, ვითა ხიდსა..“

ღევ-ქალი: (გიორგის) გაფრთხილდი, სიტყვა არ წამოგცდეს!..
წავალ, თორემ ეჭვს აიღებენ!..

გიორგი: (ცივად) წადი!..

ღევ-ქალი: ამ ღამ მოგელოდები!.. (ნახად) გათენებისას გა-
ვალთ ბაღში და დავკრეფთ ახლად გაშლილ ვარდს!..

გიორგი: ეჰ, ქრისტე ჯვარზე ჰკიდია და ფარისეველთა სინე-
დრიონი ნადიმს მართავსო!..

ღევ-ქალი: რიყრაყზე ჩემი მოღვებო ამალღებულ სიყვარულს
უგალობენ წმიდა ლოცვას!.. მსურს დაგატყობო ზეცი-
ურ გრძნობით, რომელიც გაგისპეტაკებს გულს და
სულს აგიმალღებს!.. გამოგაცოცხლებ, რომ კვლავ
იშფოთოს მიჯნურობით შენმა სისხლ-მოღვეულმა არ-
სებამ!..

გიორგი: მესმის ყვავ-ყორნის ჩხავილი, გველის სისინი და ღე-
დაკაცის მომხიბლავი სიტყვები!..

ღევ-ქალი: (გაკვირვებული) შენ, გონიერმა, ქართველ ერის
სახელოვანმა გმირმა, ფეხ-ქვეშ უნდა გათელო ეს ჩემი
წმიდა გრძნობა, ობლად დამტოვო და განგებ შეაჩერო
ამ მოსიყვარულე გულის ფეთქა!..

გიორგი: ქების ჯილას აფრქვევ, რომ თვალები ამიბა და შერე
მაგ პატარა ხანჯლით (ყელზე უჩვენებს) აი ეს ძარღვი
გადამიჭრა!.. ბევრი ამისთანა მაგალითი მინახავს!..

შოთა რუსთაველი:

„მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად,
ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შეჰქმნა ხორციელად?..“

ღევ-ქალი: მე ვარ სინიღისიერი და კეთილშობილი ქალი!..
მამაჩემს ანდერძად დაუდგია ჩემთვის რუმ-იკონიის სა-
სულთნო ტახტი!.. უძველეს წიგნებში ამოკითხული
მაქვს ადამიანთა სიბრძნე-სიცრუის ისტორია!.. სიცრუემ
სძლია კაცობრიობა!.. ბრწყინვალე გარეგნობამ შთან-
თქა სიბრძნის მოძღვრების დიადი შინაარსი, აზრი...

გიორგი: რა გსურს?.. ჩემი სიყვარული, თუ...

ღევ-ქალი: შენი სიყვარული, ძალა, ჭკუა!.. მსურს აღვადგინო
სულიერ და გონიერ სიბნელებში ჩაფლული კაცო-
ბრიობა, გარდავქმნა მთლად მთელი მისი ყოფა-ცხოვ-
რება და უჩვენო გზა ბრწყინვალე მომავლისაკენ!..

შოთა რუსთაველი:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მკოდნენი, ზედან დახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი,
მათნი შემბმელნი წამოვლენ დაბრმალნი, დაწბილებულნი.“

გიორგი: რა საშუალებით?..

ღევ-ქალი: დღეს მეფემ, შენმა პირველმა მეგობარმა, როქის
სპის უფროსად დაგნიშნა!.. შესაძლებელია დღესვე ლა-
შქარს გაუძღე მტრის ამოსაწყვეტად!.. (თავისთვის) მტე-
რი, რომელიც ეძიებს ხალხის უფლებას!.. (აღერსით)
მთელი აღმოსავლეთი გიცნობს, როგორც დაულალავ
მებრძოლს ერის თავისუფლებისათვის!.. მეფეებს და
ხალხს სწამთ შენი სიტყვა!.. ელაპარაკები მათ ღვთიურ
ენით და არამიწიერ გრძნობით!..

გიორგი: ბრძანე!..

დევ-ქალი: ჩვენს ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში დაგროვილია ყოველგვარი სიბინძურე და სისაძაგლე!.. მძლავრი მკლავით და მახვილი ენით შეგიძლიან მიამსხვრიო თვალის დახამხამებაში ახლანდელ საზოგადოების სიმახინჯე და ერთ წამში დაამყარო მთელი კაცობრიობისთვის ცხოვრების ახალი წესი!..

გიორგი: სახელმწიფოს და საზოგადოების მსვლელობა—განვითარებაში არა არის რა უცაბედი,—იგი ემორჩილება კანონების მოქმედებას!..

დევ-ქალი: დიად, კანონის მოქმედებაც იწყება მაშინ, როდესაც მოსე, ქრისტე, მაჰმუდი ჯერ კიდევ დედის მუცელში გრძნობენ ადამიანთა საშინელ გმინვას და მწუხარებას!.. კაცობრიობა იღვიძებს და ყოველი ერი მოვალეა პირადი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს და საზოგადოების გარდაქმნაში!..

გიორგი: (ჩაფიქრებული) ერი... კაცობრიობა!.. სინამდვილე... ოცნება!..

დევ-ქალი: სილამაზე და ბუნებრივი ჭკუა!.. მას შეუძლიან დაუახლოვოს ადამიანი ზეკაცობას და ტანჯვა-ვაების სავსე ფიალა აქციოს სამოთხის ნაკადულად!..

გიორგი: სდგებარ ზღვის პირს და გასცქერი უსაზღვრო სივრცეს!...

დევ-ქალი: (შეყვარებული) მიყვარს უსაზღვროება გრძნობისა და ჭკუისა!.. გული-გულ ჩახუტულნი პირნათლად ავასრულებთ ჩვენს ვალდებულებას!.. მე ვარ სულთან ნუქარდინის ტახტის მდიდარი მემკვიდრე, ქართველების პირველი სტუმარი და მეგობარი!.. მაქვს უთვალავი ქონება: მრავალ-ფეროვანი ძვირფასი ქვები, ასეთივე (უჩვენებს ყუთზე) მსხვილი მარგალიტი და ნატერის

თვალი!.. სახელმწიფო სარდაფებში მილაგია ცხრაას ცხრამეტი ხურჯინი ბაჯალლო ოქრო!.. ამ სიმდიდრით შეგვიძლიან ავამოძრაოთ მსოფლიო ხალხი და ჩაგრულნი ავამხედროთ მჩაგვრელთა მიმართ!.. მეფეებს ჩამოვართმევთ გვირგვინს!.. ხალხი მაშინ წაუვა გაჭირვებას, როცა თავისივე ხელით მოსპობს მონა-ყმობას და თავის თავს გააბატონებს!.. ჟამთა-ვითარება, — ხანს მოკიდებული მცნებაა, რომელიც აფერხებს კაცობრიობის წინ-სვლას!.. (აღერსით) თუ გული გულობს, ქადაორი ხელით იქმნევა!.. გუშინ მეთანხმებოდი...

გიორგი: ეგ იყო გუშინ..

დევ-ქალი: (გააწყვეტინებს) როდესაც პირველმა კოცნამ გონება დაგიფთხა და როგორც დაჭრილი იადონი ამ პაწაწა ხელებში ფართხალვდი!..

გიორგი: შენ ხარ საქართველოს დაუძინებელი მტერი!.. მეგობრულ ურთიერთობის მაგივრად გსურს დათესო ხალხთ შორის შუღლი და მძულვარება!.. იმეორებ ერთობისათვის საზოგადოებისა და ქონების სწავლას, რომელმაც დაანგრია ბაბილონი, გაანადგურა ძველი საბერძნეთი და რომი ააფეთქა!.. მაგ იარაღითვე გსურს დასცე ის ხალხი, რომელიც ქალღუდან მოყოლებული შეუპოვრად ებრძოდა შენს გამათახსირებელ სწავლებას!.. აი ეხლაც, ბრძოლის ველზე, შურით გვიცქერიან და ღვარძლიანად გვიხსენიებენ, იმიტომ რომ ჩვენს მსვლელობის საფეხურზე მუდამ ვხელმძღვანელობდით ერის, და არა რომელიმე გვირგვინოსან პირის ან ჯგუფის ბედნიერებით!.. მშრომელ მარჯვენით ჩვენვე გამოვკვდავთ ჩვენს ბედს!.. შენი დახმარება არ გვინდა და გადაჭრით გეუბნები — თავი დაგვანებე!..

დევ-ქალი: (ნაწყენი) წავალ... სხვასთან, სხვა ხალხთან!.. მოგ-
ნახავ ჩაგრულთა მფარველს, ვერაგთ წინააღმდეგ მებრ-
ძოლს, ყველა ერების შემწყნარეს!.. (იმედებ გასრუბუ-
ლი, ირონიით) მშრომელ მარჯვენით ჩვენვე გამოვჰქედავთ
ჩვენს ბედს!.. (მწარედ იცინის) თავს განებებ!.. მხოლოდ,
როგორც დამპირდი, საზღვრამდე გამაცილებ!.. (ალერსით)
უკანასკნელად გადაგეხვევი და მაგ ჩემ საყვარელ თვალ-
წარბს დაგიკოცნი!.. ცხოვრებით ნატანჯ გულში ჩაგიკ-
რავ და სუსხი კოცნით მშვიდობას გეტყვი საქართველოს
სახელოვან გმირს და ჩემი ცხოვრების შინაარს ჭ მიზანს!..

გიორგი: ეს სხვა საქმეა!.. მიყვარს ნაზი ქალი, მასთან ტბილი
საუბარი!.. შენს ციურ სახეს, საოცნებო მშვენიერებას
და სამეფო ჭკუას შეუძლიან გმირი მკრთალ ლანდად
აქციოს, სუსტი--რაინდად და გააღეჭსინოს მას მიჯ-
ნურობის ამბავი!..

დევ-ქალი: (აღტაცებით) რა სთქვი? გაიმეორე შენ, კერპო!..
მითხარ, რა გსურს? მტანჯე, მაწვალე, ლანდად მაქ-
ციე!.. მაგემ მწარე კოცნა და გაგემბ ტკბილ რძეს,
რომელიც მოგვერის მხიარულ გრძნობას და, ოდნავ
თავ-ბრუ დასხმულს, ძილი მოგეკიდება!.. (ოქროს ყუთს
ახდის) სიზმარში მაჰმუდის სამოთხეს ნახავ, კეკლუცი ქა-
ლი ღმერთების სასმელს მოგაწოდებს, პირს გაისველებ
და ღიმილით გამოგელევიდება ჩემ ნორჩ, მარმარ მკერდზე!..

გიორგი: შე ცელქო!.. (ერთმანეთს კოცნით მოეხვევიან)

დევ-ქალი: (ყუთიდან აზარფეშას ამოიღებს) ამ ლალით მოქედილ
აზარფეშაში სდვას ჩიტის რძე!.. მამიჩემის საბრძანებელ-
ში, ერთ მიუვალ კლდეზე, აშენებულია შესანიშნავი
ქალაქი...

შოთა რუსთაველი:

„ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია,
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.“

დევ-ქალი: (განაგრძობს) იმ კლდის მწვერვალზე ბუღობს იშ-
ვიათი ჯიშის ჩიტი, რომელიც სიკვდილის წამს რძეს
იწველის!.. აძლობს მშიერს და ამშიებს მადლარს!..
(სვამს, აზარფეშას გიორგის გადასცემს) იგემე და დარ-
წმუნდები!..

გიორგი: სიმშლისა რა მოგახსენო, — მწყურიათ კი!.. (სვამს, დევ-
ქალი აღდეგებული ადგილიდან ადგილზე გადადის) გემრიე-
ლია!.. გამოვცალეთ კიდევ, — მეფეს რა პასუხი გავცე?..

დევ-ქალი: (ეძახის) ზანგებო, გაავსეთ!.. (ზანგები შემოდინან, ავ-
სებენ აზარფეშას და ბრუნდებიან)

გიორგი: ძველ დროში უამბნიათ, — ეშმაკი და დედაკაცი ერთ
ჟამს არიან გამოგონილნიო!..

დევ-ქალი: მამაკაციც სამოთხეში რო არ ჩარეულიყო, არც
ცხოვრება წახდებოდაო!.. (იცინიან და გაგიჟებით ერთი
მეორეს კოცნიან. შემოდის მარიამ).

გამოსვლა ქესაძე:

მარიამ: შეილო, გიორგი!.. მეფე გკითხულობს!.. ტყვეები
ჩამოუყვანიათ!..

გიორგი: (ბარბაცით მიუახლოვდება) დედილო!.. გული მერევა!..

მარიამ: ვაი ჩემ თვალებს!.. რა მოგივიდა?..

გიორგი: მაზმორებს, მტეხავს!..

დევ-ქალი: (მარიამს) გაცივდებოდა!..

მარიამ: გაციებული კი არა, — მოჯადოებულია!.. (დევ-ქალს
ააყრყლავს, გიორგის) ამ ქალბატონმა ხომ არა დაგა-
ლევინა რა?..

გიორგი: (შეწუხდება) ჩიტის რძე!.. თითონაც მიირთო!.. (გადაეხვევა)

მარიამ: (დევ-ქალზე) ქაჯმა შხამიც რო დალიოს, არა მოუვა რა!..

(კარის-კაცებს) ბიკებო, ქართლოსს დაუძახეთ!.. (გიორგის)

არ გეუბნებოდი—თავი დაანებე!.. (შემოდის ნანა თავის ამალით. ქართლოსს და წინამურელ გლეხს შემოჰყავთ ბორკილ გაყრილი ეზინკის მფლობელი და თბილისის ამირთ-ამირა. ერთ და იმავე დროს გლეხი თავის ვირს ერეკება)

ვაძოსულა მყოთხე:

ნანა: (ყველას) რა ამბავია?..

გიორგი: დიდებულო მეფე!.. გთხოვ გამანთავისუფლო, გონება შეკარგება!.. (მოძრაობა)

ნანა: (ყველას) სასახლეში გადიყვანეთ!.. (მარიამს გაჰყავს)

დევ-ქალი; (ნანას) არაბეთიდან მოტანილი მაქვს უკვდავების წყალი...

ეზინკის მფლობელი: (გააწყვეტინებს) როკლით შხამავ მართალს და პატროსანს, ხალხს და ადამიანს!..

დევ-ქალი: (იცნობს, შეკრთება) აქ რა გინდა?..

ეზინკის მფლობელი: (ნანას) დიდებულო მეფე!.. თქვენი გიორგი-გმირის ავადმყოფობა (დევ-ქალზე მიუთითებს) ამ ქაჯის საქმე იქნება!.. გადაცმული უჩინრად შედის მეფეთა სასახლეში, უთვალთვალებს სამსხვერპლოდ გაწირულს და მერე სწამლავს ან ჰკლავს!..

დევ-ქალი: სტრუობ!..

ეზინკის მფლობელი: (ნანას, დევ-ქალზე) ამ მოლიდმა დახოცა მრავალი ხალხი, რომელთაც ზიზლით უარ ჰყვეს მისი სწავლება სხვის ქონების დატაცებაზე!.. აღმუთის ციხე—მაგათ ბუდეა!.. ეს ლამაზი და მდიდარი ქალბატონი ნუქარდინის სასულთნოდამ არის გამოგზავნილი და თავის თავს რუმ-იკონიის ტახტის მემკვიდრედ ასახელებს!.. (მოძრაობა)

ხმები: დევ-ქალი!.. დევ-ქალი!..

ქართლოს: ჩვენი მოსისხლო მტერი!..

ნანა: (ეზინკის მფლობელს) საიდან იცნობ?..

ეზინკის მფლობელი: ამ მახეში სწორედ მაგ ქაჯმა ჩამაბა!..

მე ვარ შენი ერთგული მეზობელი!.. თქვენები ეზინკის მფლობელს მეძახიან!.. (დევ-ქალზე) მოკვლას მიპირებდა, თუ თქვენ მტერს, სავალთოს, გზას არ მიცემდით კლარჯეთ-იმერეთისკენ!.. თავიდანვე მაგან მოაწყო ამბოხება თქვენ უბრწყინვალესობის დასამხობად!.. (მოძრაობა)

დევ-ქალი: (ნანას) სტრუობს, მართალი არ არის!..

ნანა: (თბილისის ამირთ-ამირას) შენ რაღას იტყვი?..

თბილისის ამირთ-ამირა: დიდებულო მეფე!.. თეთრი გიორგის სახელს გეფიცები!.. ხურჯინი არ დამიტაცნია!.. (დევ-ქალზე) ამ ქაჯმა შეგვისყიდა!.. შესყიდული ჰყავს აგრეთვე შურისციხის თავი!.. შეთქმულნი ორთაქალის უღრან ტყეში იმალებიან!..

ნანა: (განრისხებული) მოღალატე!.. შენს სივერაგეზე ლაპარაკობს ერი და მღვდელი, მოხუცი და ახალგაზდა!.. ადამიანის ჭკუას ჯერ არ გამოუგონია ისეთი სასჯელი, რომელიც საკმარისად განსჯიდა შენს ბოროტებას!.. (ქართლოსს) ბრძანებას ვაძლევ ჩამოახრჩოთ საჯაროდ სამშობლოს მიღალატე, თბილისის ყოფილი ამირთ-ამირა, იმ ადგილს, სადაც გუშინ ხალხს დევ-ქალის სწავლებას მოუწოდებდა!..

თბილისის ამირთ-ამირა: მაპატიე, დიდებულო მეფე!.. კოდა-მოკოდვის მომხრე არა ხარ!.. შემობრალე!..

ქართლოს: გაიყვანეთ!.. (კარის კაცებს გაჰყავთ)

ნანა: ეზინკის მფლობელი საპრობილეში ჩასვით!.. მსაჯულთ-უხუცესს წინადადებას ვაძლევ დაკითხოს და დაწვრილ-ლებით გამოიძიოს...
(...)

წიწამურელი გლეხი: (გააწყვეტინებს) დიდებულო მეფე, რაღა დაკითხვა უნდა?.. სიბოროტე შუბლზე აწერია!.. გუშინ წიწამურის შარა გზაზე ნალი ვიპოვე!.. (ქაშიდან ჩამოიხსნის) შე დალოცვილო, ნალზე რო გამიცვალო, შენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვის!.. ნალი ბედნიერებას მოგიტანს, ამ ბატონსაც კალოზე ვამუშავებ!..

ნანა: წაიყვანე, შენი იყოს!..

წიწამურელი გლეხი: ეგრე, შენი ქირიმე, ინებეთ!.. (ნანას ნალს გადასცემს)

ეზინკის მფლობელი: ამ დამცირებას ვერ ავიტან!.. ისევ სიკვდილი, სიკვდილი დიდებულო მეფევე!..

წიწამურელი გლეხი: (ეზინკის მფლობელს) აი სახრე!.. (გადასცემს) გარეკე, — თოქშ-თქო!.. აბა არ იმუშავო, შიგ ყანყრატოში მახათს გაგიყრი!.. თოქშ!.. (ეზინკის მფლობელი ვირს ერეკება, გავლენ)

ნანა: (დევ-ქალს) მითხარით გულახდილად, რა აზრით მოხვედრით ჩემთან?..

დევ-ქალი: იმ აზრით, რომელიც მაცხოველებდა წარსულში და ეხლაც ჩემი ცხოვრების მთავარ მიზანს შეადგენს!..

ნანა: რას ეძებთ?..

დევ-ქალი: (ამაყად) ვეძებ სამოთხის გასაღებს და დავიწყებულ ღმერთს!.. საზოგადოების წესწყობილება მსურს დავაყენო სამართლიან ნიადაგზე, რომ გარდავქმნა ადამიანი და მიუახლოვო იგი უზენაეს არსებას!..

ნანა: როგორ?..

დევ-ქალი: ტკბილი სიტყვით, კეთილი საქმით.. (დაიბნევა)..მ..მ..

ნანა: და ყოველგვარ ბოროტებით!..

დევ-ქალი: რა ბოროტებაა ის ბოროტება, რომელიც ჩადენილია დიად მიზნის მისაღწევად?..

ნანა: ჩემი ცხოვრების მიზანიც—ქართველ ერის კეთილდღეობაა!.. ამ მიზნის განსახორციელებლად ბრძანებას ვაძლევ, სხვათა შორის, ცეცხლზე დაგწვან და შენი ფერფლი დედამიწის ზურგზე გაანიავონ!..

დევ-ქალი: უფლება არა გაქვსთ!..

ნანა: უფლებაზე ლაპარაკობს ის, ვინც მტარვალთა ველურ ძალ-მომრეობით ფეხ-ქვეშ ჰქელავს კაცობა-ადამიანობას და ყვავილების გვირგვინით ამკობს იუდას შუბლს!..

დევ-ქალი: უფლება, რომელმაც ინგლისში ბორკილი შემოხსნა დამონავებულ ხალხს და ფრთები შემოაჭრა გვირგვინოსან ჯალათს!.. „magna charta libertatum“,—უდიადესი ქმნილება ადამიანის აზრის!..

ნანა: დიად, აგეთივე თავისუფლების სიგელი შეჰქმნა და ცხოვრებაში გაატარა ჩემმა ერმა არსებობის დასაწყისშივე!.. მზის ბრწყინვალე შუქივით უნათებდა გზას შავბნელ წარსულში, იცავდა ეროვნულ მთლიანობას და ეხლაც შეუპოვრად ებრძვის შავ ძალას, რომელსაც სურს უკანასკნელად მოსპოს მისი სახსენებელი და თავისუფალი „მე“!.. მახსოვს, შენმა ბოროტებამ შთანთქა ჩემ თვალწინ უდიადესი სახელმწიფოები!.. (სცენის უკან მოისმის მარიამის მოთქმა: «ვაი, შვილო, რა დღეს დავესწარი!.. ღმერთო, რა დაგიშავე!..»)

შოთა რუსთაველი:

„იტყვის, —ღმერთო რა შეგცოდნე, ეზომ დიდი რა გაწყინე?.. რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე?.. გამკითხველო გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე, დაამოკლე დღენი ჩემნი, ქირნი ამით გამილხინე!..“

ნანა: (დევ-ქალს) ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა პატიოსნება იჩინა და შენ...

დევ-ქალი: (გააწყვეტინებს) რა არის პატიოსნება?..

ნანა: ბასრი დანა, რომელიც გულს უბობს შენისთანა ავაზაკს —ერის და კაცობრიობის მტერს!.. გადაცმული, მალვით შემოდინხარ კარავში!.. ქურდულად ეპარები მსხვერპლს!. ქრთამავ თანამდებობის პირს!.. აქვებ ზვენ მტრებს!.. (შემოდის მარიამი)

გამოსვლა მკვთოე:

მარიამ: (ტირლით) ქართლოს, გმირი გვიკვდება—საყვარელი გიორგი!.. (მოეხვევა)

შოთა რუსთაველი:

„ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? ყოელი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ ვასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!..“

ქართლოს: რა მოუვიდა?

მარიამ: (დევ-ქალზე) ამ ქაჯმა მოწამლა!.. (მოძრაობა)

ნანა: (დევ-ქალს) უხამავ სარდალს!.. (დევ-ქალი აღელვდება)

ქართლოს: (დევ-ქალზე) სიკვდილი მაგას და მაგის მომგონს!..

შოთა რუსთაველი: „როსკიპო ბოზო, დიაცო:..“

მარიამ: (დევ-ქალს) გმირი რად მომიკვლევინე?..

შოთა რუსთაველი: „ანუ სისხლითა მისითა

„ჩემი რად მოაზღვევინე?..“

ნანა: (გულ-მოსული დევ-ქალს ოქროს ყუთს მიუგდება) გიბრუნებ იარაღს, რომ სიცოცხლე წაგართო!.. (ქარის კაცებს) დასწვით, აქვე, ხალხის თვალ წინ!.. (ქართლოს დევ-ქალს ხელებს გაუბაწრავს)

მარიამ: დიდებულო მეფე და საყვარელო შვილო ნანა!.. ნება მომეცი ჯერ როსკიპი ქალის ლეჩაქი წამოვასხა ამ (ბაღდადის პირსაფარს ჩამოახვეს) ნამუს გაწყვეტილს!..

დევ-ქალი: (მარიამს) ვერ მომკლავთ!.. (ცდილობს ხელები გაინთავისუფლოს)

მარიამ: მოგკლავ და სულსაც ამოგაგდებინებ!.. აქაც მოგვნახე?.

ქართლოს: (ჯარის კაცებს) გაიყვანეთ!.. (ჯარის კაცებს გაჰყავთ, მარიამ უკან მისდევს)

დევ-ქალი: (ყველას) მე ვარ სულთან ნუქარდინის ტახტის მდიდარი მემკვიდრე!.. მაქვს უთვალავი ქონება!

მარიამ: თავში იხალე შენი ქონება!..

დევ-ქალი: (კარბეში) ხალხო, თქვენი მეფე არღვევს სინიღისის კანონს!..

მარიამ: ხალხმა იცის შენი უსინიღისობა!.. (გადიან)

ქართლოს: ღმერთო, რაღა სულ მტერს გვიგზავნი?

ნანა: (ყველას) დასაბამიდან კაცობრიობას სდევნის უხილავი მტერი, რომელიც არყვეს სიკეთის მოძღვრებას!.. იცოდეთ, როდესაც მოგიწოდებენ ერის და ოჯახის განადგურებას რაღაცა (ირონით) უღიადეს აზრის განსახორციელებლად, ეს იქნება მოძღვრება ბოროტებისა!.. ადამიანთა ცხოვრება ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს!..

ქართლოს: ვაი იმ ხალხს, რომელსაც არა აქვს ეროვნული თვითმოყვარეობა!..

ნანა: კარგა გახსოვს, საყვარელო მამა, ის ბედშავი დრო, როდესაც დევ-ქალს მსოფლიო მოედანზე საჯამბაზოდ გამოჰყავდა სხვა და სხვა ჯურის ხალხი, სასაცილოდ იგდებდა ადამიანის ღირსებას,—მისს სინიღისს, პატიოსნებას!..

ქართლოს: ვაი იმ უმიწაწყლო ერს, რომელიც დაკარგულ თხასავით დახეტიალებს დედამიწის ზურგზე, მაიმუნობს, მასხრობს და თავის სარჩენად სთხზავს ბოროტების მცნებებს!..

ნანა: (მოწყენით) დედის ცრემლიან ნანასთან შევიყვარე ბედისაგან ჩაგრული ერი!.. რას ვხედავ?..

ქართლოს: შეილი ამხედრდა მამაზე, ძმა-ძმაზე და ხელჩართულში ჰგლეჯენ ერთმანეთს კბილებით!..

ნანა: რათ ხდება ასე?!

ქართლოს: ბრმა ბედისწერამ იცის, რათა!.. საღი, ჰასაკს მოსული კაცი, დღისით—მზისით, დაუძღურებული, ვარდება მოედანზე, ბეწვის ოდნად იღვევა და თვალის დახამხამებაში ღმერთს სულს აძლევს!..

შოთა რუსთაველი:

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი;
რასა ვინ ეძებთ? რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი!..“
(დამსწრეთ მსწრაფლ ევლინება ჟამთა-ვითარება)

გამოსულა მეექვსე:

ჟამთა-ვითარება: (შოთა რუსთაველს) ჟამი, და არა ბედი!.. (შოთა რუსთაველი წამოდგება) ჟამთა-ვითარება ბუნებრივ ამწიფებს შხამის ნაყოფს და ტკბილ ყურძენს!.. ბედს ხელოვნურად მოჰყავს სუსხიან ზამთარში უგემური მარწყვი!.. პირველი იჩენს შემოქმედების ნიქს, მეორე — გულის სიანჩხლეს!..

ნანა: (შეკრთება) ვინ ხარ?

ჟამთა-ვითარება: მე ვარ შენი ერის კეთილი თანამოგზაური!..

ნანა: მამილო, ჩვენი მოხუცია!..



ქართლოს: ბედნიერი ვარსკვლავი!.. ჩვენთან ერთად გამოიარა ტანჯვის გზა!.. ქალღმერთო!.. შუამდინარე!..

ნანა: კაპადოკია... უძველესი საქართველო!.. გიორგი-გმირის მხსნელი!.. მოხუცო! ჩვენი გიორგი...

ჟამთა-ვითარება: (გააწყვეტინებს) კვდება!.. (ნანას ცრემლი მოუვა)

ქართლოს: (დაღონებული) კვდება ქართველი ერი!..

ჟამთა-ვითარება: მტერი აგარის და ალგეთის მხრით დედა-ქალაქს შემორტყმია!.. გლეხების ქონებას იტაცებს, აოხრებს სოფლებს!.. დევ-ქალის განთავისუფლებასაც მოითხოვენ!.. რას უცდით?

ნანა: (მრისხანედ, ქართლოსს) დასწვით!..

ქართლოს: დასწვეს!..

ნანა: მემამოხეთა წინააღმდეგ სალაშქროდ, გიორგი-გმირის მაგივრად, ვნიშნავ ომში გამოცდილ შოთა რუსთაველს!

ყველანი: ვაშა, ვაშა!.. დიდება მგოსანს და მეომარს!..

ნანა: (შოთა რუსთაველს ხმალს შემოართავს) ჩემ ერთგულ ლაშქართან ერთად გრივალებრ უნდა განვლო გზა, ცეცხლებრ მიენტო დადიან-ბედიან-ჯაყელს და გაანიავო მათი ძალა ნიალის ველზე!..

შოთა რუსთაველი: (ხელებ-აპყრობილი ავანსცენაზე)

„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე, შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე: მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!.. თულა დავრჩე, გამსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე!“

ქართლოს: (თავისთვის) ომი ძმებთან!..

ჟამთა-ვითარება: (შოთა რუსთაველს) მოკალ და ძირიან-ფესვიანათ ამოაგდე მისი გვარი, ოჯახი, ვინც ოქროს სარეცელში უგორდება დევ-ქალს და კვერცხის ოდენა მარგალიტზე სცვლის თავის სამშობლოს კეთილდღეობას!..

ქართლოს: მოხუცო, გვედავება შეილი, ძმა, და არა გარეშე მტერი!..

ჟამთა-ვითარება: (მტკიცე ხმით) მოკალ თუ მოლაღატა, — შეილი იყოს, თუნდა ძმა!..

ქართლოს: როგორ მოვკლა...

ჟამთა-ვითარება: (გააწყვეტინებს) გულგრილად!.. ისე, როგორც უმცირესობა ხოცავს უმრავლესობას, განგებ ანგრევს უკუნობით აშენებულ სახელმწიფოს, სისხლის მორევში ახრჩობს ერს და აცამტვერებს მის სულიერ სიმდიდრეს!.. (შოთა რუსთაველზე მიუთითებს) შენმა სინიდიშმა და პატიოსნებამ ნიალის ველზე უნდა გადასჭრას შენი ყოფნა-არყოფნის საკითხი!.. მტარვალი სულს ლაფავს, მაგრამ შურისციხის კედლებს აწვება!.. სოფლები ამოსწვა, გლეხები ამოსწყვიტა!.. დაანახე კაცობრიობას, ვინ არის ხალხის პირველი მტერი!

ქართლოს: რა ვართ?.. მუჟა ხალხი...

ჟამთა-ვითარება: და დიდებული ერი!.. შენ ხარ მზე სვინიდიშისა და პატიოსნებისა!.. შენს პატარა ერს ეკლით მოკულ გზაზე ასულდგმულებდა ნამუსის ძალა!.. გზა, რომლითაც წახვალ ეხლა, მიგიყვანს გაერთიანებულ სამშობლოდმი!..

ქართლოს: (თავისთვის) ჯერ ერი, მერე კაცობრიობა!..

ჟამთა-ვითარება: დიად!.. კაცობრიობას ემსახურება ის, ვინც სამართლიანად იცავს თავის ეროვნულ პიროვნებას!.. დადგა დრო, როდესაც უნდა იჩინო ქკუა, რომ ცხოვრების აბოზოქრებულ მორევში თავი არ ამოიხრჩო!.. ეშმაკი უსინიდიშოა, მაგრამ ქკულიანი!.. (შემორბის ადევნებული შიკრიკი)

გამოსვლა კეჭვიდუ:

შიკრიკი: (ნანას) დიდებულო მეფე!.. გიორგი-გმირი და დევ-
 ქალი ეს არის ეხლა მემამბოხეთა ბანაკში გაქცეულან!..
 ხალხი ღელავს!..

ნანა: (თავს შეიმაგრებს, შოთა რუსთაველს) ბრძანებას ვაძლევ მთა-
 ვარ სარდალს ამ წუთში ჯარი დასძრას!.. (ყველას) აბა,
 ხელი ხმალსა და სული ღმერთსა!.. (შოთა რუსთაველი
 ხმალს იშიშვლის)

ყველანი: ხელი ხმალსა და სული ღმერთსა!.. (მოძრაობა. ისმის
 ზურნის ხმა)

ნანა: (უნებლიედ ჟამთა-ვითარებას შეხედავს) მოკალ, თუ მოლა-
 ლატეა, — შეილი იყოს, თუნდა ძმა!..

ჟამთა-ვითარება: (ნანას გასასვლელ კარებზე მიუთითებს) გზა ნა-
 თელ ქკუისა, რომელიც იხსნის შენს ერს!.. (გადის,
 უკან მისდევენ ნანა, შოთა რუსთაველი, ქართლოს და სხვ.
 ხალხი ნანას «ვაშას» ძახილით და ლაშქრულის მღერით
 ეგებება)

ზ ა რ დ ა .



მეხსიერება მოქმედებს:

დიდებული ქართული ერი.

(ახლანდელი დრო)



(თბილისი. დამოუკიდებელ საქართველოს დამფუძნებელ კრების შენობის ერთ-ერთი დარბაზი. უკანა კედლის ზემო ნაწილზე ჰკიდია, რიგზე გამწკრივებული, ფარნაოზ მეფის, მირიანის, წმ. ნინოს, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, გიორგი სააკაძის, წმ. ქეთევანის, ერეკლე მეორის, გიორგი მეთორმეტის და ნოე ჟორდანიას სურათები. იმავე კედლის შუაში ფართო კარებია, აივანზე გასასვლელი. იქვე—ტრიბუნა ორატორებისთვის. აივნის იქით იგულისხმე ხალხით სავსე ქუჩა. მარჯვნივ და მარცხნივ გასასვლელი კარი. მარჯვენა მხარეს დგას მაგიდა და პატარა ტახტი. მარცხენა კარებთან, ავანსცენის ახლოს, შემოღობილია ადამიანის ძვლებით ბნელი ოთხკუთხედეგ-ქალის საბრძანებელი, რომლის კარების თავზე, პირით მაყურებლისკენ, შავით თეთრზე აწერია დანტეს სიტყვები—

„Lasciate ogni speranza voi ch' entrate“—

„იმედებს თავი დაანებე აქ შემომსვლელიო.“

შიგნით დგას გათუთხნული უბრალო ხის მაგიდა და გრძელი, უზურგო სკამი. მაგიდაზე ბეუტავს ქონის სანთელი. იქვე აწყვია პარკებით გატენილი ოქროს ფული და წვრილ შუშებში საწამლავი. მაგიდის უკან, ობობას ქსელით გადახლართულ კუთხეში, წამოყენებულია ადამიანის უშნო ჩონჩხი. ფერად აბრეშუნიებში გამოწყობილი და ნახევრად გატიტვლებული დევ-ქალი ზის მაგიდასთან და შესაზარ ხმით კითხულობს თვის მიერ ჩადენილ ბოროტებათა გაქონილ შავ წიგნს. მარგალიტის საყურეები და ოქროს სამაჯური მეტად ამშვენებენ მის ეგრედაც ლამაზ სახეს. ფეხზე აცვია ძვირფასი ქვებით მოქედილი ოქროს ქოშები. არა ადამიანურად იგრიბება და დრო გამოშვებით სარკეში იხედება,—თვალი ხომ არავინ მკრაო. მის ეშმაკურ არსებას

უმანკობა არ ატყვია,—იმ თავითვე გათახსირებულია და ზნეობრივად გახრწნილი. წიგნი მიმაგრებულია მაგიდაზე მსხვილი ჯაჭვით. როსკიპი ქალის მიხვრა-მოხვრით თუთუნს ეწვევა, წიგნს გადაშლის და დაჰკეცავს, კიდევ გადაშლის და ისევ დაჰკეცავს,—თითქო ეშმაკები აწუხებენო. ქალაქის გარე მიდამოებიდან მოისმის თოდების ჭახა-ჭუხი და ზარბაზნის გრიალი. ნესტიანი და ბნელი საღამო ყრუანტელს ჰგვრის მოქალაქეს, სიკვდილის აჩრდილი აფრთხობს მის გულის სიმშვიდეს და, სასოწარკვეთილებაში მიცემული, უგზო-უკვლოდ ქალაქის უბნებში დაეხეტება. გულის პასუხს ვერსად ვერ ჰპოვებს, რომ ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს ზნეობრივი ტანჯვა).

გამოსვლა ზირველი:

ღევ-ქალი: ბრძოლა არსებობისათვის!.. homo homini—lupus!..

შემიძლიან დავამონავო ყოველი ცოცხალი არსება, რომელიც ეთაყვანება სიმდიდრეს და ქალის არა ჩვეულებრივ სილამაზეს!.. (ირონიით) ერი... კაცობრიობა!.. აი ამ პატარა ფეხ-ქვეშ ითელებოდა ხალხის სინიღისი და პატიოსნება!.. (წიგნს გადაშლის და კითხულობს) ეგვიპტე... ფინიკია... ბაბილონი... ასურეთი... ძველი საბერძნეთი... ძველი რომი... აქ თავდება ჩემი მოღვაწეობის პირველი ხანა!.. გადარჩა ერთად ერთი ქართველი ერი,—ვერ მოვარჯულებ!.. (ეროვნულ დროშით ხელში შემორბის ჯარის კაცი, აჩქარებით გადის აივანზე, ჩამოხსნის წითელ დროშას და ეროვნულს ჩამოჰკიდებს. ხალხი: «ვაშა, ვაშა!..») ქალდუ, შუამდინარე, კაპადოკია!.. იაფეტელ ტომთა შემოსვლა და დაბინავება ახლანდელ საქართველოს მიწა-წყალზე!.. სარმატების და სხვა ველოურ ურდოების შემოსევა ქართველ ხალხის დასარბევად!.. სპარსელების, არაბების, მონგოლების, ოსმალების მუდმივი გალაშქრება საქართველოზე ქრისტეს სჯულის მოსასპობლად!.. თამარ მეფის შეუწყვე-

ტელი ბრძოლა სამუსლიმანო აღმოსავლეთთან, მისი გამარჯვება და საქართველოს ძლიერება!.. შეუჩერებელი ჟღერა ქართველებისა შემდეგში და მათი გადასახლება ეგვიპტეს, სპარსეთს, ოსმალეთს, სამარყანდს!.. საქართველოს მთლიანობის დარღვევა და სამთავროსაერისთაობად დაქუცმაცება!.. ხალხის ძალდატანებითი გამუსლიმანება!.. ქეთევან დედოფლის წამება სპარსთა მიერ ქ. შირაზში და კდემა-დიდებით მისი გვამის გადატანა ბელგიის ქალაქ ნამიურში, როგორც ღიადი მაგალითი ქართველ ერის ზნეობითი სიმტკიცისა!.. ღვთის მშობლის ხატის დაგინება ავლაბრის ხიდზე!.. თბილისის აოხრება ალა-მაჰმად-ხანის მიერ!.. ერეკლე მეფის უკანასკნელი გამკლავება და მისი მხურვალე ცრემლები ანანურის მონასტერში!.. რუსთა შემოსევა და ერის გარუსება!.. ქრისტიანეთა დევნა ქრისტიანების მიერ!.. სვეტისცხოვლის ეკლესიის კირით გათუთხნული კედლები!.. დიმიტრი ყიფიანი!.. ილია ჭავჭავაძე!.. ბორკილი, ტყვია, ცეცხლი!.. ქართველ ერის ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის თვითმპყრობელობის დასამხობად!.. სახრჩობელა და ციმბირი!.. კიდევ ციმბირი და სახრჩობელა!.. უკანასკნელი ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად!.. მაისის ოცდაექვსი და... დღევანდელი დღე!.. (ხარხარებს, მერე გაბრაზდება) მე ვინმარ ყოველგვარ საშუალებას!.. გახურებულ მახვილით ტანზე ხორცს დაგაგლეჯ და ზედ ნაღვერდალს დაგაყრი!.. თავზე დაგადგამ ცეცხლში გაწითლებულ თუჯის ქვაბს და ქრისტეზე და სამშობლოზე უარს გათქმევინებ!.. მე მრწამს ერთი—ქვეყნიერების დანგრევა,—მის აშენებაზე იფიქროს სხვამ!..

(ქუჩიდან მოისმის ხალხის ხმაურობა: «როგორაა საქმე, ანუ რა მოხდა?.. რაღაცა ხდება?.. ჩქარა!..») აიენიდან გამოდის ჯარისკაცი, ხელში წითელი დროშა უჭირავს. მარჯვენა კარებთან შეხედება ქართლოსს და გიორგის. ქართლოს შეიარაღებულია, ხელში ნაბადი მოაქვს).

გამოსვლა მეორე:

ქართლოს: (ჯარის კაცს) აქ რას აკეთებდი?..

ჯარისკაცი: დროშა შევცვალე!..

ქართლოს: ვისი ბრძანებით?

ჯარისკაცი: თავმჯდომარისა!..

გიორგი: (ჯარისკაცს) ფხიზლათ იყავ, უცხო პირი არ შემოიპაროს!..

ქართლოს: (მასვე) ყური მიგდე!.. ერეკლე მეფის სახელობის სკოლაში მოხალისე რაზმელები მელიოდებიან!.. აბა, მარდად, იფრინე და ყველანი აქ მოიყვანე, — ქართლოს გეძახისთქო!.. (ჯარისკაცი გადის, გიორგის) დიად!.. იმ მშვენიერ მაისის დღეს ქართველმა ერმა მონობის უღელი ჩამოაგდო და თავისი დამოუკიდებლობა აღადგინა!. იმ დღესვე უნდა აგვეფორიალებინა ეროვნული დროშა და დაგვეწყო ცხოვრების შენება ისე, როგორც ამას დაწინაურებულ ხალხთ კულტურა გვიკარნახებს!..

გიორგი: მართალია, მაგრამ ჩვენ სხვა მიზანიც გვქონდა!.. ჩვენ გვსურდა ჩვენი ახალი სწავლება სხვა ხალხთ შორის გავვევრცელებინა, შეერთებულ ძალით დაგვემზოკროს ბატონობა და მის ნანგრევებზე აგვემართა ძმობა-ერთობის დროშა!..

ქართლოს: ქართველ ხალხის სულისკვეთების გამორკვევის და მის ეროვნულ ინტერესების დაცვის მაგივრად შეუდე-

ქით მსოფლიო საკითხის გარჩევას იმ დროს, როდესაც უოველი ერი იარაღდებოდა და დარაჯად დგებოდა საზღვრებზე თავის მთლიანობის დასაცავად ანარქიის აბოზოქრებულ ქაოსში!..

გიორგი: ჩვენც ვიდექით დარაჯად და არა ერთხელ და ორჯელ გაგვიცია მტრისათვის შესაფერი პასუხი!..

ქართლოს: ეხლა?.. გესმის ზარბაზნის გრიალი?.. თბილისს შემორტყმიან!..

გიორგი: საშიში არა არის რა!.. ერთი იერიში და საქმე მოგებული გვექმნება!.. ქვეითა ჯარი მედგრად ებრძვის ანგელოზის ქურქში გახვეულ ბარბაროსებს!.. (ხალხის ხმაურობა. გიორგი ტრიბუნაზე ადის და ხალხს მიმართავს) ამხანაგებო! მიღებულ ცნობით ქვეითა ჯარი მედგრად ებრძვის ანგელოზის ქურქში გახვეულ ბარბაროსებს!.. ერთი იერიში და საქმე მოგებული გვექმნება!.. თბილისი მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს!.. დღეს თუ არა, ხვალ დამარცხებული მტერი ზურგს გვიჩვენებს და მაშინ დამყარდება მშვიდობიანობა!.. (ხალხი: «ვაშა, ვაშა!..») იმედი გვაქვს, ჩვენი თანამოაზრენი ზნეობრივ დახმარებას მაინც გაგვიწევენ!.. ჩვენს ერთსულოვანობას და საერთო მიზანს ჩვენს მუშაობაში შეუძლიან ალაპარაკოს მთელი ქვეყანა!.. სოციალიზმის დამყარების ინტერესები მოითხოვენ, რათა ყველაზე უწინ მსოფლიო დემოკრატიამ აღიმალლოს ხმა ჩვენი ქვეყნის დარბევის წინააღმდეგ!.. გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას, გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ ამხანაგებს!.. (ხალხი: «ვაშა, ვაშა, გაუმარჯოს!» ტრიბუნიდან ჩამოდის)

ქართლოს: (გიორგის) კაი ლაპარაკი გცოდნია!..

გიორგი: მამილო, სიბერე ხომ არ გაწუხებს?..

ქართლოს: სიბერე კი არა, — თქვენი უსწორ-მასწორობა!.. თუ საქართველოს ხალხთან გაქვსთ საქმე, ხალხს ელაპარაკეთ, თუ არა, რა შუაშია ეხლა, ტყვიის ქვეშ, მსოფლიო დემოკრატიის რალაცა ზნეობრივი დახმარება?..

გიორგი: ჩვენ ველაპარაკებით იმას, ვინც რევოლიუციაში გმირის სახელი დაიმსახურა!.. რომელმაც შექჰმნა ჯარი და ეხლა, ბრძოლის ველზე, თავგამოდებით იცავს რევოლიუციის პრინციპებს!..

ქართლოს: ჯარი — თვით ხალხია, — შეიარაღებული მამა, შეილი, ძმა, ქალი, დედაკაცი, — განურჩევლად მათი საზოგადოებრივ მდგომარეობისა!.. მთლად მთელ ხალხს, და არა რომელიმე ჯგუფს ხალხისას, შეუძლიან სავსებით დაიცვას თავისი ეროვნული პიროვნება და უზრუნველ ჰყოს ის პრინციპები, რომელზედაც შენ ლაპარაკობ!..

გიორგი: ერის ინტერესების გარდა ჩვენ ვქედავთ ბედნიერებას მთელი კაცობრიობისთვის!..

ქართლოს: (მტკიცე ხმით) ჯერ ერი, მერე კაცობრიობა!.. ჯერ ჩემი სამშობლოს ბედნიერება და მერე სამოთხე ყიზილბაშებისთვის!.. (შემოდის ჯარისკაცი)

გამოსვლა მქსამე:

ჯარისკაცი: ბატონო გიორგი!.. თავმჯდომარე განკარგულებას გაძლევსთ ეს მოწოდება გამოაქვეყნოთ!.. (ქალაღდს გადასცემს და გაბრუნდება)

გიორგი: (კითხულობს) „ქართველ ერს! ძვირფასო მამულიშვილებო, მოდის პურობელურ გრძნობით აღსავსე ველურთა პრბო!.. აზრადა აქვს განადგუროს ჩვენი მშვენიერი სამშობლო და ხალხს ხელახლად მონობის უღელი

დაადგას!.. დადგა დრო, როდესაც უნდა იჩინო გმი-
რობა თავისუფლების დასაცავად!.. ქართველო ხელი
ხმალს იკარ!..“

ქართლოს: (გააწყვეტინებს) ამაზე გელაპარაკებოდი!.. ერი, რო-
მელიც ამოძრავებდა უძველეს აღმოსავლეთის ხალხთ
კულტურას!.. ქალღუ, შუამდინარე, კაპადოკია!.. და-
ჭრილ გულ-მკერდით გმირულად იწეოდა წინ, რომ
მტარვალთა ხელიდან გამოეგლიჯა საკუთარი რწმენა
ცხოვრების შინაარსზე!.. მისი სვინილისი, პატროსნება
და ქეშმარიტი სიტყვა მტრის თვალებს სწვავდა ისე,
როგორც დამანი, მზის სხივთა განჭვირვით, ცეცხლს
უკიდებს აბედს!.. თვალი გადაავლე ახლანდელ აღმო-
სავლეთსაც და აშკარად დაინახავ, რო ერთად ერთი
ერი, რომელიც თავის კულტურულ შეგნებით და გან-
ვითარებით მსოფლიო ყურადღებას იზიდავს,—ქართვე-
ლი ერია!..

გიორგი: მართალია!..

ქართლოს: მინამ მამა-პაპათა სული ცოცხალია, მის აწმყოს
და მომავალს ვერავინ დაჩრდილავს!.. იმ თავითვე ჩვენს
ეროვნულ მისწრაფებას შესაფერისი მიმართულება ვერ
მიეცით, რომ სამშობლოს კეთილდღეობის შენების ას-
პარესზე გამოსულიყო მთლად მთელი ხალხი, და არა
რომელიმე მისი ჯგუფი!..

გიორგი: (ჩაფიქრდება) რას იზამ... ერთი ალილო მღვდელსაც
შესცდებო!..

ქართლოს: ერთი ალილო კი არა, მთელი თქვენი წირვა შეც-
დომა ყოფილა!..

გიორგი: ვნახოთ, კრება რას გვეტყვის!.. უნდა გათავებულებიყო
კიდევ!..

დევ-ქალი: (სწრაფად წამოდგება და გიორგის მიუახლოვდება, ამპარტავნად) მე, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი უდიდეს სახელმწიფოსი თქვენს პატარა ქვეყანაში, უკმაყოფილებას გიცხადებთ წითელ დროშის ასეთ შეურაცხყოფაზე!.. მართალია, აქამდე სხვა და სხვა გზით მივედიოდით საბოლოო მიზნამდე, ეხლა კი აღარც მიზანი გვაქვს საერთო!.. ამაში მარწმუნებს ახლად გამოკიდებული კრების შენობის ბანზე თქვენი ეროვნული დროშა!..

გიორგი: ქალბატონო, გიმეორებთ, ჩვენი შინაური საქმე თქვენ არ გეხებათ!..

დევ-ქალი: ამასთანავე გთხოვთ გადასცეთ მთავრობას წერილობითი პასუხი შესახებ ადგილობრივ აჯანყებისა თქვენი ქვეყნის საზღვრებში!.. მოთავსებულია ორას ოცდაცხრამეტ გვერდზე და შემოწმებული სათანადო ხელისმოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმით!.. (გადასცემს)

გიორგი: (ცივად) ეხლავე პასუხს მოგაწოდებთ!.. (გადის)

დევ-ქალი: (ქართლოსს, გაკვირვებით) დღეს რალაც უცნაურ კილოთი მელაპარაკება!..

ქართლოს: წელმოწყვეტილ გველივით დასისინებ და კაცმა აღამიანურად როგორ გელაპარაკოს?!..

დევ-ქალი: მე ვიცავ სიმართლეს...

ქართლოს: და აკანონებ ყაჩაღობას!..

დევ-ქალი: მე ვებრძვი კაცობრიობის მტერს!..

ქართლოს: და განგებ ანგრევ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ კულტურას!..

დევ-ქალი: მკვდარს სიცოცხლეს ვაძლევ...

ქართლოს: და ასამარებ ცოცხალს!.. გიცნობ ვინცა ბრძანდები!..

ღევ-ქალი: (ამაყად) მე ვარ სრულუფლებიანი წარმომადგენელი უდიდეს სახელმწიფოსი, რომელმაც ერთ წუთში შეჰქმნა ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წეს-წყობილება!.. დასცა ოქროს ბატონობა, გააუქმა კერძო საკუთრება და უამრავ ქონებით მთლად მთელი ხალხი დაამდიდრა!.. დაბეჩავებულ და საცოდავ მოქალაქეს სამოთხის კარი გაუღო, მშვიერს პური მიაწოდა, მწყურვალს—ანკარა წყაროს წყალი!.. მე ვარ იმ სახელმწიფოს ღვიძლი შვილი, რომელმაც ჩაგრულ მუშას და გლეხს მოუპოვა განუსაზღვრელი სამოქალაქო უფლება და ეხლაც, რევოლიუციის გაღრმავებით და გაგანიერებით, იცავს მათ თავისუფლებას!..

ქართლოს: (თავისთვის) ასეთი უსინდისობა გავგონილა კიდევ?!.

ღევ-ქალი: მე ვარ ის, რომელმაც სასტიკი კანონებით მოსპო ადამიანთ შორის კაცობიანობა!. გავანთავისუფლე დამონავებული პიროვნება,—იგი ეხლა თავისუფლად ავარჯიშებს თავის ნიჭს არა მარტო ერის საკეთილდღეოდ, არამედ მთელი კაცობრიობისა!.. განუზომელ სიმაღლეზე დავაყენე მეცნიერება და ხელოვნება!.. პირველად კაცობრიობის ისტორიაში გავანხორციელე ძმობა-ერთობა-თანასწორობის იდეა,—და რა მიზეზია, რომ აგეთი ზიზლით მიცქერით ყველანი?..

ქართლოს: შენ ხარ ბოროტების მოციქული... სხვის ზურგზე შესუქებული წურბელა!.. შენ შეჰქმენ ძალადობაზე დაყრდნობილი წეს-წყობილება!.. ერთ წუთში გააუქმე სამართლიანობა და ადამიანის ბუნებრივი უფლებანი!.. მოსპე საწყალ კაცის ნაოფლარი საკუთრება და შენს ერთგულ ჯალათებს მიუსაკუთრე ყაჩაღობით მოპოვებული სიმდიდრე!.. გაცარცულ ხალხს გამოჰგლიჯე პირი-



დან უკანასკნელი ლუკმა პური და სიმშილით კუჭ-ღამ-
წვარს აგემე ჯერ ძაღლის, მერე ადამიანის ხორცი!.. შენ,
ჯოჯოხეთის მაშხალავ, ჩვენ საუკუნეში აღადგინე კა-
ციქამიობა და დამონავებულ პიროვნებას, დაპირებულ
სამოთხის მაგივრად, თავი უკარ ჯოჯოხეთისკენ!..

დევ-ქალი: (თითებს იკვნეტს) მართალი არ არის!..

ქართლოს: (გაბრაზებული, ირონიით) კაცობრიობის საკეთილ-
დღეოდ განუკითხავად დახვრიტე ასი ათასობით გლეხები,
მუშები, ერის საუკეთესო მოღვაწენი!.. არ დაინდე არც
ქალი, არც ღედა, არც აკვანში ძუძუთა ბავშვი!..
შვილს ჰკლავდი დედის კალთაში და ქმრების გვამზე
სჩეხავდი ნამუსახდილ ცოლს და პატარძალს!.. გესმის
შე, წყეულო?.. ბანჯღვლიან გულს რა უნდა ესმოდეს!..

დევ-ქალი: შენ რა დაგიშავე?..

ქართლოს: ...და აი ეხლა შენს ჯალათებს სურთ აც-
ვან ჯვარზე ჩემი გაწამებული ქვეყანა!.. ასეთმა შენმა
უტიფარმა და უსინიდისო ნაბიჯმა ყველა პატიოსან
ადამიანში გამოიწვია შენადმი საყოველთაო ზიზღი!..

დევ-ქალი: მთელი აღმოსავლეთი მიცნობს, როგორც სენი-
დისიერ და პატიოსან მოძღვარს ხალხისას!..

ქართლოს: აღმოსავლეთი უძაღლო გინახავს და შიგ უჯოხო
გავივლია!..

დევ-ქალი: ჩემი პირით ყველა ქვეყნებში ახალ სახარებას ქა-
დაგებენ!..

ქართლოს: შენი სახარების შინაარსი უუძველეს დროსაც მო-
მისმენია!.. იგივე ქადაგება ტკბილი ხმით, მერე ყაჩა-
ლობა შუბით, ხმლით!.. შენ აიკელი ქალღუ, შუამდი-
ნარე, კაპადოკია, უძველესი საქართველო!.. შენი ფლი-
ლობა და ჯაშუშობა სარმატების და სულთან ნუქარ-

დინის დროს!.. მაშინაც ეძებდი სამოთხის გასაღებს და
დავიწყებულ ღმერთს!.. კვალ და კვალ გვადევნი, გვე-
ლივით ტყავს იცვლი!.. ტყუილებით, ბაქიბუქიობით,
მასხარაობით, სილამაზით, სიმდიდრით გასურდა თვალე-
ბი აგეხვია!..

დევ-ქალი: (იციინს) ნეტავი როდის მოვა გონზე კაცობრიობა!..

ქართლოს: მრწამს დადგება დრო, როდესაც გონზე მოსული
კაცობრიობა შენს ლამაზ სხეულს ძაღლებს მიუგდებს!..
მაშინ, ველარ შესძლებ განთავისუფლებულ ერთა და-
ტუქსევას და მონობის ბორკილებში ჩაჭედვას!.. ის დრო
მოახლოვდა კიდევ, და ვაი შენს მოციქულებს, რო-
მელნიც ცხვირ აწევით გაიძახიან, — ორჯელ ორი—
ხუთიაო!..

დევ-ქალი: (გაანზღლებული) ორჯელ ორი—ხუთია, ცხრა, ათი!..
შავი—თეთრია და თეთრი—შავი!..

ქართლოს: (გაკვირვებული დევ-ქალის სიკვრპით) დავებრებულვარ,
მაგრამ ჩემ დღეში მწვანე აქლემები არ მინახავს!..
(შეზღდის მარიაშ, ქართლოსისთვის საჭმელი შემოაქვს)

გამოსვლა ქეოთხე:

მარიაშ: (ქართლოსს) ძალიან მუსაიფში ხარ, როგორც ვხედავ?!.

ქართლოს: ცოტა არ იყოს, გული მოვიფხანე!.. (საჭმელს გა-
მართმევს და ჭამას შეუდგება)

მარიაშ: (დევ-ქალზე) ეს ქალბატონიც აქა ბრძანდება?..

დევ-ქალი: დიად!.. აქედანაც წასვლა მე ვიცი და ჩემმა სი-
ნიდისმა!..

მარიაშ: კიდევ სინიდისზე ლაპარაკობ?

დევ-ქალი: შენ რალა დავიშავე?..

მარიამ: აბა გარედ გაბრძანდი და გაიგებ, ვის რა დაუშავე!.. ისეთმა ოფლმა დაგასხას, რო მაგ ლამაზ თავზე თმა ჩამოგცვივდეს!..

დევ-ქალი: მთელი აღმოსავლეთი მიცნობს, როგორც პატიოსან მოძღვარს ხალხისას!..

მარიამ: (ირონიით) სწორედ!.. იმ დღეს ნანა ყაჩაღების კრებაზე რო წაგეყვანა?.. ისიც ფარულად!..

დევ-ქალი: ჩვენს კრებებს მუდამ კეთილსაიმედო პირნი ესწრებიან!.. ყაჩაღებთან საქმე არა გვექონია და არც გვექმნება!..

მარიამ: გაჩუმდა!.. მეტი აღარა სთქვა!.. კარგა მოგეხსენება, ქალბატონო, რო კოტე ციკანაძე და შალვა მელიავა ერთ დროს მცარცველები ყოფილან!.. ქოროღლის ციხესთან ნაფარდობდნენ!..

დევ-ქალი: დიად, მაგრამ ჩვენში მცარცველის გაცარცვა დაშვებულია კანონის ძალით!..

მარიამ: (გაბრაზდება) დედაკაცი არ ვყოფილიყავი, ფილთაქვით თავს აგიტყუავდი!.. (დევ-ქალი ნაწყენი სწრაფად თავის საბრძანებელში ბრუნდება, მაგიდას მოუჯდება და წიგნში დღიური შთაბეჭდილებანი შეაქვს)

ქართლოს: მარიამ, თავი დაანებე, —გაგასულელებს!..

მარიამ: ან სულელი უნდა იყოს მართლა, ან ხალხისა და ქვეყნის მოღალატე!.. სწორედ გითხრა, თქვენი ყოფაქცევაც მაკვირვებს!.. მაგოდენას რო ელაპარაკებით, ენა არ გისივდებათ?..

ქართლოს: ეჰ, უსაქმო კაცი!..

მარიამ: (გააწყვეტინებს) თუ უსაქმო ხარ, ბრძოლის ველზე გაბრძანდი, —აქ რას მიკეთებ?.. (მოუჯდება)

ქართლოს: გულით და სულით წავიდოდი, მაგრამ არ მიშვებენ,—საქმე უშენოდაც მოკეთდებაო!.. მოხალისეთა რაზმის უფროსად ჩამაყენეს!. სხვა?. ნანა რას იწერება!..

მარიამ: (მოწყენით) გკითხულობს,—მამა სად არისო!..

ქართლოს: რა ადგილს იმყოფება?..

მარიამ: კოჯრის ახლოს!.. ცეცხლ ქვეშ მუშაობს!.. გუშინ გამწვავებული ბრძოლა ყოფილა!.. ჩვენი ყმაწვილები შვიდჯერ ზედი-ზედ იერიშით მისულან!.. დაქრილები ჩამოუყვანიათ!.. დღეს მოკლულებსაც მოასვენებენო!..

ქართლოს: ყოჩაღ ნანა!.. მომიკითხე,—მამა გკოცნისთქო!.. ხალხი—ყმაწვილია, მაგრამ მას კარგა ესმის, ვინ ემსახურება,—დედა თუ დედინაცვალი!.. მით უფრო პირნათლად უნდა აასრულოს თავის მოვალეობა!..

მარიამ: მისი აღტაცება უნდა გენახა, პირველ დღეს თბილისის კედლებთან ზარბაზანმა რო იგრილა!.. დედილო, ჩვენი საყვარელ სამშობლოს ბედ-იღბალი წყდებაო!.. ან ჩვენ უნდა ამოვიხოცოთ დიდი-პატრიანათ, ან ვეღუთა ბრბო შეემუსროთო!.. შავი ფიქრი სულს მიხუთავს, მახრჩობს!.. შემოაკვდება!.. აწამებენ!..

(ტრემლი მოუვა)

დევ-ქალი: (მუქარით, ხმა-მალა) შემოგაკვდები!.. პირს გაგიშავებ... შხამიან ეკლით შევამკობ შენს მშვენიერ, შიშისგან შეკრულ შუბლს... გაშავებულ ტუჩზე მოვწყვეტ ნორჩ ღიმილს... გათენებისას შავი შაში გეტყვის ალილუიას და ანჩხლი ყვავი, ქვაშვეთის ჯვარზე, ჩხავილით გადგიხდის პანაშვიდს... შავი ძაღვები შვინდის ფერ ღროშას გადააფარებენ შენს გაშემშებულ გვამს და მღულრად ატირებული მშობლები შავ მიწას მოგაყრიან... შფოთვა-ღელვას საზღვარი არ ექმნება...

შეშინებული ხალხი გულს გაიტეხავს და ერთ წუთში მიანგრევეს საკუთარ ხელით შეშენებულ ბაღს!.. შიში... სიკვდილის შავი აჩრდილი... ყორნის შავი ფრთა!..

მარიამ: კალია მოდის, ქართლოს, კალია!.. კერპი ნუ ხარ!..

ქართლოს: ბევრი მაგისთანა კალია უნახავს საქართველოს, მაგრამ არ შეგვეშინებია!.. დროზე ვერ მოვემზადეთ,—აი ჩვენი უბედურება!..

მარიამ: ქალაქიც ვერ გაამაგრეთ რიგიანათ!..

ქართლოს: მაგის წინააღმდეგნიც იყვნენ: რის ციხე, რის სიმაგრე—შუა საუკუნოებში ხომ არა ვცხოვრობთო!..

მარიამ: არც ცხენოსანი ჯარი გვეყოლია!..

ქართლოს: იმ დღეს მთავარ-სარდლისთვინ სასწრაფო ცნობა უნდა მიგვეწოდა!.. ცხენი დაგვეჭირდა!.. ბევრი ვირბინე, მაგრამ ვერც ცხენი ვნახე, ვერც სახედარი!.. ლოხი კამეჩი, როგორც მოგეხსენება, ამისთანა შემთხვევაში ცხენის დანიშნულებას ვერ აასრულებს!..

მარიამ: (ჭურჭელს გაახვევს) იმისი არ იყოს... რა ჰქვიან..

ქართლოს: ერთბაშათ რო დაჰკუტიანდა?!

მარიამ: ჰო!.. იმ დღეს ნანას ეუბნება, —რა თავი გავიცხელოთ, —საქართველოს თვით ბუნებაც კარგა დაიცავსო!..

ქართლოს: (თავისთვის) კაცო, თუ დურგალი ხარ, დურგალი იყავი,—ბეითლობა რა შენი საქმეა?.. (მარიამს) ბედოვლათის სიმღერა გაგიგონია?..

„შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ?!

ქვეყანაში სასაცილო შეიქენ!..

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა!

მტრედი ვიყავ, მწყერობა რად მინდოდა!..“

მარიამ: (გასვლას აპირებს) მოლა მასრადინას სულელს ეძახით და იმაზე მეტი ჰკუა ვერ გამოგიჩენიათ!.. (შემობრბის ჯარისკაცი)

გამოსვლა მკნუთე:

ჯარის კაცი: (ქართლოსს) ბატონო, სკოლაში ვიყავი, ბევრი ვიკითხე, მაგრამ ვერაინ ვნახე!..

ქართლოს: როგორ თუ ვერა ნახე?..

ჯარის კაცი: დარაჯი მეკითხება, —რის ერეკლე-ვინ ერეკლეო!.. ვილაც რუსის გვარი დასახელა, —ეხლა იმის სკოლააო!..

ქართლოს: გიორგის ჰკითხე, ერეკლე მეფის სახელობის სკოლა სად გადაიყვანეთქო!.. (ჯარის კაცი აჩქარებით გადის. ქართლოს და მარიამ ლაპარაკით მიჰყვებიან) ას ოცი წლის წინად, სწორედ იმ ადგილს, კრწანი სის ველზე, სადაც ეხლა ჩვენი ყმაწვილები ხიშტებით იგერიებენ მტერს, პატარა კახმა, ხელჩართულ ბრძოლაში, დასცა თავისი მძღავრი მკლავით აგეთივე უხეში ძალა, —ველურთა ბრბო!.. (კარებში) ჯერ ერი, მერე კაცობრიობა!.. ჯერ ჩემი სამშობლოს კეთილდღეობა, მერე სამოთხე ყიზილბაშებისთვის!.. (გადიან)

ღევ-ქალი: (წერას ათავებს) დედაშენს რძეს გაუშრობ, სიმშლით კუქს გადუბრუნებ!.. მშობელი დამშეულ ბავშვის ყვირილს ვერ აიტანს, გაგიყდება და ფეხით თავს გაუქეკყავს!.. გამხეცებული მეზობელი ასო-ასოთ აკუწავს ყმაწვილის გვამს, ძმრად ჩასდებს და მუყუყს მოამზადებს!.. შენს კეთილშობილ ქალიშვილებს ნამუსს ახადი და საროსკიპო სახლში თავს ამოვაცოფინებ!.. კაციჭამიები, დამშეულნი, ნამუს-ახდილნი, გაგიყებულნი ფეხებში ჩამივარდებიან, მუხლებს დამიკოცნიან და მღულარე ცრემლით პატის მომთხოვენ!.. მაშინ, კისერ მოგრებილს, დაგცემ მიწაზე და სამუდამოდ გაგაჩუმებ!..

შიში... სიკვდილის შავი აჩრდილი... ყორნის შავი ფრთა!.. (გაბრაზებული მივა მარცხენა კარებთან, დააკაკუნებს. პარვით შემოდის სამშობლოს მოღალატე. დევ-ქალი გახარებული ყელზე მოეხვევა და მხურვალედ ჰკოცნის)

გამოსვლა მეექვსე:

დევ-ქალი: ჩუმად!.. ხომ არ შეგამჩნიეს?..

მოღალატე: ქვეითა დარაჯი შევისყიდე... არ მიშვებდა!.. ვაი, თუ გამცეს!..

დევ-ქალი: ოქრო ალაპარაკებს მკვდარს და ენას ართმევს ცოცხალს!.. მიაშბე, ჩქარა!..

მოღალატე: თბილისთან საქმე კარგა მიდის!.. მთავრობის სიაც გამოვაცხადეთ!.. ხალხი აღტაცებაშია!..

დევ-ქალი: (აღელვებული მაგიდის უჯრიდან ქაღალდს ამოიღებს) ამ ქაღალდში საჭირო ცნობებია მოთავსებული!.. ჩვენებს დროზე რო გადასცე, საქმე მოგებული გვექმნება!.. (ქაღალდს გადასცემს)

მოღალატე: რო დამიჭირონ?..

დევ-ქალი: შეისყიდე, მოწამლე, ფიცი გატეხე, ხელშეკრულობა დაარღვიე, ღმერთს უღალატე, ეშმაკს სული მიჰყიდე და გზაზე არავინ დაგიდგება!..

მოღალატე: იმ დღეს მათი მოხელე უნდა შემესყიდნა, მაგრამ ამაოდ!.. ქარაველ კაცს ყოველისფერს დაავიწყებინებ, გარდა რაღაც გაუგებარ ქართველურ გრძნობისა, როდესაც (ირონიით) მის სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხია დასმული გადასაჭრელად!.. ჩვენი საქმე — კაცობრიობის საქმეა, ამიტომ ჩვენ გვრწამს კაცობრიობა, და არა ერისა,

ღევ-ქალი: დღეს ამ უგუნურებმა (მარჯვენა კარებისკენ მიუთითებ) ქართველ ერის მიმართ მოწოდება გამოაქვეყნეს!..
ეროვნული დროშაც ააფრიალეს, დიდი ამბით!..

მოლაღატე: (გაკვირვებული) ეროვნული?..

ღევ-ქალი: (მაცდური კილოთი) დიად!.. წითელი ჩამოსხნეს!..
რა თქმა უნდა, იატაკის ჩვრად გამოიყენებენ!..

მოლაღატე: (ჩაფიქრდება) ერი... სამშობლო... მამული!.. გმ...

ღევ-ქალი: ჩაფიქრდი?..

მოლაღატე: ამ სიტყვებით ყმაწვილობიდან თავს მიბრუებდნენ და განგებ აბნელებდნენ ჩემ ნათელ გონებას და გამკრიახ ჭკუას—დედა-აკვანში, მასწავლებელი-სასწავლებელში, საზოგადო მოღვაწე-ხალხში!.. არა მწამდა რა, —და... ყაჩაღად გავვარდი, —საზოგადოების ყალბი აზროვნობის მსხვერპლი შევიქენ!.. მაგრამ ეხლა მე, კოტე ციკანაძე, დანიშნული ვარ განახლებულ, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს მტრების ჯალათად!.. სისხლის მორევში ამოვანჩხოვ იმას, ვინც ნებით თუ უნებლიეთ მოიხსენიებს ლაპარაკში ამ საზიზღარ სიტყვებს!..

ღევ-ქალი: ჩვენ საქმეში ჩარეული ქართველები სამშობლოს მოლაღატეებად გამოუცხადებიან!..

მოლაღატე: თუ მე უღალატე ერს, მაგათ უღალატეს კაცობრიობას!.. ამიტომ უსაშინელესი ბოროტება ჩაიდინეს მათ, და არა მე!..

ღევ-ქალი: ს... ს... არ გაიგონ!.. წადი, ფრთხილად იყავ!..
ოქროს გაგატან!.. ათი ათასი გეყოფა?..

მოლაღატე: მეტს მომცემ, უფრო კარგი!..

ღევ-ქალი: (გადასცემს პარკებით სავსე ოქროს, სთვლის) ათი ათასი, ოცი ათასი, ოცდაათი ათასი!..

მოლაღატე: იუდას ვერცხლები მომაგონდა,—რალა ოცდაათს
მაძლევ?

დევ-ქალი: წარსული—ზღაპარია, აწმყო—სინამდვილე, რომე-
ლიც ამართლებს იუდას მოქმედებას!.. საწამლავეც წა-
ილე, —გამოგადგება!.. (შუშით საწამლავს გადასცემს) ეს
დასაძინებელია, —ვარდის სუნი უდის!.. ეს—სასიკვდი-
ლო!.. მიზანი ამართლებს საშუალებას—ამბობს ადამი-
ანთა სიბრძნე!..

მოლაღატე: (საწამლავს და ოქროს ჯიბეში ჩაიწყობს) რა ბოროტე-
ბაა ის ბოროტება, რომელიც ჩადენილია დიად მიზნის
მისაღწევად!.. მშვიდობით!.. (შეყვარებული თვალებში
შესცქერის) ამბობენ, ჩვენს ლამაზ და მდიდარ დევ-ქალს
გიორგი-გმირი შეჰყვარებიაო!..

დევ-ქალი: სიყვარულიც ისეთივე საშუალებაა, როგორც ოქ-
რო, შხამი!.. მე ვარ ჭკუიანი ქალი!.. ჩემ შემოქმედ
ნიჭზე მთელი აღმოსავლეთი ლაპარაკობს!.. დღეს თუ
არა, ხვალ ქედს მოიხრიან ჩემს წინაშე არა მარტო გი-
ორგი, არამედ მთელი კაცობრიობა!..

მოლაღატე: არ შემარცხვინო!.. სასაცილოდ ამიგდებენ!..
გყვარობ, როგორც ქალს და კაცობრიობის მხსნელს!..
(აკოცებს)

დევ-ქალი: (კოცნით აცილებს კარებამდი) ჩემო იმედო, ჩემო ნუ-
გეშო!.. (მოლაღატე გადის. მარჯვენა კარებიდან შემოდის
გიორგი, ხელში ქალადი უჭირავს)

გამოსვლა ქეშვიდე:

გიორგი: (დევ-ქალს, მტკიცე ხმით) გამოძიებამ ნილაბი ახადა თქვენ
მშვენიერ სახეს!.. თავმჯდომარის განკარგულებით გა-
ტუსალებთ და წინადადებას გაძლევთ...

დევ-ქალი: (შეკრთება) რა მიზეზით?..

გიორგი: (ქალაღს თვალს გადაავლებს) ომის გამოუცხადებლად თქვენ შემოუსიეთ ჩვენ ქვეყანას ყაჩაღთა ურდოები, თავს დაეცით ლალატით მძინარე ჯარისკაცებს და შეუბრალებლად ამოსწყვიტეთ უდანაშაულო ხალხი!.. ეჭვი არა გვაქვს, რომ მტერი ეხლაც თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებს თავდასხმას!..

დევ-ქალი: გიმეორებთ, საზღვარზე მოხდა ადგილობრივი აჯანყება!.. ჩვენი პოზიცია ამ საქმეში ერთობ მარტივია და ნათელი!..

გიორგი: თქვენი ხაზინის ფულების უხვად დარიგებით აწყობდით შეთქმულებას ჩვენი დამოუკიდებლობის დასამხობად!.. დასახული გქონდათ მიზნად საქართველოს სამუდამოდ გასრესა და ქართველ ერის ფიზიკური ამოკლეტა!.. (ხალხის ხმაურობა)

დევ-ქალი: არა!..

გიორგი: ხმარობდით თქვენების ჩვეულებრივ ბრძოლის იარაღს, — მოსყიდვას, ქრთამს, სიტყვის გატეხას, წარმოუდგენელ პირშაობას, ოქროს, შხამს, რომ ასე თუ ისე სისრულეში მოგეყვანათ ზოროტი განზრახვა!..

დევ-ქალი: მართალი არ არის!.. ჩემს სინიდისზე და პატიოსნებაზე ლაპარაკობს...

გიორგი: (გააწყვეტივნებს) ამ თქვენ პატარა ოთახში აგროვებდით ადამიანის აზრის და ქუთის ყოველგვარ სიბინძურეს და სისაძაგლეს!..

დევ-ქალი: (შეჰკვივლებს) არა!.. (აღერსით) გიორგი!.. აშკარა ცილისწამებაა!.. შესაძლებელია, ჩვენებმა რაიმე უშვერი სიტყვა იხმარეს თქვენ მიმართ, არა ზნეობრივი საკითხი გამოიჩინეს!.. მე რა შუაში ვარ?..

გიორგი: შენ ხარ ჩვენი მტრების ჯაშუში!.. როგორც წარ-
მომადგენელი, პირმოთნეობით, ფარისევლობით, წარ-
მოუდგენელ უსირცხვილობით ამოქმედებდი ბნელ საქ-
მეს!.. (სროლა ბრძოლის ველზე წყნარდება)

დევ-ქალი: მართალია, ვლაპარაკობდი, მაგრამ ჩემი ლაპარაკი
უნიადავო, უსუსური ლაყბობა იყო!.. პირადად მე,
როგორც ახალგაზდა ქალი, ცხოვრების განცხრომას
ვეწაფები!.. ჩემი სულისკვეთება—სიმდიდრის შეძენაა,
პირადი კეთილდღეობა, ბედნიერება!.. ჩემ შემდეგ გინდ
წარღვნა მოვიდეს!.. (მაცდური კილოთი) შემოგცქერი,
როგორც ღეთაებას, შენ კი მემტერები, მატუსალებ კი-
დეც... არა გრცხვენიაან?..

გიორგი: მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას!..

დევ-ქალი: შეგიძლიან არც აასრულო!.. მერწმუნე, ორ-სამ
დღეში ეს გაუგებრობა გამოირკვევა, ზავს შევკრავ და
მშვიდობიანობას დავამყარებ!.. მოგეხსენება, რომ მე სა-
ესებით ვიზიარებ შენს აზრებს და ზიზღით უარვყოფ
ძალადობას!.. აი ეს წიგნი!.. (თავის მაგიდასთან მიიყვანს)
სიბრძნე-სიცრულის ისტორიაა!.. დაწერილია ამ მარჯვე-
ნა ხელით კაცობრიობის საკეთილდღეოდ!.. (ქუჩიდან
ხალხის ხმაურობა მოისმის)

გიორგი: (მაგიდაზე უჩვენებს) ეს რაღაა?..

დევ-ქალი: სურნელოვანი ვარდის ზეთი, — ცისმარე დღე ტანს
ვიზელავ და ვტკბები მის ყნოსვით!.. ესაც ოქროა, ჩე-
მი საკუთრება!.. ამ სიმდიდრით შემიძლიან გავაბედნი-
ერო ყოველი ადამიანი, ერი, მთლად მთელი კაცობ-
რიობა!.. ვითვრები შენის ცქერით, გიორგი!.. მითხარ,
რა გსურს და სიყვარულით აგისრულებ!.. (ხალხის ხმა-
ურობა ძლიერდება. გიორგი ადელვებუი ორიოდ ნაბიჯს
გადადგამს და, ჩაფიქრებული, ტრიბუნასთან ჩერდება. შემო-
დის ქართლოს)

გამოსვლა ქერქე:

ქართლოს: (მოწყენილი) გიორგი!.. თავმჯდომარე თავის ოთახში გიწვევს!..

გიორგი: მოვდივარ!.. (ადის ტრიბუნაზე)

ქართლოს: ვაი შენ, ჩემო თავო!.. (დაღონებული სკამზე ჩამოჯდება)

გიორგი: (ხალხს) ძვირფასო მამულიშვილებო!.. ეს არის ეხლად ქართველ ერისადმი მოწოდება გამოვაქვეყნეთ!.. მოდის ჰეროზელურ გრძნობით აღსავსე ველურთა ბრბო!.. აზრად აქვს გაანადგუროს ჩვენი მშვენიერი სამშობლო და ქართველ ერს ხელახლად მონობის უღელი დაადგას!.. დადგა დრო, როდესაც გმირობა უნდა იჩინო თავისუფლების დასაცავად!.. (ხალხი: «ვაშა, ვაშა!..») ქართველო, ხელი ხმალს იკარ!.. (ხალხი სიმღერას ამბობს: «ქართველო ხელი ხმალს იკარ...») გიორგი ტრიბუნიდან ჩამოდის, ქართლოსს) ასეთი ხალხის აღფრთოვანება ჩემ დღეში არ მინახავს!.. ნახე, თუ არ გავიმარჯვოთ!..

ქართლოს: (ყურადღებას არ აქცევს) ვაი შენ, ჩემო თავო, რა განსაცდელში ჩავევარდი!..

გიორგი: რა დაგემართა?..

ქართლოს: მთავრობას თბილისის დატოვება გადაუწყვეტია!..

გიორგი: (გაშტერებული) რას ამბობ?..

ქართლოს: რაც არის იმას ვამბობ!.. სხდომა გათავდა!.. (პაუზა)

გიორგი: იმის ბრალი უნდა იყოს!..

ქართლოს: ვისი?..

გიორგი: ვაზიანის მხარეს რო გავგზავნეთ!.. გამოქცეულაო!.. მგლისა ეშინიან!..

ქართლოს: (ირონიით) შე დალოცვილო, დროზე რო გეთქო, შევალოცვინებდი მგლისა და მტრის წინააღმდეგ!.. შავ-

ტარიანი დანაც ჯიბეში მიდევს,— „ეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია“... არა, შვილო, თქვენი შეცდომა მარტო მავაში არ გამოიხატება!..

გიორგი: თუ რამე გცოდნია, რატომ დროზე არ გვითხარი?..

ქართლოს: (გულმოსული) სიტყვა ათქმევინეთ ვისმეს?.. მართლის მთქმელს ცხენი მზათ უნდა ჰყავდეს, შეჯდეს და გაიქცესო!. ცხენი არ მყავდა ღ აბა როგორ უნდა მელაპარაკნა?..

გიორგი: უარის თქმა აღებულ პოლიტიკურ ხაზზე შეუძლებელია და სამარცხენო!..

ქართლოს: სწორედ მაგ თქვენმა პოლიტიკურმა სიბეცემ დაშალა ის ძალა, რომელზედაც დაყრდნობილი იყო ჩვენი ქვეყნის მთლიანობა და სიმძლავრე!.. და რა შუაშია ეხლა ან მტრის სიმრავლე, ან ვაზიანის კოხტა-ბელადის ლალატი?..

გიორგი: რა ძალაზე ლაპარაკობ?..

ქართლოს: ხალხი, ერი!.. მთლად მთელი საქართველო, — აი ის ძალა, — არა მარტო ფიზიკური!.. ჭეშმარიტი კანონი... განათლებული მართველობა... სინიღისი... პატიოსნება... სამშობლო ღ მისი სიყვარული!.. მაშინ ვნახავდი, ვინ დამაცლევინებდა თბილისს ან საქართველოს!.. (ახლა თოფი გავარდება)

გიორგი: (შეკრთება) რა ამბავია?.. (დაფაცურდება, დევ-ქალზე) ეს ქალბატონი დატუსაღებულია! არსად გაუშვათ!.. (მარჯვენა კარებში გავარდება)

დევ-ქალი: მამილო, პურს ვერ მოატანინებ?.. აი ოქრო!.. (უჩვენებს)

ქართლოს: მოითმინე, — წყალზე სუფრას გაგიშლიან და თონეში დაბრაწულ ნახუქს მოგართმევენ!.. (მარცხენა კარებიდან მოხალისე რაზმელებს დატუსაღებული მოლაღატე შემოჰყავთ. დევქალი შეკრთება)

გამოსვლა მეცხრე:

რაზმელი: ბატონო ქართლოს!.. ეს ყმაწვილი კიბეზე დავიკირეთ!.. ჯიბეში ოქრო და საწამლავი აღმოაჩნდა, კიდევ რალაც ქალღღებები!.. (გადასცემს)

ქართლოს: (მოლაღატეს) შენი გვარი?..

მოლაღატე: კოტე ციკანაძე!..

ქართლოს: ქართველი ხარ?..

მოლაღატე: დიად, — ტომით, საქმით — მსოფლიოს მოქალაქე!..

ქართლოს: (ირონით) ყოჩაღ ბიჭო!.. კიბეზე რა გინდოდა?..

მოლაღატე: არაფერი!..

ქართლოს: (დევ-ქალზე) ამ ქალბატონის მოციქული ხომ არ ბრძანდები?..

დევ-ქალი: არა!..

მოლაღატე: არა!..

ქართლოს: (რაზმელებს, მოლაღატეზე) დახვრიტეთ!..

დევ-ქალი: უფლება არა გაქვს!.. სიკვდილით დასჯა აღკრძალულია ბუნების და ადამიანის კანონით!..

ქართლოს: (მრისხანედ) გატყდი!.. შენი ამხანაგია?..

დევ-ქალი: (ამპარტავნად) ჩემი თანამემწყე!..

ქართლოს: შენი ნოქარი და ყურმოჭრილი ყმა!.. (რაზმელებს, მოლაღატეზე) გათოკეთ!.. (რაზმელები ხელებს შეუკრავენ)

დევ-ქალი: (ქართლოსს) თქვენ არღვევთ ადამიანის და მოქალაქის უფლებას, რომელიც დაკანონებული იყო საფრანგეთის დიდ რევოლუციის დეკლარაციით!..

ქართლოს: გაჩუმდი!.. ჯალათი უფლებაზე ლაპარაკობს!.. (რაზმელებს) თოკი!.. (თოკს შიაწოდებენ და დევ-ქალს ხელებს შეუკრავს) ამისი არა მიკვირს რა!.. იმ თავითვე გარყენილია!.. თავისი ღვიძლი ძმა ციხის საკანში ამოახრჩო!.. (მოლაღატეს) შენ! — სამშობლოს გამყიდველო!.. არა გრცხვენნიან?..

მოლაღატე: არა!.. მე ვემსახურები კაცობრიობას!

ქართლოს: და ამიტომ ჯერ შხამავ, მერე ოქროზე ჰყიდი შენი სამშობლოს ბედ-იღბალს!..

მოლაღატე: (ზიზღით) რა არის სამშობლო?..

ქართლოს: (ირონიით) შენი უსინიდილობის ბურთი და მოედანი!.. ქარვასლა, სადაც შენისთანა მიკიტნები მშობელ ერის აწმყოთი და მომავალით ვაჭრობენ!.. სანაგვე, რომელშიაც შენისთანავე ნაგავქექიები უიმედოდ დაკარგულ მარგალიტის თვალს დაეძებენ!..

მოლაღატე: ჩვენ ვეძებთ სამოთხის გასაღებს და დავიწყებულ ღმერთს!..

ქართლოს: თუთიყუშივით ერთ და იმავეს გაიძახით!.. მხეცო!.. შენ არ იყავი, რო წინ მოუძღოდი უცხო ძალას საკუთარ სამშობლოს დასამზობად?..

მოლაღატე: მის ასაყვავებლად!.. მე ვიბრძვი იქ, სადაც შევეცილია თავისუფლება,—ჩემი სამშობლო იქნება, თუ სხვისი!..

ქართლოს: საქართველო თავისუფალი იყო და თავისუფლებას მოიბოვებს!.. მაგრამ ვაი იმ ქართველს, რომელიც (ირონიით) სამშობლოს ასაყვავებლად ხელს აწვდის დევქალს, ყელზე ეხვევა, ძალღივით მუხლებს ულოკავს, გადის ქუჩაში და ყვირის,—შავი—თეთრია და თეთრი შავი!.. ოქროთი შესყიდული ქართველ ერის ნაძირალა უსირცხვილოდ გმობს ერის წმინდა ისტორიას, შეურაცხყოფს ქართველ გმირების წმიდა საფლავს!.. ერის ერთსულოვანი ნებით სამარცხვინო ბოძზე გაკრული ავაზაკი წარმომადგენლობს ამ ერს და აშკარა ავაზაკობას კანონს ეძახის!.. ეს არის შენი „მრწამსი“, შენი ზნეობრივი „მე“?..

მოლაღატე: მრწამს ორფეხი ცხოველი,—ადამიანს რო ეძახიან!..

მრწამს კუჭი და მისი ბუნებრივი მოთხოვნებიანი!..

ღვე-ქალი: გვრწამს ადამიანის ხუთი გრძნობა და მათი გამო-
მხატველი, ფიზიკური „მე“!.. რის ზნეობრივი მოქმე-
დება, რის უზნეო საქციელი?!..

ქართლოს: (რახმელებს) არ დახერიტოთ!. გალიაში მოამწყვდიეთ
და სოფლებში ქუჩა-ქუჩა ჩამოატარეთ!.. ღვე, იხილოს
ხალხმა, რა ორფეხ პირუტყვებთან გვქონია საქმე, რომ
პირადათ დარწმუნებულმა წითელ-კანიანების ბარბარო-
სობაში, ძირიან-ფესვიანად ამოავდოს მათი სახსენებე-
ლი, ოჯახი, გვარი!.. გაიყვანეთ!.. (ღვე-ქალი და მოლა-
ღატე მარჯვენა კარებში გაჰყავთ. ქართლოს, დასუსტებული,
ტახტზე წამოწვება) მშვიდობით ქართველთა ქებულო
გმირობავ!.. მწარე ხვედრი ვერ აიციდინე!.. მტერი
ზეიმობს!.. დღეს ან ხვალ შინაურ მგლების წინამძღო-
ლობით შემოვლენ ჩვენ გაწამებულ დედა-ქალაქში გა-
რეული მგლები, შენ კი, საყვარელო საქართველოვ,
დარბეული, გაცარცული, ციხეებად და საფლავებად
ქცეული, გლოვის ძაძვებში გაეხვევი!.. სარმატები, მურ-
ვან-ყრუ, ოსმალები, თემურ-ლენგი, შაჰ-აბაზი, ალა-
მაჰმად-ხანი!.. ასეთი შავი დღე ჯერ არ მოგსწრებია!..
ტანჯვას საზღვარი არა აქვს, მაშ ტანჯვა-სიცოცხლეა,—
მისი შინაარსი!.. (ფიქრებში) აღებული გქონდა მრუდე,
დამღუპველი ხაზი!.. ღვე, შეურაცხეონ ველოურებმა
შენი გმირის წმიდა ცხედარი!.. დაჰკრავს საყამე!..
აღსდგები!.. ამ რწმენით და იმედებით ვცოცხლობ და...
გესალმები!..

(მიიძინებს. შორიდან მოისმის «წმიდა ღმერთო»-ს
გალობა. გაუგებარი სიჩუმე ელდას ჰკრავს ადამიანს,—სი-
ჩუმე, რომელიც ბადავს შიშს და სიმაპაცეს, გენიოსს და
სულელს. რწმენა ჩამქრალს მომავალი წყვილიდით მოცული
ეჩვენება. მან კარგა იცის, რომ ამ დროს იქედება ქართველ
ერის ბედი. სევდისაგან კრიკა შეკრული და ბოღმით ზაფრა

გადაკრული ელოდება იმ წამს, როდესაც ბაცბაც-დევის დრია-
ლი სიჩუმეს დაარღვევს და მთა-ბარი ქუხილივით ბანს მის-
ცემს მის შესაწარ ხმას. მაშინ გაორკეცდება მისი სულიერი
ძალა, ადამიანის მთლიანობა შედუღდება და ან სიცოცხლეს
ინატრის, ან მის განუტრელ ძმას-სიკვდილს. თანდათანობით
ირყევა სიჩუმე. ირგვლივ მოისმის წივილ-კივილი, ტირილი,
გაგიჟებული სიცილი, სტვენა, სიმღერა, მოთქმა, კრულვა,
წყევლა. ხმაურობა რთულდება, ეხება კედლებს და ჰქმნის
ჯოჯოხეთს, ტარტაროზის საშინელებას... ამ ალიაქოთში
გარკვევით ისმის ქართულ ჰიმნის ნაწყვეტები და... ველურ-
თა საწარელი ყვირილი: «ჰო, ჰო!...» მებრძოლთ შეგახება
აძლევს უძლიერეს კრეშჩენდოს და ვნებათა წარღვნის ტალ-
ლებს ცამდის ააქვთ ხალხის გოდება. მარცხენა კარებში გა-
მოჩნდებიან დევ-ქალი და წითლებში გამოწყობილი ორი ჯა-
ლათი: პირველი იქვე რჩება სადარაჯოთ, მეორე პირდაპირ
გადადის და ადგილს იჭერს მარჯვენა კარებთან. დევ-ქალი
აივანზე გავარდება, ჩამოხვეს ეროვნულ დროშას და წითელს
გამოჰკიდეებს, მერე ადის ტრიბუნაზე და არა ადამიანურ ხმით
მიმართავს ხალხს)

გამოსვლა მეათე:

დევ-ქალი: ამხანაგებო!.. დღეს მოხდა ის, რაც დიდი ხანია
უნდა მომხდარიყო!.. ქართველმა ხალხმა ერთსულოვან-
ნად და ერთგულოვანად დასცა საკუთარ ქვეყანაში
მონური წეს-წყობილება და პირდაპირ თავისი მართვე-
ლობა გამოაცხადა!.. (ხმაურობის საშინელი კორიანტელი
კლაპავს მის სიტყვებს, მობრუნდება, მიძინარე ქართლოს
დაინახავს, იძრობს თავის პატარა ხანჯალს და ქართლოსის
მოსაკლავად გაექანება. სწრაფლ მოვლინებული ქამთა-ვითა-
რება გზას გადუქრის. ჯოჯოხეთის აურ-ზაური ერთ წუთში
წყდება, თითქო დარიალის ხეობაში უწარმაწარი ცინულის
ზეავი ჩამოწვა და წალეკილმა სოფელმა სამუდამოდ მიიძინაო.
განქეორებით მყარდება სამარისებური სიჩუმე. თოფის წამ-
ლის კვამლი, მიწაზე დათხეული სისხლი, საკმლის ბოლი
სულის უხუთავს ადამიანს და გულშემწარავად აძაგძაგებს...
წის და სტირის... სტირის თავის ბედს, რომელმაც სიხარუ-
ლის ნაცკლად ვაება არგუნა... შვილზე გლოვობს დედა,
გლოვობს უნუგეშო მისი სამშობლო...)

გამოსვლა მეტეორთქვით:

ჟამთა-ვითარება: (ღევ-ქალს ხელიდან დროშას გამოგლეჯს) შე-
ჩერდი!.. ვინ ხარ?..

ღევ-ქალი: (გაცოფებული ზცქერის) მე ვარ მონობისგან განთა-
ვისუფლებულ საქართველოს ბატონ-პატრონი!..

ჟამთა-ვითარება: რა გსურს?..

ღევ-ქალი: (ქართლსზე) ამ მოხუცის ფეხზე დაყენება!..

ჟამთა-ვითარება: თუ მოკვლა?.. გაბრძანდი აქედან!..

ღევ-ქალი: უფლება არა გაქვს!.. მე ვარ უდიდეს სახელმწი-
ფოს შემოქმედი ძალა!.. დღეს ვზეიმობ... დიდი დღე-
სასწაულია!.. არ გაგივიათ?.. (ჯალათებზე უჩვენებს) აი
კოტე, ესაც შალვა!.. ამ ღირსეულ მამულიშვილებთან
ერთად თვალის დახამხამებაში დავამხე ქართველ ერის
ხანსმოკიდებული კერპები!.. (ჯალათები, როგორც გაქვა-
ვებულები, ღვანან)

ჟამთა-ვითარება: (ჯალათებზე) ეს ყმაწვილები — სამშობლოს
მოღალატეები არიან!.. მაგათზე ლაპარაკი გვექმნება
მაშინ, როდესაც სამსჯავროს წინაშე წარდგებიან და
მსაჯული იტყვის თავის ქეშმარიტ სიტყვას!..

ღევ-ქალი: ამ ჩემმა კეთილმა მეგობრებმა და ძვირფასმა ამხა-
ნაგებმა სიძულვილით უკუ აგდეს თქვენი ჩირჩილ-შექ-
მული ქეშმარიტება და გამირულად აღიმალღეს ხმა მშრო-
მელ ხალხის განსაცდელისგან დასალწევად!. (გარედან მო-
ისმის: «ძუღუ გაუხმეს დედაშენს, სამშობლოს გამყიდველა!..»)
მე ვარ განახლებულ საქართველოს სვე ბედი!..

ჟამთა-ვითარება: (გააწვევტინებს) ყველა ერის და კაცობრიო-
ბის მტერი!.. ანგრევ, აოხრებ ქვეყნიერობას, რომ ხა-
ლხთ უბედურებასა და დამონავებაზე ამოაგო შენი ბა-
ტონობის ტახტი!.. ჩემ თვალ წინ აიკელი ქალღუ,

შუამდინარე, კაბადოკია, უძველესი საქართველო!.. წინედ გრწამდა რამე!.. ეხლა განგებ აფერხებ ერის და კაცობრიობის ბუნებრივ წინსვლას!.. გსურს უკანასკნელად მოსპო ამ მოხუცის სახსენებელიც!..

დევ-ქალი: (ქართლსზე) ეს კერპი ერი უნდა შემეყვანა მსოფლიო რევოლუციის კალაპოტში!.. ბევრი ვეცადე... ჯერ ბედმა მიღალატა... დღეს შევეძელ!..

ჟამთა-ვითარება: საუკუნეთა განმავლობაში აზრად გქონდა მისი სამუდამოდ ამოწყვეტა!.. ვერც დღეს შესძელ!.. კვალ და კვალ სდევნი... უბრმავებ თვალებს სილამაზით, სიმდიდრით, მაგრამ გავიწყდება, რო არის ისეთი რამ, რომელიც მზის შუქივით უნათებს მას ქირ-ვარამით მოცულ გზაზე,—ეს არის ქართველ ხალხის სინიღისი და პატიოსნება!.. ამიტომ ვერ მოდრეკ უხემ, დამპყრობელ ძალით მის უკვდავ არსებას!..

დევ-ქალი: სწორედ ეგ თქვენი ჟანგიანი სინიღისი და პატიოსნება აბრკოლებდა ჩემ კეთილ განზრახვის სისრულეში მოყვანას!.. დღეს შევეძელ!..

ჟამთა-ვითარება: შესძელ ავაზაკობა!..

დევ-ქალი: თავგამოდებით ლაპარაკობთ!..

ჟამთა-ვითარება: ეგრე ველაპარაკები ყაჩაღს და მოღალატეს!..

დევ-ქალი: (ჯალათებს) გესმით?.. (ჟამთა-ვითარებას) ვინ არის ყაჩაღი?..

ჟამთა-ვითარება: შენ, ეს შენი მონა-ყმები და ბევრი თქვენი-სთანა სხვა, რომელთაც აზრად ჰქონდათ ამ მოხუცის მოკვლა!.. (დევ-ქალი გაგიჟებული გაიწევეს ქართლსის პოსაკლავად. ჟამთა-ვითარება გზას შეუკრავს) შორს!.. *natura non fecit saltum!*..

დევ-ქალი: (გაოცებული) ვინ ხარ?..

ჟამთა-ვითარება: შენი შევ-ბნელი წარსულის მოწმე!..

დევ-ქალი: (მარჯვენა კარებისკენ დაიწივს) ჩემი წარსულის მოწმე!.

ჟამთა-ვითარება: შენი წარსულის, აწმყოს ღმრთივანობის მტერი!.

დევ-ქალი: (შიშით ატაცებულს თავი ეკარგება, ჯალათებს) ყური უგდეთ, არსად გაიპარონ!.. (ჟამთა-ვითარებას, ქართლოსზე) მოხუცი მივაძინე!.. ჯერი შენზეა!.. (მუქარით) ან მე, ან შენ!.. (მარჯვენა კარებში გადარდება)

ჟამთა-ვითარება: (მძინარე ქართლოსს) „აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია“...

ქართლოს: (გამოეღვიძება, თავისთვის) ... აღებული გქონდა ყალბი გზა!.. (ჟამთა-ვითარებას დაინახავს, წამოდგება) ოჰ, მოხუცო, გასამხნევებლად მევლინები?..

ჟამთა-ვითარება: ქართველი ერი მთელი თავისი წარსულით ხელთ-უქმნელ ძეგლია მხნეობისა და გამძლეობის!.. მე ვარ შენი სინიდისის და პატიოსნების მესაიდუმლე!.. (მოეხვევიან ერთმანეთს და დაჰკოცნიან)

ქართლოს: (გალობა ესმის) გალობენ!..

ჟამთა-ვითარება: სამშობლოსათვის თავდადებულთა ერთად გამწკრივებულ თვრამეტ კუბოს მიასვენებენ საძმო სასაფლაოს დასაკრძალავად!.. (გარედან მოისმის: «ერის და კაცობრიობის მტერო!..»)

ქართლოს: (გაკვირვებული) რა მოხდა?..

ჟამთა-ვითარება: მტერმა დაიპყრა თავისუფალი საქართველო, მოკლა შენი საყვარელი ნანა და აწამა გიორგი — გმირი!.. (ქართლოსს ცრემლი მოუვა) გული არ წაიხდინო!.. ტან-ჯვა-ბუნების კანონია!..

ქართლოს: (ტირის) შევიღო ნანა, გიორგი!.. საყვარელო სამშობლო!..

ჟამთა-ვითარება: თავისი ნორჩი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს!.. არა დაზოგეს რა, — ყველაფერი მშობელ ხალხს ანაცვალეს!.. ასეთი სიკვდილი უკვდავია და სანატრელი!..

ქართლოს: ბედმა რა ვაება მარჯუნა?!..

ჟამთა-ვითარება: ჟამი და არა ბედი!.. ყოველ მოვლენას თავი

ვისი მიზეზი დაჰყვება!.. (დროშას უჩვენებს) ეს დროშა შენი შავბნელ წარსულის, ნათელი აწმყოსი და ბრწყინვალე მომავალის ნიშანია! ააფრიალე და შეყარე მის ქვეშ წელში გაშლილი და სახე მღიმარე ქართველობა!.. (გადასცემს. ქართლოს დროშით ცრემლს მოიწმენდავს და უბეში ჩაიდებს) შენი ერთი ირაზმება, კილით-კიდემდე გრგვინავს მისი რისხვა!..

(გარედან მოისმის: «სამშობლოს მოღალატევ'...»)

ქართლოს: რა ვართ? მუჟა ხალხი...

უამთა-ვითარება: და დიდებული ერი!.. შენ ხარ მზე, რომელიც უნათებ კაცობრიობას შავ-ბნელ წყვდიადს: შენს გულწრფელ ღალატებას წვრილ ერთა უფლებებზე უსმენს განათლებული დასავლეთი, გიცნო და დამოუკიდებელ ხალხთ სიაში შეიტანა შენი პატიოსანი სახელი!.. (გარედან მოისმის: «საქართველო კვდება!..») ვინ შესძლებს ერთი დაკვრით შესწყვიტოს ქართველ ერის ხანგრძლივი და ბრძოლით გაკაჟებული არსებობა?.. (პაუზა)

ქართლოს: (ავანსცენაზე, კრძალვით, ხელებ აპყრობილი)

საყვარელო საქართველო, ბევრი რამა გთმენია!..

ეხლაც არის მოგეკიდა ჯოჯოხეთის გენია!

იმედი გვაქვს გათენდება სიხარულის ღღენია...

ჯვარზე ცმულო, დატანჯულო, მომავალი შენია!..

(გამხნევებული თოფს ხელში მოიგდებს) ეხლა მე ვიცი და ჩემმა სინიღისმა!..

უამთა-ვითარება: (მარჯვენა კარებზე მიუთითებს) გზა მომავალი-სა, რომელიც იხსნის შენს ერს!.. (გასვლას აპირებენ. კარებთან მდგომი ჯალათი თოფით გზას შეუკრავს)

უამთა-ვითარება: (ჯალათს) მოშორდი!..

ქართლოს: (მასვე, ხმა-მალლა) გზა!.. სამშობლოს გამყიდველო!..

(ჯალათი პირქვე დაეცემა. უამთა-ვითარება და ქართლოს ჯალათის გვამს გადაანაბიჯებენ და გავლენ)

გეოთხე მოქმედება:

ჯ ვ ა რ ე ღ ი ნ ბ ზ ა ზ ე .

(საქართველოს მომავალი)



(ჯვარედინი გზა მალღობ ადგილზე, მცხეთის ახლოს. სცენის ორივე მხრით ბოძი დგას, ზედწარწერით: «აღმოსავლეთი»—მარჯვნივ, და «დასავლეთი»—მარცხნივ. პირდაპირ მოსჩანს სვეტიცხოვლის ეკლესიის გუმბათი. დედამიწის ამ ორ მოპირდაპირე მხარეს საზღვრავს შავბნელი ქვესკნელი. უფსკრულის სიღრმიდან აგიზგიზებული ცეცხლის ალი და კვამლი ამოდის და დრო გამოშვებით გოდების ხმა ამოვარდება. მარჯვნივ—გასასვლელი გზაა. ბადრი მთვარე ადგილს უთმობს ამომავალ მზის სხივებს. ხანდისხან ჭოტი გაჰყვირის. ყველას გულს უღონებს წყეული, დევ-ქალის გარდა, რომელმაც დიდი ხანია სამოთხის ბულბული ამ საზარელ ფრინველს ანაცვალა. ცეცხლის ფერ ჯალათის სამოსელში გამოწყობილი ერის და კაცობრიობის მტერი უძრავად დგას ქვესკნელის ნაპირს, ამაყად გაჰყურებს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის აოხრებულ ქვეყნების უსაზღვრო სივრცეს და მსუნაგი თვალებით ტკბება დამონავებულ ხალხთ უზომო ტანჯვით. ფარდის ახდისათანავე ქვესკნელიდან მოისმის ტანჯულთ გმინვა და ვაება. პირველი ხმა: «შეწყეულო, რას გვემართლებოდო?.. ერის და კაცობრიობის მტერო!.. შეგვიტყუილე?..» მეორე ხმა: «სად არის ჩემი შვილი?..» მესამე: ჩემი დედა?.. მეოთხე: ჩემი ერი, სამშობლო?..» ხმები: «ერის და კაცობრიობის მტერო!.. მხეცო, ჯალათო!.. ვაი, დედილო, მიშველე!..» ფერმკრთალი დევ-ქალი, როგორც გაქვავებული, დგას ერთ ადგილს და ტანჯულთ ჩივილზე ყურსაც არ იბერტყავს. ერთად ერთი შავი ფიჭვი აწუხებს, ვაი თუ ბედმა უმტყუნოს და სისრულეში ვერ მოიყვანოს ქვეყნიერების გარდაქმნა იმ გეგმით, რომელიც დამუშავებული ჰქონდა კენთან ერთად აბელის მოკვლის დღეს. მაშინ სიკეთე უკანასკნელად დასძლევს ბოროტებას და, ყველასგან დევნილს, ერთად ერთი გზა დარჩება—საიქიოსკენ.)

გამოსვლა ზირველი:

დევ-ქალი: (პირით აღმოსავლეთისკენ, ქვესკნელის იქითა ნაპირზე) შორს მოსჩანს უკუნობით უკუ გდებული ჩინეთი, მარჯვნივ ველურთ ინდო-ჩინეთი, კაციქამიების სამშობლო სიამი... ბორნეო... წარსულ კულტურით განთქმული, ეხლა დაქვეითებული და ღირსება აყრილი ინდოეთი... ახალი გვინეა... აქეთ—უდაბნოთ ქცეული ბელუჯისტანი, ავღანისტანი, თურქესტანი და მათი გაველურებული ნაირ-ნაირი ხალხი!.. აქეთ—კიდევ გადაბირული სპარსეთი და გარეული ოსმალეთი!.. (მარცხნივ მიიხედავს) ეს—ყაჩაღ-ავაზაკთა აკვანი და ბუდე, —განთქმული ციმბირი, ესა—დათვების ქვეყანა, —დანგრეული, გაობრებული და სიმშლით ამოხოცილი რუსეთი!.. აქვე, ჩემ ფეხ ქვეშ, მდებარეობს პაწაწინა საქართველო, — ჩემი საბრძანებლის რალაცა ბეწვის ოდენა კუთხე!.. გადარჩა ერთად ერთი ქართველი ერი!.. ვერ მოვარჯულე!.. მისი საკითხი — ჩემი თვით მოყვარეობის საკითხია, მისი ყოფნა — ჩემი არყოფნა!.. (გაბრაზებული) თავზე დაგადგამ ცეცხლში გახურებულ თუჯის ქვაბს და ქრისტეზე და სამშობლოზე უარს გათქმევინებ!.. (კოტეს—მწვანე ეშმაკს და შალვას—შავ ეშმაკს მარჯვენა მხრიდან შემოჰყავთ ოთხი დამნაშავე. ოთხივეს ხელ-პირი შეკრული აქვსთ და აქა-იქ შიშის თვალთ იხედებიან)

გამოსვლა ქეორე:

კოტე: (დევ-ქალს პირველ დამნაშავეს წარუდგენს) კეთილო ამხანაგო!.. ამ უსინიღისო მოქალაქემ ჩვენ ახალ წეს-წყობილებას საჯაროდ ლანძღვა დაუწყო: თქვენ რო იქით მიდიოდით, მე იქიდან მოვდიოდიო!..

დევ-ქალი: (ქვესკნელზე უჩვენებს, გულგრილად) ჩააგდეთ!.. (კოტე დამნაშავეს ქვესკნელში ჩააგდებს. მეორე დამნაშავეზე, — ათი წლის ყმაწვილია) ეს ვილაა?..

შალვა: დიდებულო ამხანაგო, ამ ყმაწვილმა, რკინის გზის სადგურთან, დღისით-მზისით, სიმინდის მარცვლები აკრიფა და გაქცევას აპირებდა!..

დევ-ქალი: ჩააგდეთ!.. (შალვა ყმაწვილს ქვესკნელში ჩააგდებს)

კოტე: პატივცემულო ამხანაგო!.. ამ ვილაცა კინტომ, თავისუფალ სახელმწიფოს მოქალაქემ, შუა ქალაქში ღრიალი მორთო: ამოდენა სკოლები რო მიკეტეთ, ჩემ შვილს სადღა ვასწავლოო!..

დევ-ქალი: ჩააგდეთ!.. (კოტე ჩააგდებს. მეოთხე დამნაშავეზე) მაგან რა ჰქმნა?..

შალვა: ძვირფასო ამხანაგო!.. ამ დედაკაცს გუშინ თავისი სამი წლის ბავშვი მოუკლავს, ტათაში მოუხრაკავს და მეზობლებთან ერთად ვახშამი უჭამია!..

დევ-ქალი: ეგ არაფერი!.. ერთი ერთმანეთიც რო დაჭამონ, საწინააღმდეგო არა მექნება რა!.. გაანთავისუფლეთ!.. (კოტეს და შალვას განთავისუფლებული დედაკაცი უკან გაჰყავთ. ქვესკნელიდან ხმაურობა ისმის. დევ-ქალი ჩასძახებს) ჩუმათ!.. ქაჯებო!.. ერთი-ოროლას ხორცი დააგლიჯეთ!.. თავზე გახურებული თუჯის ქვაბი დაადგით!.. ხმაურობა აღარ გავიგო!.. (თავისთვის) აღმოსავლეთს მტვერი ავადინე!.. დარჩა ერთად ერთი საქართველო და... ჯერი დასავლეთზე მივა!.. (მარჯვენა გზით შემოდინან ქამთა-ვითარება და დაჭრილი ქართლოს. უკან ლტოლვილი მოსდევს. მიდიან შორს, დასავლეთისკენ, იმ მხარეს, სადაც განათლებული ადამიანი თავის ერის ბედნიერებაზე აშენებს კაცობრიობის კეთილდღეობას და, განურჩევლად

მტრისა და მოყვარისა, ყველას ხელს აწვდის ცხოვრების მოსაგვარებლად. ეს არის მისი არსებობის პრინციპი, მისი განათლებული კულტურა. მომავალი განაფხული და აღდგომის დამე ჰგვრის მგზავრებს განუსაზღვრელ სიხარულს და, იმედებით აღსავსენი, მტკიცე ნაბიჯით მოგზაურობას განაგრძნობენ)

გამოსვლა ქესამე:

ჟამთა-ვითარება: (ქართლოსს) ესე მოკლე იქნება,—ჯვარედინია!. (მობრუნდებიან) ხედავ?.. ცისკარი წითლად ლებავს აღმოსავლეთს!.. სწორედ ამომავალ მზის პირდაპირ მდებარეობს დასავლეთი!.. (ქვესკნელის აქეთ გაჩერდებიან,—პირით დასავლეთისკენ) წინ გვეშლება ფართო გზა...

დევ-ქალი: (გააწვევტინებს) რომელიც ამ ბნელეთში ჩამოგიყვანს შენ და შენს დასავლეთს!.. (აღლევდება)

ჟამთა-ვითარება: (ქართლოსს) შორს ვარსკვლავი მოსჩანს, ხარიპარისა რო ეძახიან!.. დასწვრივ, ზღვის გაღმა ის მხარე იწყობა—ბრძენთა ქვეყანა!.. იქ ცხოვრობს განათლებული ხალხი, რომელმაც გიცნო და შენი პატიოსანი სახელი დამოუკიდებელ ხალხთ სიაში შეიტანა!.. (დევ-ქალს სიცილი წასქდება) მიდი მათთან ღ ყველაფერი გულახდილად უამბე!.. უთხარი, რო უძველეს და ახლანდელ აღმოსავლეთის ისტორია—შენი ისტორია!..

დევ-ქალი: (ქართლოსს) გატყუებს!.. შენ არა ისტორია არა გქონია, იმიტომ რო თავისუფალი არას დროს არა ყოფილხარ!..

ლტოლვილი: (ქვანე ზის და ფიქრებს მიეცემა) ვაი, დედილო, რა მეშველება ეხლა!.. არც სახლი, არც კარი!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლსს) შენ, ერთად ერთი ერი მედგრაღ იცავდი აღმოსავლეთში ქრისტიანობის კულტურას და განსაკუთრებულ რწმენას ცხოვრების შინაარსზე!..

დევ-ქალი: ტორკვემადოს ინკვიზიცია... მუსლიმანთა განუწყვეტელი ხოცვა ჯვაროსნების მიერ... ებრაელების შეუბრალებელი ჟღერა წარსულში და ეხლაც, ქრისტეს რჯულის სახელით!. (ირონიით) კულტურა!.. (ქართლსს) შენ იცავდი შენი კუჭის ინტერესს—ეს არის ბრძოლის თავი და თავი მიზანი!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლსს) არაფერი არა ხდება რა უცაბედათ!.. ყოველი მოვლენა საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრებაში დაყრდნობილია განვითარების ტენდენციასზე და, როგორც სამყაროს განვითარებაში, ემორჩილება კანონების მოქმედებას!..

ქართლსს: (დევ-ქალს) მხეცს მარტო კუჭის ინტერესი სწამს!..

დევ-ქალი: მხეცი და ადამიანი—ორივე ბუნების ქმნილებაა!..

ლტოლვილი: არც სამსახური მაქვს, არც ჯამაგირი!.. ლობიოს სანატრელი გავხდი!.. რა ცხოვრებაა!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლსს) ურიცხვი მტერი მთელ შენ სიცოცხლეს მოსვენებას არ გაძლევდა!.. ყველას შენი მიწა-წყლის დატაცება სურდა, შენი ერის სამუდამოდ ამოწყვეტა, როგორც ეხლა ამ დევ-ქალს სწადიან!..

დევ-ქალი: (ქართლსს) გედავებოდა ძმობა-ერთობის იდეა, რომლის პირველი მტერი შენ იყავი!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლსს) აი ეხლაც, შენ პირველმა აღიმაღლე ხმა მშრომელ ხალხის უფლების დასაცავად, მაგრამ მოვიდა შავი ძალა და სიტყვა გაგაწყვეტინა!..

ლტოლვილი: საცვლებს ვილა დამირეცხავს, ლოგინს ვინ გამიშლის?.. არც საპონი, არც სუჟუთა ზეწარი...
ხოცვა



- ქამთა-ვითარება:** ყველაფერი ეს უთხარი და დაუმატე, რა თქვი შენ სამართლიან მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ მშვიდობიანი გზით, „ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებას კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად“ და საქართველოს საზღვრებიდან ვეღურების გასადგენად!..
- დევ-ქალი:** (ქამთ-ვითარებას) გაჩუმდი!.. (გაცოფებული ხელებს იმტვრავს) სახელს ვერ გამიტეხავ!.. ცილის წამება— ცუდი საშუალებაა!..
- ლტოლვილი:** ექიმები ამბობენ, მშიერი კაცი ორ კვირამდე სძლებსო!..
- ქამთა-ვითარება:** (ქართლოსს) შენი საკითხი—საერთაშორისო საკითხია!.. წადი და გააცანი ყველას, ვინა ბრძანდება ეს ლამაზი და მდიდარი არსება!..
- ქართლოს:** მტერი მრავალი გვეყავს!.. რა ვართ?,—მუჟა ხალხი!..
- ქამთა-ვითარება:** და დიდებული ერი!.. შენ ხარ მზე, რომელიც უხვად ჰგვრი კაცობრიობის დამძრალ გულს მადლიერ სიტბოს!.. დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს იდეა მზის სხივით მოეფინა ყველა ერს და ქვეყანას, და არა ჩვეულებრივი თანაგრძნობა და მოძრაობა გამოიწვია!..
- დევ-ქალი:** (ორივეს) თქვენ გსურთ დაარღვიოთ მშვიდობიანობა, მოხსნათ ერთა თვითგამორკვევის საკითხი და დაუბრუნდეთ კაციჭამიობას და ბატონ-ყმობის ხანას!.. (ეკლესიიდან «ქრისტე აღსდგა»-ს გალობა მოისმის)
- ქამთა-ვითარება:** (ქართლოსს) დევ-ქალი ესწრაფება სამუდამოდ გზა მოგიჭრას დასავლეთისკენ!..
- დევ-ქალი:** (გააწყვეტინებს) ყმათა ქვეყანაში,— იმიტომ რო აღმოსავლეთში უკვე განხორციელდა ის, რასაც კაცობ-

რიობა ასე მოუთმენლად მოელოდა,—ხალხის პირდაპირი მართველობა!.. ex oriente lux... ვპოვეთ სამოთხის გასაღები და დაეწყებული ღმერთი!.. (აღმოსავლეთისკენ) გაიხედეთ, სამოთხის კარი იღება კიდევ!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლოსს) დადგა ჟამი შენი ეროვნულ მიზნის მისაღწევად!.. მოხდენილი დროც ვერ გიშველის, თუ თითონ არ ივარგებ!.. უკუ აგდე დამპალი აღმოსავლეთი და, იმედი მაქვს, გაიხარებ... სამუდამოდ!..

დევ-ქალი: (ჟამთა-ვითარებას) ცხოველ მყოფელი იღეა დამპალი ხახვშიაც არის ჩასახული!..

ჟამთა-ვითარება: (ქართლოსს) წავიდეთ, ზღვამდე მიგაცილებ!..

ლტოლვილი: (წამოხტება) ფენსაცმელიც გამიცვდა!.. რა ვქნა, რა წყალში ჩავეარდე!.. ამოდენა გზა როგორ გავიარო!.. ფეხით ჩემ ღღეში არ მივლია!..

დევ-ქალი: (მუჟარით, ყველას) ვერ წამიხვალთ!.. (ქვესკნელზე უჩვენებს) აქ ამოგახრჩობთ!.. (ქართლოსს) მოხუცო, ქუთა იხმარე!.. არ შეგაცდინონ... მახეში გაგაბამენ!.. კეთილ და ქეშმარიტ სიტყვას გეუბნები,—გამიგონე!.. (ხმა ქვესკნელიდან: «ერის და კაცობრიობის მტერო!..»)

ქართლოს: (ქვესკნელზე უჩვენებს) აი შენი სიკეთე და ქეშმარიტება!..

დევ-ქალი: (ეფერება) მოხუცო, გეფიცები, არც ისეთი ჯალათი ვარ!..ამ ბნელეთში მომწყვდეული მყავს ყაჩაღი და ავაზაკი, მკვლელი და მწამლავი!.. (ცბიერი აღერსით, ყველას) ჩამოიხედეთ და დარწმუნდებით!.. (ყველანი ქვესკნელში იხედებიან) ეს იუდაა—ქრისტეს გამყიდველი, ეს ქეთევან დედოფლის მწამებელი!.. ესაც მაჰმუდ მეორე, —ველურ ოსმალეთს განათლებული ბიზანტია რო ჩააყლაპინა!..

ლტოლვილი: არც ლოგინი აქვსთ, არც პირსაბანი!.. ვინ იცის რამდენი ხანი თავი არ დაუბანიათ!..

დევ-ქალი: ეს კიდევ დიმიტრი ყიფიანის და ილია ჭავჭავაძის მკვლევლები არიან!.. ესაც თავრიზელი მოლაა, — ჩუმით ღვინო დაეღია, დამთვრალიყო და მაჰმუდის რჯულისათვის საჯაროდ გინება დაეწყო!.. (ქვესკნელიდან ხმა მოისმის: «ქართლოს, შენა ხარ?..»)

ქართლოს: (ჩასძახებს) გაგიმარჯოს!.. (ჟამთა ვითარებას) ჩემი ნაცნობია, სადღაც მინახავს!.. (ჩასძახებს) სადაური ხარ?..

ხმა: ეგვიპტელი!.. აღექსანდრიის განთქმულ წიგნთ-საცავის გამგე!..

ქართლოს: მანდ რა გინდა?..

ხმა: დევ-ქალმა ჩვენ ქვეყანაში მტერი შემოიყვანა, — ხალხს განათლება რათ უნდაო!.. წიგნთ-საცავს ცეცხლი წაუკიდა, მთლად გადაბუგა და მეც აქ ჩამავლო!.. (დევ-ქალი უკმაყოფილო ქვესკნელს მოშორდება)

ქართლოს: (მეორეს) შენ ვილა ხარ?..

მეორე ხმა: მე ვარ ბაბილონელი!..

ქართლოს: (მესამეს) შენ?..

მესამე ხმა: ფინიკიელი!..

ქართლოს: (მეოთხეს, იცნობს) ოჰ, რომაელო, შენც აქა ხარ?..

მეოთხე ხმა: რას იზამ, ასეთი ბედი მეწვია!..

ჟამთა-ვითარება: ჟამი და არა ბედი!..

ქართლოს: შენ როგორღა ჩავითრიეს?..

მეოთხე ხმა: მონარქია არ გეინდა, რესპუბლიკა მოგვეციო!.. ახლა რესპუბლიკაც არ მოეწონათ, მისდგენ და იმოდენა იმპერია სულ ნანგრევებად აქციეს!.. მაგ ქალბატონმაც რაღაც კომუნისტური წეს-წყობილება შემოიღო!.. იმპერატორებს პირადად ჯარისკაცები ირჩევდ-

ნენ!.. ერთ კვირაში რვა იმპერატორი გამოიკვალეს!.. სულ კი პლატონის ოინები იყო!.. გახსოვს, აკროპოლისში სულ საკუთრების გაუქმებაზე რო ლაპარაკობდა?!

ქართლოს: მახსოვს!.. კერძო საკუთრება—სახელმწიფოს საკუთრებააო!.. ცოლიც მარტო ქმრისა არ არის—ყველას უნდა ეკუთვნოდესო!..

მეოთხე ხმა: ბერძნებმაც, რა თქმა უნდა, იმის სწავლება განაღდეს!.. ჯერ საკუთრება მოსპეს და მერე თვით სახელმწიფო ჩაყლაპეს!.. მშვიდობით!..

ქართლოს: გამარჯვებით!.. (ქამთა-ვითარებას) სულ ჩემი ნაცნობები ყოფილან!.. საიდან სად?..

ქამთა-ვითარება: შენი თანამედროვე ერები!.. ასეთი ბოლო მოელის იმ ხალხს, რომელიც თავის სულიერ სიმდიდრეს დევ-ქალის ოქროზე ახურდავებს და ეშმაკს ანაცვალებს კეთილ მოძღვრების მცნებას!..

ქართლოს: (დევ-ქალს, ქვესკნელზე უჩვენებს) ამათ ეძახი ყაჩაღს?.. (ქვესკნელიდან ხმაურობა მოდის: «გვიშველეთ ვილუპებით!.. მოკალით ეგ წყეული!..»)

დევ-ქალი: (ქვესკნელში ჩასძახებს) გაჩუმდით!.. (გაჩუმდებიან) ქაჯებო, ცეცხლი შეუკეთეთ!.. მოპარსულ თავზე ქონის სანთელი დააღვენთეთ!.. ფრჩხილები დააძერით... ყოყმანი აღარ გავიგო!..

ლტოლვილი: ფრჩხილებსაც ველარ დავიწმენდავ!.. მთელი გზა სულ მქადი უნდა მაქამონ!.. მშვიდობით თონგში დაბრაწულოო შოთის პურო და თუშურო ყველო!.. (მღერის: «თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...» კოტეს—მწვანე ეშმაკს, და შალვას—შავ ეშმაკს შემოჰყავთ ხელ შეკრული და დაჭრილი გიორგი-გმირი)

გამოსვლა მკოთხე:

კოტე: (დევ-ქალს) ამხანაგო!.. რომელ ორმოში ჩავადლოთ?..

დევ-ქალი: მეცამეტეში, — კაცობრიობის მტრები რო სხედან!
(ქამრიდან გასაღებს ჩამოიხსნის და გადასცემს) სად დაი-
ქირეთ?..

შალვა: მთებში!..

დევ-ქალი: რას აკეთებდა?..

კოტე: მქუხარე ხმით და ცეცხლის მფრქვევი სიტყვით მოუ-
წოდებდა ხალხს სამშობლოს განთავისუფლებას!..

დევ-ქალი: (გაბრაზებული) ჩაადეთ!.. ტილებით სავსე ტომრე-
ბი დააბლერტეთ!.. ფეხებში აღუღებული ფისა მის-
ხით, — არ გაიქცეს!..

ქართლოს: გიორგი, შენა ხარ?..

გიორგი: მამილო, მიშველე!..

ქართლოს: (დევ-ქალს) ეხლავე გაანთავისუფლეთ!.. (წინ წაიწვეს)

დევ-ქალი: (წყნარად) გიმეორებთ, ჩვენი შინაური საქმე თქვენ
არ გეხებათ!..

ჟამთა-ვითარება: (დევ-ქალს) ჯერ საქართველო გათელე, ეხლა
მისი ეროვნულ ღირსების შეგინება გსურს?.. (გიორ-
გიზე) ხელები გაუხსენით!.. (გალობა ახლოვდება)

დევ-ქალი: (გაანჩხლდება) ჩემი სიტყვა — კანონია!.. (კოტეს და
შალვას) ჩაიყვანეთ, ჩქარა!.. (ჟამთა-ვითარება მივარდება
გიორგის, ხელს ჩასჰიდავს და თავის მხარეზე გადმოიყვანს.
ქართლოს აჩქარებით ხელებს გაუნთავისუფლებს და კლდის
ძირში წამოაწვეს) უფლება არა გაქვთ!.. სასაცილოდ
ივდებთ ადამიანთა ცხოვრების ძირითად კანონების
სულს და აზრს!.. იცავთ კაცობრიობის მტერს და რე-

ვოლუციის მოლაღატეს!.. კოტეს და შალვას ბრძანებას ვაძლევ ყველანი ბნელეთში ჩაყარონ!..

(კოტე და შალვა ქართლოსს მისცივდებიან)

ქართლოს: (კოტეს და შალვას) შორს, ჯალათის მონა-ყმებო!.. (დაჭკრავს ორივეს და სულს გააგდებინებს) რომელმა ძუძუმ აგზარდათ სამშობლოს მოლაღატეებო!..

(გამხნევებული ლტოლვილი დევ-ქალის მხარეს გადავა, თეთრ პურს დაინახავს, დაუკითხავად აიღებს და იქვე ჭამას შეუდგება)

დევ-ქალი: (ქვესკნელში ჩასძახებს) ამხანაგებო!.. კაცობრიობის მტერი არღვევს რევოლუციის კანონს!.. ქართველი ერი აჯანყდა!.. მიშველეთ!..

უამთა-ვითარება: (დევ-ქალს) თქვენი არსებობის კანონი—ძალმომრეობაა, ხიზტი—ცხოვრების ერთად-ერთი საფუძველი!.. შენმა ბოროტებამ შთანთქა ჩემ თვალწინ უდიდესი სახელმწიფოები!.. მათ ნანგრევების ქვეშ ადგილი მონახეს (ქვესკნელზე უჩვენებს) მძლავრმა და განათლებულმა ერებმა!.. დაგრჩა ერთად ერთი მათი თანამედროვე—ქართველი ერი, რომელიც, შენდა სამწუხაროდ, ცოცხლობს და იცოცხლებს კიდევ!.. ეხლაც განზრახული გქონდა (ირონიით) სოციალურ, სასწაულის მოხდენა!.. შედეგათ მოჰყვა სახელმწიფოს და საზოგადოების დაშლა-დანგრევა!..

დევ-ქალი: ჩვენ ვანგრევთ!.. აშენებაზე იფიქროს სხვამ!.. ამ ჩვენ უმწიკვლო მოქმედებას კაცობრიობის ისტორიაში ჰქვიან... დიდი რევოლუცია!..

(ქვესკნელიდან ეშმაკი ამოვარდება და ლტოლვილს კისრის კვრით ქვესკნელში ჩააგდებს)

უამთა-ვითარება: არის რევოლუცია და... ეგრედ წოდებული „რევოლუცია“... როდესაც პირველი ათავებს ხალხის-

თვის საკეთილდღეო მოქმედებას, მეორე იწყობს ავა-
ზაკობას,—იტაცებს და ანიავებს წინასწარ შემუშავე-
ბული გეგმით საუკუნოებით დაგროვილ ნივთიერ და
სულიერ სიმდიდრეს ერისა და მერე სპობს თვით ერს!..
ეს არის თქვენი „რევოლუციის“ დედა—ძარღვი, მო-
ძღვრების შინაარსი და არსებობის მიზანი!..

დევე-ქალი: (გაოცებული) ვინ ხარ?.. (სიჩუმე. ეკლესიის სამრევვე-
ლოზე საქამე დჭკრავს)

ჟამთა-ვითარება: (ეკლესიისკენ მიუთითებს) ჟამი... და არა ბე-
დი!..

დევე-ქალი: (სიცილი წაქდება) ჟამთა-ვითარება!.. ევოლუცია...
(იცინის) გიცნობ... დასაბამიდან!..

ჟამთა-ვითარება: დიად, ევოლუცია, რომელსაც სწამს ბუნე-
ბრივი რევოლუცია, და არა რევოლუციის ფერად
შედებილი რეაქცია და ყაჩაღთა მიერ ხელოვნურად
მოწყობილი აჯანყება ცარცვა-გლეჯის მიზნით!..

დევე-ქალი: (ჩაფიქრებული) ჩემი წარსულის მოწმე!..

ჟამთა-ვითარება: შენი წარსულის, აწმყოს ღ მომავალის მტერი!.

დევე-ქალი: გიცნობ!.. ქალღუ, შუამდინარე, კაპადოკია, უძ-
ველესი საქართველო!.. (გაუგებარი შიში აიტაცებს) ადა-
მიანის ჭკუას ჯერ არ გამოუგონია ისეთი იარაღი, რომ
შეეძლოს შენი ... (ხმა-მალა) შორს!.. (არა ბუნებრი-
ვად იცინის, ირონიით) ჟამი!.. და არა ბედი!..

(ზარებს რეკვენ. აღდგომის წირვა დასრულდა და ხალხი ყვე-
ლა მხრით სახლისკენ ბრუნდება. ისმის «ქრისტე აღსდგა»-ს
გალობა. მარცხენა მხრიდან შემოდინ მარიამ და ნანა, უკან
ხალხი მოსდევს. ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ და
თან მოაქვსთ ეკლესიაში ნაკურთხი კვერცხები, ნახუქი და
სხვ. ყველა წელში გაშლილია და პირზე ღიმი უჭრის, თითქო
რადაც სასიხარულო მოლოდინში არიანო)

გამოსულა ქესუთე:

მარიამ: (ქართლოსს) ქრისტე აღსდგა!..

ქართლოს: ქეშმარიტად!.. (კონცინან)

ნანა: (გიორგის დანახავს, გახარებული) გიორგი!.. აქა ხარ?..
ქრისტე აღსდგა!.. წითელ კვერცხს მიაწოდებს და სიხარუ-
ლის ცრემლით დაჰკონის. მოქმედების გათავებამდე გიორ-
გისთან რჩება. ყველანი ერთი მცორეს კონცინან და ქრისტეს
აღდგომას ულოცავენ)

დევ-ქალი: (ყველას) გილოცავთ ქრისტეს აღდგომას!.. (ოქროს
კვერცხს გაუწოდებს) მიიღეთ... საჩუქრად... ოქროს
კვერცხია!. ეს სიმდიდრე მთელ სიცოცხლეს გეყოფათ!..

მარიამ: (დევ-ქალს) შენც აქა ხარ, იუდა?..

ყველანი: (ერთხმად) იუდა, ერის და კაცობრიობის გამყი-
ღველო!..

დევ-ქალი: (ყველას, წყნარად) არ გნებავთ?.. ეგრე იყოს!..
(სიჩუმე. შიში აიტაცებს) რა მომივიდა?.. წერაქვით თავ-
ში დაკრულს გონება მეფანტება!.. (ყველას, ხმა მალდა)
სთქვით რამე!.. რას გაჩუმებულხართ?.. (შორიდან მოი-
სმის ქართული ჰიმნი და თოფის სროლა) მოდიან!.. გესმით
თუ არა?.. (ცრემლი მოუვა) გიორგი!.. მიყვარხარ... შენ
კარგი ხარ, მე ცუდი... უგულო ადამიანი!.. იმიტომ
გაწვალედი!.. არ მინდა არც მეფის გვირგვინი, არც
დიდება, არც სილამაზე, არც სიმდიდრე!.. (ოქროს
კვერცხს ქვესკნელში ჩააგდებს) შენ წინ დაეაჩოქებ კაცო-
ბრიობას... თავზე დაგადგამ მარგალიტის ქვებით მო-
ქედილ ოქროს გვირგვინს... ვარდის ზეთით ტანს და-
გიზელავ!.. აი, დავიჩოქე!.. ხალხი ორფეხი პირუტყვი
მეგონა... შევეცდი... გამკურნე... მაპატიე!.. (დაჩოქილი

მზურვალედ ტირის) რა ყოფილა ადამიანის გული...
სინიდისი... პატიოსნება!..

გიორგი: ჯალათი ინანიებს ცოდვებს!..

დევ-ქალი: (წამოდგება, გონება დაკარგული, ყველას) ვინა სთქვა
ქკუაზე შეიშალაო?... (ხანჯალს ამოიღებს, სინჯავს, წუნა-
რად) გაკეთებულია თუბალურ რკინიდან... ცეცხლში
გავლებულია სამჯერ!.. ამ იარაღით იაფეტელ ტომთა
წინაპარმა ტიგრის და ეფრატის შესართავთან მოკლა
საზიზღარი ვეშაპი—ხალხის მტერი!.. სული ამოაგდე-
ბინა ბაბილონის მეფის კარისკაცს, როდესაც ელამის
მეფემ კუტურ-ნახუნდმა ქალაქი ურუკი დაიპყრა და
მეფის დასაქერად საწოლში შევარდა!.. ამ პატარა,
კოხტათ მოყვანილი, ძვირფას ქვებით მოქედილი ხან-
ჯლით თავი მოიკლა მიდიელების მეფის ქიაქსარის
ცოლმა, რომელსაც თავის სილამაზით და სიმდიდრით
იაფეტელ ტომთა მთავარ-სარდალი უნდა შეესყიდნა!..
ეს მოხდა კაპადოკიაში, მდინარე ლალისის ახლოს!..
მოწყობილი შეთქმულება ჩაიშალა!.. (არა ბუნებრივად
იციან) ყოველ ქალს თავისი თავი ყველაზე ლამაზი და
ქკუიანი ჰგონია!.. ყმაწვილმა შეჰკივლა... დედოფალს
შერცხვა... გული შეუწუხდა, გონება დაეკარგა და...
ყელი გამოიჭრა აი ასე!.. (ხანჯალს უღწივს და
დაჭრილი ქვესკნელში ჩავარდება)

ნანა: (ყველას) ქრისტე აღსდგა!..

ჟამთა-ვითარება: საქართველო აღსდგა!.. დრონი მეფობენ და
არა მეფენი!.. ქართლოს, დროშა ააფრიალე!.. დეე,
მტრებმა დაინახონ, —საქართველო ცოცხალია და იცო-
ცხლებს კიდევ!.. (ქართლოს უბიდან დროშას ამოიღებს
და გაშლის)

ყველანი: ვაშა, ვაშა, ქეშმარიტად აღსდგა!..

(მყარდება სიჩუმე. შორიდან გარკვევით მოისმის დიდებული ქართული ჰიმნი. დასავლეთით შემოდის საქართველოში განახლებული შემოქმედი ძალა. თან მოაქვს სამართლიანობა და კანონი, რომელიც არ შეითვისა და არცა სწამს დაობებულ აღმოსავლეთს. ერის და კაცობრიობის მტერი სასტიკად მარცხდება. ყველამ ერთისთვის და ერთმა ყველასათვის დაუწოგველათ დასდო თავისი თავი და ბარბაროსების ბრძულებიდან გაანთავისუფლა ჩაგრული სამშობლო. შეიქმნა დიდი ზაჰმი და რიხი ქართველ ერისა. გამარჯვებულ გმირის დროშას აწერია: «სიკვდილი ერის და კაცობრიობის მტერს, სიკვდილი სამშობლოს მოლაღატეებს!..» ყველანი მუხლს მოიყრიან დასავლეთისკენ და მოწიწებით ყურს უგდებენ ქართველ ერის სულიერ ძალთა გამომხატველ ხმებს და ჰანგებს)

ჟამთა-ვითარება: (წინ წარდგება) კაცობრიობას სინიდისიერად ემსახურება ის, ვინც სამართლიანად იცავს თავის ერის კეთილდღეობას!..

ზ ა რ დ ა.

